

**მანია ვაჩაძე, ინგა თოდრია,
პაატა ტურავა, ნათია წიკვაძე**

**საქართველოს ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსის კომენტარი**

**გამოქვეყნებულია საქართველოს
საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6
(2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით)**

თბილისი 2005

მია ვაჩაძე, ინგა თოდრია,
პაატა ტურავა, ნათია წიკვლაძე

**საქართველოს ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსის კომენტარი**

**Herausgegeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für
Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH**

**გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის
საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით**

gtz



Bundesministerium für
wirtschaftliche Zusammenarbeit
und Entwicklung

saavtoro ufleba © 2005 GTZ
© avtorebi

yvela ufleba daculia

ISBN 99940-45-25-3

gamomcemloba `diogene`
Tbilisi 0179, kekeliZis q. 6
telefoni 95 63 94, tel./faqsi 96 79 71
www.diogene.ge



Немецкое Общество по Техническому Сотрудничеству (GTZ) существует с 1975 года и является действующим во всем мире предпринимательством частного экономического сектора ФРГ, стремящимся к развитию сотрудничества. Целью деятельности этой организации является политическое развитие, продолжительное улучшение жизненных условий в странах Юга и Востока и сохранения природных, жизненно важных богатств.

По поручению Немецкого Федерального Министерства экономического сотрудничества и развития (BMZ) GTZ в странах Южного Кавказа осуществляет множество проектов направленных на поддержку реформ права и юстиции. В рамках этих проектов прибывают коротко – и долговременные эксперты, которые между тем занимаются с консультативной деятельностью и проводят мероприятия по повышению квалификации. А также GTZ поддерживает издание публикации местных экспертов для улучшения применения новых законов.

შპს „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება“ (GTZ) არსებობს 1975 წლიდან და არის მსოფლიო მასშტაბის საწარმო მომსახურების დარგში, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობასა და მხარდაჭერას განვითარების სფეროში. GTZ წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კერძო ეკონომიკური სექტორის საწარმოს და ემსახურება განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მიზანს, კერძოდ, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების საარსებო პირობების პერმანენტულ გაუმჯობესებასა და ბუნებრივი სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების შენარჩუნებას.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) დავალებით GTZ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ახორციელებს რამდენიმე პროექტს სამართლისა და იუსტიციის მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს მოკლე და გრძელვადიანი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც, მათ შორის, საკონსულტაციო საქმიანობასაც ეწევიან და ატარებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს. ამას გარდა, GTZ დახმარებას უწევს ახალი კანონების გამოყენებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოცემას.

Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH besteht seit 1975 und ist ein weltweit tätiges Dienstleistungsunternehmen für Entwicklungszusammenarbeit. Sie arbeitet als privatwirtschaftlich organisiertes Unternehmen der Bundesrepublik Deutschland für das entwicklungspolitische Ziel, die Lebensbedingungen der Menschen in den Ländern des Südens und Ostens nachhaltig zu verbessern und die natürlichen Lebensgrundlagen zu erhalten.

Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH führt im Auftrag des deutschen Bundesministeriums für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) in den Ländern des südlichen Kaukasus mehrere Projekte zur Unterstützung der Rechts- und Justizreformen durch. Im Rahmen dieser Projekte werden internationale Lang- und Kurzzeitexperten eingesetzt, die unter anderem beratende Tätigkeiten ausüben und Fortbildungsveranstaltungen durchführen. Weiter werden Publikationen von lokalen Experten zur Anwendung der neuen Gesetze unterstützt.

Vorwort

Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH führt im Auftrag des deutschen Bundesministeriums für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) in Georgien seit 1993 mehrere Projekte zur Unterstützung der Rechts- und Justizreform durch. Zu diesem Zweck unterhält sie in Tbilissi, Georgien, ein regionales Projektbüro, welches im georgischen Justizministerium untergebracht ist.

Im Rahmen der Projektarbeit wurde bereits seit Jahren auch Verwaltungsrecht und Verwaltungsprozessrecht beraten, Kommentare und Lehrbücher hierzu vom Projekt herausgegeben.

Die Projekte wenden sich in der aktuellen Phase im Wesentlichen an die Implementierung der neuen georgischen Gesetze, was die Unterstützung und Erstellung von geeigneter Fachliteratur einschließt. Durch den Aufbau einer juristischen Fachliteratur soll die Ausübung der Reformgesetze in einer rechtsstaatskonformen Weise unterstützt werden.

Der vorliegende Kommentar zur Verwaltungsprozessordnung ist ein weiterer wichtiger Beitrag zum Aufbau einer solchen wissenschaftlich fundierten, juristischen Fachliteratur. Der Kommentar berücksichtigt bereits die Änderungen der Verwaltungsprozessordnung vom Sommer 2005.

Mit der vorliegenden Veröffentlichung wird allen Juristen, die mit dem Verwaltungsprozessrecht arbeiten, eine wichtige Hilfe an die Hand gegeben, um die Verwaltungsprozessordnung besser zu verstehen und richtig anwenden zu können. Wir möchten allen Mitwirkenden für ihre engagierte Mitarbeit bei der Entstehung dieses Kommentars danken. Besonderer Dank gebührt dabei den Autoren. Frau Inga Todria, Frau Natia Tskepladze und Herr Paata Turava waren zugleich Mitglieder der Arbeitsgemeinschaft des Rechtsausschusses des Parlaments, die die jüngsten Änderungen erarbeitet und eingebracht haben. Prof. Gerd Winter hat die Entstehung des Kommentars von Beginn an durch seine Beratung begleitet und wesentlich unterstützt. Er stand auch der Arbeitsgemeinschaft des Rechtsausschusses bei der Erarbeitung der jüngsten Änderungen mit Rat und Tat zur Seite.

Diese Publikation sehen wir als Fortsetzung der von uns gemeinsam mit unseren Partnern durchgeführten Projekte, die den georgischen Staat bei der Festigung eines funktionierenden Rechtsstaates unterstützt.

Tbilissi, Oktober 2005

Zeno Reichenbecher

GTZ-Projektleiter

Unterstützung des Rechts- und Gerichtssystems Georgiens

წინასიტყვაობა

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) დავალებით საქართველოში ახორციელებს რამოდენიმე პროექტს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ მიზნით GTZ-ს საქართველოში, კერძოდ კი თბილისში აქვს რეგიონალური პროექტის ბიურო, რომელიც მდებარეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

პროექტის ფარგლებში მრავალი წელია ხორციელდება საკონსულტაციო საქმიანობა ადმინისტრაციულ სამართალში. ასევე პროექტის ეგიდით გამოიცა მრავალი კომენტარი და სახელმძღვანელო.

აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს ახალი ქართული კანონების დანერგვასა და გავრცელებას საწყის, აქტუალურ ეტაპზე, რაც ასევე მოიცავს ახალი იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და ხელშეწყობას. იურიდიული ლიტერატურა დიდ დახმარებას გაუწევს რეფორმის შედეგად მიღებული კანონების სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად გამოყენებას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის წინამდებარე კომენტარი წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს სამეცნიერო სტატუსის იურიდიული ლიტერატურის შექმნაში. კომენტარი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2005 წლის ზაფხულში განხორციელებულ ცვლილებებს.

ეს პუბლიკაცია დიდ დახმარებას გაუწევს ყველა იმ იურისტს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლით არის დაკავებული, რათა უკეთ გაიგოს და გამოიყენოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

მაღლობას ვუხდით ყველას, რომელთა ძალისხმევითა და აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა ეს კომენტარი. ეს მაღლობა, პირველ რიგში ეძღვნება ავტორებს. ქალბატონი ნათია წკეპლაძე, ქალბატონი ინგა თოდრია და ბატონი პაატა ტურავა გახლდნენ საქართველოს პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრები, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ახალი ცვლილებები. პროფესორმა ვინტერმა საწყისი ეტაპიდან კონსულტაციები გასწია და დიდი დახმარება გაუწია ავტორებს ამ კომენტარის შექმნაში. იგი თავისი რჩევებით პარლამენტის სამუშაო ჯგუფის გვერდით იდგა ცვლილებების შემუშავებისას. ეს წიგნი წარმოადგენს ქართველ პარტნიორებთან ერთად ჩვენს მიერ დაწყებული საერთო საქმიანობის გაგრძელებას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს, მისი ქმედით სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე.

თბილისი, 2005 წლის ოქტომბერი

ცენო რაიჰენბეჰერი

GTZ-ის პროექტის –

საქართველოს სამართლისა და სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა
ხელმძღვანელი

Vorwort

Während das Zivilrecht das Verhältnis zwischen Bürgern untereinander regelt, widmet sich das Verwaltungsrecht dem Verhältnis zwischen Bürgern und den Verwaltungsorganen: Die Bürger haben unter bestimmten Bedingungen ein Recht auf die Erteilung einer Erlaubnis oder auf die Auszahlung einer Geldsumme, sie sind unter bestimmten Bedingungen verpflichtet, Eingriffe hinzunehmen, sie können Zugang zu Verwaltungsinformationen verlangen, sie können in Verwaltungsverfahren Stellungnahmen abgeben, usw.

Wenn die Verwaltung Rechte der Bürger missachtet, müssen diese bei den Gerichten Schutz ihrer Rechte suchen können. Georgien hat bereits im Jahre 2000, schneller als die meisten anderen Transformationsstaaten in Osteuropa und Mittelasien, durch einen Verwaltungsprozesskodex die rechtliche Grundlage für einen solchen Rechtsschutz geschaffen. Darauf aufbauend hat sich eine bedeutende Rechtsprechung zum Verwaltungsrecht entwickelt, die ebenfalls im Vergleich der Transformationsstaaten eine Pionierleistung darstellt.

Der Verwaltungsprozesskodex ist bisher zweimal novelliert wurden. Die erste Novelle fügte zwei neue Kapitel ein, eines über die Zulassung von behördlichen Untersuchungen bei Unternehmen, ein anderes über ein Verfahren zur Einziehung von illegal erworbenem Vermögen. Die zweite Novelle arbeitet die bisherige Erfahrung auf, die die Gerichte mit dem Kodex gemacht haben. Sie klärt eine größere Anzahl von offenen Auslegungsfragen und ändert Bestimmungen, die sich als ungeeignet oder unvollständig erwiesen haben.

Der vorliegende Kommentar erläutert den neuesten Stand des Verwaltungsprozesskodex. Er spricht noch bestehende Interpretationsfragen offen an und macht Lösungsvorschläge. Er hält auch Kritik an noch verbesserungsbedürftigen Bestimmungen nicht zurück.

Der Kommentar wurde von Praktikerinnen geschrieben, die lange Jahre am Distriktsgericht Tbilisi und am Obersten Gerichtshof tätig waren. Er fusst deshalb auf umfassender Erfahrung und bürgt für Praxisnähe. Er kann zugleich aber auch als eine Einführung in das Verwaltungsprozessrecht gelesen werden, die den Studierenden das Verständnis dieses Rechtsgebietes nahe bringt und der Rechtswissenschaft Material für eine wissenschaftliche Durchdringung bietet. Möge der Kommentar bei allen staatlichen Organen das Verständnis dafür wecken, dass eine unabhängige und qualitätsvolle Rechtsprechung in Verwaltungssachen eine unabdingbare Voraussetzung des Rechtsstaates ist, d.h. eines Staates, der nach Recht, nicht nach Willkür handelt.

Gerd Winter
Prof. an der Bremer Universität

წინასიტყვაობა

მოქალაქეთა ერთმანეთთან ურთიერთობის გარდა, სამართალი ასევე აწესრიგებს მათ ურთიერთობას ადმინისტრაციულ ორგანოებთან; მაგალითად, მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს გარკვეული ინფორმაცია ან თანხა, იგი გარკვეულ შემთხვევებში ვალდებულია დაჯერდეს შეზღუდვებს, ან მას აქვს უფლება, მიიღოს ესა თუ ის ადმინისტრაციული ინფორმაცია, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და სხვა...

თუ ადმინისტრაცია არღვევს მოქალაქის უფლება-მოვალეობებს, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს გზით. საქართველომ აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ყველა დანარჩენ გარდამავალ ქვეყანათა შორის პირველმა, ჯერ კიდევ 2000 წელს გამოსცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და ამით შექმნა სწორედ ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საფუძველი. ამ საფუძველზე განვითარდა მართლმსაჯულების მეტად მნიშვნელოვანი სისტემა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, რომელსაც სხვა გარდამავალ სახელმწიფოებთან შედარებით შეგვიძლია ასევე პიონერული ვუწოდოთ.

ზოგადი ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში აქამდე ორჯერ მოხდა ცვლილებების განხორციელება. პირველი ცვლილება ეხებოდა ორი თავის დამატებას, პირველი ითვალისწინებდა მეწარმეთა შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებას, ხოლო მეორე თავი განსაზღვრავდა დაუსაბუთებელი და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევის პროცედურას. თუმცა დღემდე არსებული გამოცდილება ადასტურებს იმას, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ამ თავის მრავალი დებულება ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს მოიცავს. ამას გარდა რამოდენიმე ნორმა გამოუსადეგარი და არასრულყოფილია.

წინამდებარე კომენტარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის უახლეს მდგომარეობის ნაყოფია. მასში საუბარია ღიად დარჩენილ საკითხებზე და აგრეთვე იგი შეიცავს წინადადებებს, რომელიც საჭიროა ამათუიშ პრობლემური ნორმის გაუმჯობესებისათვის. იგი მოიცავს აგრეთვე კრიტიკას იმ ნორმებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შეიცვალოს.

აღსანიშნავის, რომ კომენტარი დაწერილია იმ პრაქტიკოსების მიერ, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ თბილისის საოლქო და უზენაეს სასამართლოებში. აქედან გამომდინარე, წიგნი ეყრდნობა დიდ გამოცდილებას და ძალიან მჭიდრო მიმართებაში იმყოფება პრაქტიკასთან. კომენტარი ასევე შეასრულებს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში შესავლის ფუნქციას, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს აღნიშნული სამართლებრივი სფეროს უკეთ შესწავლასა და გაცნობაში. ამასთან, წიგნი სამართალმცოდნეობას უხვ მასალას მიაწვდის სამეცნიერო მუშაობის გაღვივებასა და წინსვლისათვის.

ვისურვებდი, რომ წინამდებარე კომენტარმა ყველა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან გამოიწვიოს იმის აღიარება, რომ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დამოუკიდებელი და მაღალხარისხიანი მართლმსაჯულება სამართლებრივი

სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ანუ იმ სახელმწიფოსი, რომელიც მოქმედებს არა თვითნებურად, არამედ კანონისა და სამართლის პრინციპების მიხედვით.

გერდ ვინტერი

ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი

სარჩევი

თავი I

ადმინისტრაციული პროცესის
ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო	13
მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები	15
მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი	25
მუხლი 4. შევზიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ	28

თავი II

განსჯადობა

მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები	31
მუხლი 6. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები	40

თავი III

მიუპარძომუბლობა, აცილება

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით პროცესის ხარჯები	45
--	----

თავი IV

პროცესის ხარჯები

მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი	46
მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება	49
მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის	50

თავი V

საპროცესო ვადები. სასამართლო
შეტყობინება და დაბარება

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა	52
მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა	54
მუხლი 13 ¹ . საგადასახადო საქმეთა განხილვის ვადა	56

მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები	57
მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით	60
მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში	61

თავი VII

სასამართლო მტკიცებულებები

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი	68
მუხლი 18. მონმე და ექსპერტიზა	69
მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ	72
მუხლი 20. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის	73
მუხლი 20 ¹ . სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვის წესი	74
მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება	76

თავი VII¹

ადმინისტრაციული სამართალწარმოება

მენარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით

მუხლი 21 ¹ . მოსამართლის ბრძანება მენარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე	77
მუხლი 21 ² . მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა	92
მუხლი 21 ³ . მენარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი	97

თავი VII²

ადმინისტრაციული სამართალწარმოება

თანამდებობის პირთა უკანონო და

დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა

და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

მუხლი 21 ⁴ . თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრა	115
მუხლი 21 ⁵ . ტერმინთა განმარტება	118
მუხლი 21 ⁶ . ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობა	121
მუხლი 21 ⁷ . ქონების დაყადაღება	123

მუხლი 21 ⁸ . ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები	124
მუხლი 21 ⁹ . თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა	126
მუხლი 21 ¹⁰ . სარჩელის დაუქმყოფილებლობის შედეგები	127
მუხლი 21 ¹¹ . დაუსრულებელი გადანყვეტილება	128

თავი VIII

ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე	130
მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე	135
მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე	137
მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი	139
მუხლი 25 ¹ . სახელშეკრულებო დავები	142
მუხლი 26. სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში	146
მუხლი 26 ¹ . დაუსრულებელი გადანყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა	148
მუხლი 26 ² . განმნესრიგებელი სხდომა	151
მუხლი 27. გამარტივებული სამართალწარმოება	155
მუხლი 28. დაქარბული ადმინისტრაციული სამართალწარმოება	157
მუხლი 29. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება	159
მუხლი 30. განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ	170
მუხლი 30 ¹ . განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ	171
მუხლი 31. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ	173
მუხლი 32. სასამართლო გადანყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად	

გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით	181
მუხლი 33. სასამართლო გადანყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით	189
მუხლი 33 ¹ . სასამართლოს გადანყვეტილება მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით	199

თავი IX

აპელაცია და კასაცია

მუხლი 34. სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობა	202
---	-----

თავი I

ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და განწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

1.1. ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა საქართველოში საფუძველი დაუდო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. ამ პროცესში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად წარმოჩენილ იქნა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. თუ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობით დარღვეულ იქნება ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ დამოუკიდებელ სასამართლოს. ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმიანობა, მიუხედავად მათი ფორმისა და გამოვლენისა, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა შესაძლებლობა მისცა თითოეულ მოქალაქეს, ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ მათი უფლებების დარღვევისას, სარჩელით მიმართოს ადმინისტრაციულ საქმეთა განხილველ სასამართლოს.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების განვითარებასა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისადმი სასამართლო კონტროლის განხორციელებაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და მესამე ხელისუფლების - სასამართლო ხელისუფლების - დამოუკიდებლობის გარანტიებს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების პარალელურად და არა იერარქიულად თანაარსებობას. თავის მხრივ, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლებელია დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან განცალკევებული სასამართლოების მიერ, იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს ემორჩილებიან.¹

¹ საქართველოს კონსტიტუცია, 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

1.2. ამ კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა დადგენილია საქართველოს ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ და მათ მიეკუთვნება რაიონული (საქალაქო), სააპელაციო, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სააპელაციო, საქართველოს უზენაესი სასამართლოები. საერთო სასამართლოთა მიერ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა ამ კოდექსით დადგენილი საპროცესო ნორმების შესაბამისად ხორციელდება, რომლებიც საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულებისა ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს მოქმედებს.

2.1. გავრცელებული სისტემებიდან ქართულმა ადმინისტრაციულმა საპროცესო კანონმდებლობამ აირჩია ერთ-ერთი, კერძოდ, ქართულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ზოგადად გამოიყენება, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებები. ამასთან, არ შეიძლება გამოიყენებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებანი, რომლებსაც კრძალავს ან სხვაგვარად ადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

მაგალითად: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის (დაუსწრებელი გადაწყვეტილება) დებულებები“.

ამ კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად კი: „ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად“.

2.2. ზოგჯერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულად აწესრიგებს ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას, ამასთან, იგი არ არის ამომწურავი და საჭიროებს ნაწილობრივ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას.

მაგალითად: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი - „მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში“, - არაფერს ამბობს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებზე, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ პროცესში ისინი არა გვყავს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

2.3. უნდა გამოვეყნოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც უცვლელად გამოიყენება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები: დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი კანონისადმი დამორჩილების, კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპები ასევე მოქმედებს ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში (მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, მე-4-დან მე-10 მუხლის ჩათვლით). ადმინისტრაციულ პროცესში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად წყდება მოსამართლეთა და სასამართლო შემადგენლობათა აცილების, საპროცესო ვადებთან დაკავშირებული და სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხები (25-36-ე მუხლები, 59-69-ე მუხლები, 177-190-ე მუხლები). ყველა იმ სამოქალაქო საპროცესო ნორმის ჩამოთვლა, რომელსაც უცვლელად იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, შორს წაგვიყვანს.

მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

2. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;

დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტა მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. (24.06.2005. №1800)

11. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა სახის დავები შეიძლება იქნას განხილული საქართველოს საერთო სასამართლოებში ამ კოდექსით დადგენილი წესით. მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ეს დავები ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ადმინისტრაციული სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია, რომელიც არეგულირებს ვერტიკალურ ურთიერთობებს ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის. ადმინისტრაციული სამართალი განსხვავდება სისხლისა და საკონსტიტუციო სამართლისაგან.

დასავლური კანონმდებლობის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალი იცავს საჯარო ინტერესს, ხოლო კერძო სამართალი - კერძო პირთა ინტერესებს. ადმინისტრაციული სამართალი განიმარტება როგორც დარგი, რომელიც აწესრიგებს მხარეთა უთანასწორობასა და დაქვემდებარებაზე დამყარებულ ურთიერთობებს. იმისათვის, რომ დავადგინოთ განეკუთვნება თუ არა ცალკეული საკანონმდებლო აქტი ადმინისტრაციულ სამართალს, უნდა გავარკვიოთ, შეიცავს თუ არა იგი ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების განსხვავებულ და სპეციალურ ნორმებს. სამივე კრიტერიუმი აშკარას ხდის ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს: საჯარო ინტერესს, ძალაუფლებასა და დაქვემდებარებას, ასევე, სპეციალურ წესებს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარის ავტორებმა არ გამოიყენეს არც ერთი ზემოაღნიშნული მიდგომათაგანი და შემოგვთავაზეს საკითხის გადაწყვეტის შედარებით მარტივი გზა, რომელიც ფორმალურ კრიტერიუმებზეა დამყარებული. მათი მოსაზრებით, ქართული კანონმდებლობის მიდგომის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფეროს.²

12. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი არის ზოგადი ნორმა, რომელიც აფართოებს ადმინისტრაციულ დავათა არეალს. შესაბამისად, არ არის ამომწურავი ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ჩამონათვალი, რადგან შეიძლება დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ არ შეესატყვისებოდეს მე-2 ნაწილში მოცემულ ჩამონათვალს.

ასე მაგალითად: თბილისის „არქმშენისსპეკციაშპ“-ის 2002 წლის 1 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, შესავალი, გვ. 16.

და მიუთითა შემდეგზე: ქ. თბილისში, სევანის ქ. №10-ში მცხოვრები მოქალაქეების გ. გ.-სა და დ. ქ.-ის მიერ აღნიშნულ მისამართზე სათანადო პროექტისა და ნებართვის გარეშე წარმოებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რითაც ირღვეოდა საქართველოს კანონის მოთხოვნები „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“. „არქმშენინსპექციამ, 2002 წლის 13 მარტს, მითითებული კანონის 4.5-ე, მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოიტანა №33 დადგენილება მოპასუხეების 3000 ლარით დაჯარიმების თაობაზე. ამასთან, სარჩელით მოპასუხისათვის, როგორც ჯარიმის დარიცხვა, ისე დარღვევის გამოსწორების დაგეგმვა მოითხოვა.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო იმ საფუძველით, რომ სარჩელი უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარებოდა და მოსარჩელეს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის უნდა მიემართა. კერძო საჩივრის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ დავათა კატეგორიას არ განეკუთვნებოდა და იგი განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატას გადასცა, რასაც არ დაეთანხმა აღნიშნული პალატა და განსჯადობის შესახებ დავა წამოიწყო.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი:

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ, 1997 წლის 14 ნოემბრის კანონის მე-6 მუხლის თანახმად, „არქმშენინსპექცია, მიმართავს სასამართლოს საჯარიმო თანხის ამოღებისა და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულების დაკისრების მოთხოვნით.

აღნიშნული კანონი საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და მოცემული სფერო ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, მართალია კონკრეტული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ჩამონათვალში არ გვხვდება, მაგრამ იგი ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რაც გამორიცხავს, დღეს უკვე დამკვიდრებული მოსაზრებით, მის კერძო-სამართლებრივ დავად მიჩნევას და მას ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიაკუთვნებს.

2.1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ადმინისტრაციული დავის საგნის კონკრეტული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

ამასთან, მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს:

ა) მასში საუბარია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აქ კანონმდებელი გულისხმობს, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიცია და სამართლებრივი მექანიზმები მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ.ქვეპუნქტ“ში და IV თავში. ისევე, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიცია და სამართლებრივი მექანიზმები მოცემულია მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე.ქვეპუნქტ“ში და XV თავში.

პირველ რიგში შეეჩერდებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელისუფლების განხორციელების ტიპიურ ინსტრუმენტად გვევლინება, რომელიც კანონების გამოყენებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო მიზნების განხორციელებისას ცალმხრივად ადასრულებს თავის სახელმწიფო უფლებამოსილებებს. აქ აუცილებელია აღინიშნოს ამ აქტისათვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი:

1. იგი ეხება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევას.
2. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს ე.წ. განსაზღვრულ ნორმას, უფრო სწორად, იღებს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებას.
3. მას აქვს გარე მოქმედება.

ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით ადმინისტრაციული ორგანო ადგენს, ასაბუთებს, ცვლის ან აუქმებს უფლება-მოვალეობებს.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტია, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად (2005 წლის 24 ივნისი), ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების ბაზაზე ჩამოყალიბდა 3 მუხლი (მე-60, მე-60¹ და 61-ე მუხლები), რომელმაც გამიჯნა კანონიერი, უკანონო და არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თავიდანვე ბათილია და, შესაბამისად, არ არის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე. ამასთან, მისი არარა აქტად ცნობა შეიძლება

ადიარებითი სარჩელის საფუძველზე.

არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან განსხვავებით, უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის მე-60¹ მუხლი) ძალაში შესვლასთან ერთად იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. თუ პირს სურს, თავიდან აიცილოს უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგები, ის ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში მოითხოვოს ამ აქტის ბათილად ცნობა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი აწესრიგებს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, რაც იწვევს მისი მოქმედების შეწყვეტას ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

საგულისხმოა, რომ ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტში საუბარია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, რაც ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას. სწორედ ეს არის სასამართლოს ფუნქცია - შემოწმოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და ბათილად ცნოს იგი, თუ არსებობს ამის წანამდგერები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით სასამართლო ახდენს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას (გარდა ამ კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა).

ამდენად, საინტერესოა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამ კოდექსის 22-ე მუხლში მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ წარმოადგენს სასამართლოს ფუნქციას ანუ არ არსებობს საჭიროება ამ უფლების სასამართლოს წესით დაცვისა (სზაკ-ის 61-ე მუხლი), თუმცა აღნიშნული მოსაზრება კანონმდებლობით არ არის რეგლამენტირებული.

ბ) ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიცია და სამართლებრივი მექანიზმები მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ, ქვეპუნქტში და V თავში, რომლის მიხედვით „ადმინისტრაციული ხელშეკრულება - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება“³.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი

ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად (2005 წლის 24 ივნისი), ნაცვლად „ადმინისტრაციული გარიგებისა“, შემოტანილი იქნა „ადმინისტრაციული ხელშეკრულების„ცნება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს, როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების შემოღებით ქართული ადმინისტრაციული სამართალი კიდევ უფრო დაუახლოვდა გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალს, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ საჯაროსამართლებრივ და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებებს. ძირითადი განმასხვავებელი ელემენტი მოცემულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციაში „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის ამ ხელშეკრულებაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, აუცილებელია ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, რადგან ხელშეკრულების მიზანი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაში უნდა ვლინდებოდეს.

განიხილება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებებს საერთო სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული გარემოება შესამჩნევად განტვირთავს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს, რაც დადებითად იმოქმედებს საქმეთა განხილვის ხარისხზე.

ამასთან, საგულისხმოა, რომ გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესატყვისად დამკვიდრებულია საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების ცნება, რომელიც თავის მხრივ იყოფა კოორდინაციულ-სამართლებრივ და სუბორდინაციულ-სამართლებრივ ხელშეკრულებებად.

კოორდინაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულება იდება თანაბარი უფლებების მქონე მხარეებს შორის, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის.

სუბორდინაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულება კი იდება იმ მხარეებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი დაქვემდებარებულია მეორეზე.

გ) ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ვ) ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ აღიარა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის და გზა მისცა ისეთ მიდგომას, რომელიც მრავალ გაუმართლებელ რისკსა და ხარჯს ააცილებდა ისედაც ვალდებულებებით დატვირთულ სახელმწიფო ხაზინას, ამასთან, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა განსაზღვრა ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმის მიუხედავად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერია თუ უკანონო (სზაკ-ის 209-ე მუხლი). ამასთან, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანის განსაზღვრისას არ უნდა იქნეს დაშვებული პასუხისმგებლობის ფართო ინტერპრეტაცია. კერძოდ, ნორმატიულ-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი უნდა იყოს აშკარა და პირდაპირი.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც გაცილებით ადრე ამოქმედდა, ვიდრე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლები).

ამდენად, დღეს მოქმედი სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა ცალსახად აღიარებს პრინციპს, რომ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო მოხელის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, პასუხს კითხვაზე, თუ ვისი განსჯადია აღნიშნული დავები, იძლევა სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გოქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ამ კოდექსით დადგენილი წესით უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო კანონმდებლობა, ვინაიდან სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად: „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“.

ასე მაგალითად: 2001 წლის 6 თებერვალს მოსარჩელე ზ. თ.-ამ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების მიმართ და მიუთითა შემდეგზე:

1997 წლის 11 ივნისს მის კერძო საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას მიენიჭა სახელმწიფო სანომრე ნიშნები, რაზეც გადაიხადა შესაბამისი გადასახადი.

2001 წლის 29 იანვარს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილებამ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ჩამოართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნები იმ მოტივით, რომ აღნიშნულზე არსებობდა საგზაო პოლიციის ქალაქ თბილისის სამმართველოს წერილობითი მითითება. მოსარჩელის აზრით, მოპასუხის უკანონო ქმედებით შეილახა მისი კონსტიტუციური უფლება საკუთრებაზე, 162 დღის განმავლობაში მოკლებული იყო სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებას, რამაც მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი. მოსარჩელემ უკანონოდ ჩამორთმეული სანომრე ნიშნის დაბრუნება, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ზ. თ.-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა სანომრე ნიშნების დაბრუნების თაობაზე, ხოლო მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ზ. თ.-ას სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ გასაჩივრებულ ნაწილში გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. თ.-ას სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე - 2000 ლარის ნაწილში - დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების მიერ ზ. თ.-ას უკანონოდ ჩამოერთვა მისი კუთვნილი ავტომანქანის სახელმწიფო სანომრე ნიშნები, რის გამოც 162 დღის განმავლობაში იგი მოკლებული იყო საკუთარი ავტომანქანით გადაადგილების შესაძლებლობას, რის საჭიროებასაც განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა მეუღლის ფეხმძიმობის პერიოდში.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით უცვლელად იქნა დატოვებული.

საუელისხმოა ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება დავები,

როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოსარჩელედ ადმინისტრაციული ორგანოები გვევლინება. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფილიალის თანამშრომლებმა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დაიტაცეს დიდი ოდენობით თანხა და ზიანი მიაყენეს ეროვნულ ბანკს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის სარჩელი განხილულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით იმ მოტივით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართული იყო იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილება ასევე ადმინისტრაციულ ორგანოთა სარჩელები ამა თუ იმ პირის მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობით ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რამდენადაც აღნიშნული დავები ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს.

ამდენად, მიზანშეწონილია ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალს დამატოს შემდეგი შინაარსის ახალი ქვეპუნქტი: „ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა სხვა პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების ან ქმედების განხორციელების თაობაზე, რაც საჯარო უფლებამოსილებებს უკავშირდება“.

ამის ნათელი მაგალითია საჯარო მოსამსახურისაგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეგრესის წესით იმ ზიანის ანაზღაურება, რაც ამ საჯარო მოსამსახურის უკანონო ქმედებით სხვა პირს მიაღდა.

ადმინისტრაციული ორგანოს ამ სახის სარჩელები საჯარო მოსამსახურეთა მიმართ ამ დამატების მიხედვით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა იქნეს განხილული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გ) ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იგი მოიცავს, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას.

ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, მაშინ, როცა მისი გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებაა, ამასთან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტია, რომელიც მისი მუდმივი

ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს შეიცავს.

ამ მხრივ საინტერესოა სზაკ-ის 211-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმადაც: „ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

ამდენად, კანონი ზოგჯერ იძლევა იმის შესაძლებლობას ან ვალდებულებას, რომ მომზადდეს და გამოიცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მიუხედავად ამისა, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს ხშირად არ სურს ამის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კანონი მესამე მხარეს ანიჭებდეს შესაძლებლობას, მოითხოვოს აქტის გამოცემა როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე სამართალწარმოების გზით. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულია კანონით.

გ) ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, განახორციელოს სხვა რაიმე ქმედება.

ტერმინი „განახორციელოს სხვა რაიმე ქმედება“, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, განახორციელოს სხვა რაიმე ქმედება, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსაგან ნებისმიერი ქმედების განხორციელების ვალდებულებას, მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვას, რაც თავისი ბუნებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა (ვინდიკაციური სარჩელი), თუმცა ამ მოსაზრების თანახმად, განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით აქ იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება. ამ მოსაზრების თანახმად, სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის თაობაზე (ვინდიკაციური სარჩელი) ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ იქნება ადრული თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, სასურველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სხვა რაიმე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე“.

1.1. დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპია. იგი გულისხმობს პროცესის მონაწილეთა „ბატონობას„დავის საგანზე და, აქედან გამომდინარე, მთლიანად სასამართლო პროცესზე. დისპოზიციურობის პრინციპი ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპის თანახმად, მხარეები თავად იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. თავადვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის თაობაზე. ამდენად, სასამართლო საქმის განხილვას იწყებს არა თავისი სამსახურებრივი ვალდებულების ძალით, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, ერთ-ერთი მონაწილე მხარის მიერ სასამართლოში სარჩელის (განცხადების) წარდგენის გამო. სარჩელი (განცხადება) შედგენილ უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა პასუხობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (178-ე და 303-ე მუხლები). მხარეთა მიერ დავის საგნის განსაზღვრა, შესაბამისად, დავის საგნის გაზრდა ან შემცირება, დისპოზიციურობის გამოხატულებაა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხარეთა პროცესუალურ „ბატონობას„გულისხმობს სამართალწარმოებაზე.

დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს მხარეს თავისი გადაწყვეტილებით ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი).

1.2. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო, მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. საქმის მორიგებით დაამთავრების შემთხვევაში მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არამართო იურიდიულად, ფაქტობრივადაც გადაწყდება. ამიტომ, სასამართლო უნდა ეცადოს, რომ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა მორიგებით დაამთავროს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე და 218-ე მუხლები).

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, ხოლო მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა დისპოზიციურობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. მითუმეტეს, რომ სარჩელზე უარის თქმას მეტად სერიოზული შედეგი უკავშირდება - საქმის წარმოების შეწყვეტა, რის შედეგადაც მას სამუდამოდ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი სასამართლოში იმავე მოპასუხის მიმართ (საქართველოს საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).⁴

⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 5

პროცესის მონაწილეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული, გაასაჩივრებენ თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასთან, მხოლოდ მათ შეუძლიათ უარი განაცხადონ გასაჩივრებაზე ან უკან გაითხოვონ მათ მიერ წარდგენილი სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი.

2.1. ამასთან, ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა გარკვეულწილად შეზღუდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს დისპოზიციურობა საქმის მორიგებით დამთავრების, სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის ცნობის შემთხვევაში. ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მაშასადამე, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით სასამართლოს ენიჭება დამატებითი ფუნქცია, შეამოწმოს რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას ანუ რამდენად კანონშესაბამისია ადმინისტრაციული ორგანოს უარი სარჩელზე, მის მიერ სარჩელის ცნობა ან მისი მონაწილეობით საქმის მორიგებით დამთავრება.

აღნიშნული შეზღუდვა გარკვეულწილად უკავშირდება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებას კანონის საფუძველზე. ამ პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ კრძალავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გაუთვალისწინებელი ფუნქციების შესრულებას, მაგრამ აქვე წარმოიშობა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება ან სამართლებრივი აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცდეს ზოგადი უფლებამოსილების საზღვრებს, რომელიც მას კანონის საფუძველზე აქვს განსაზღვრული.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება - უარი თქვას სარჩელზე, ცნოს სარჩელი ან საქმე მორიგებით დაამთავროს, დამოკიდებულია არა მის მოსაზრებებსა და შეხედულებებზე, არამედ იმაზე, შეესაბამება თუ არა ამგვარი გადაწყვეტილება მისთვის კანონით განსაზღვრულ ზოგად უფლებამოსილებებს, საქმიანობის მიზნებს და, საბოლოო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობას.

2.2. ამ ნორმაში მნიშვნელოვანი არის ის, რაც მკაფიოდ არ იკითხება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოს გადასაწყვეტია. კერძოდ,

სასამართლო ვალდებულება (და არა უფლებამოსილი) შეამოწმოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს უარი სარჩელზე, მის მიერ სარჩელის ცნობა ან მისი მონაწილეობით საქმის მორიგებით დამთავრება ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს კანონმდებლობას და იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, არსებითად განიხილავს საქმეს და გამოიტანს გადაწყვეტილებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს იტყვის საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, მის დაუსწრებლად გამოიტანს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

1.1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს, როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი. უნდა ითქვას, რომ გარკვეულწილად ეს პრინციპები ერთმანეთს უპირისპირდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ამ პრინციპის მიხედვით, მტკიცების საგნის განსაზღვრა და ამ საგანში შემაჯავლი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მხარეებს. შეჯიბრებითობა ნიშნავს მოდავე მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას განკარგონ ფაქტიური გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და წარმოსადგინონ მტკიცებულებები

ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის.⁵

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ასე, მაგალითად: სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მტკიცებულებები მხარეთა შუამდგომლობით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე და 203-ე მუხლები), სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი) და ა.შ.

1.2. ამ პრინციპის პარალელურად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც თავისი სამსახურებრივი ვალდებულების ძალით იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (სასკო-ის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი). სასამართლოს შეხედულებაზე ასევე დამოკიდებული, თუ რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი არა.

ამასთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, თავად წყვეტს საკითხს მესამე პირთა მოწვევის შესახებ, საგულისხმოა ისიც, რომ სასამართლოს მიერ მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი (სასკო-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი).

ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველმა სასამართლომ არ შეიძლება დაუშვას, რომ მოსარჩელის მიერ საკანონმდებლო ნორმების არცოდნამ სარჩელის დაუკმაყოფილებლობა გამოიწვიოს. სასამართლო ვალდებულია იქონიოს მსჯელობა იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის და არ ყოფილა განხილული არც ადმინისტრაციული წარმოებისა და არც სამართლებრივი დავის მიმდინარეობის პროცესში.

1.3. როგორც დავინახეთ, ეს ორი პრინციპი თავისი მოქმედებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, სასამართლომ უნდა შეძლოს მათი ურთიერთშეჯერება. ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ

⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 8

სასამართლოს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, არ უნდა იქცეს პროცესის მონაწილეთა პასიურობის მიზეზად. სასამართლოს აქტიური როლის მიუხედავად, მხარეებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და პირველ რიგში თავად წარადგინონ მტკიცებულებები.

თავი II განსჯადობა

მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. (24.06.2005. №1800)

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის სამართლებრივ კონტროლს საქართველოში ახორციელებს საერთო სასამართლოები და არა ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოები, როგორებიც შექმნილია მაგალითად, გერმანიასა თუ საფრანგეთში.

კოდექსის ეს თავი განსაზღვრავს სასამართლოსადმი ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივ განსჯადობას. საგნობრივი განსჯადობის საკითხი აქტუალური ხდება მხოლოდ საქმის ადმინისტრაციული სასამართლოსადმი უწყებრივი დაქვემდებარების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ. (დაწვრილებით უწყებრივი განსჯადობის თაობაზე მკითხველს შეუძლია წაიკითხოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის კომენტარში).

რაც შეეხება, ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიული განსჯადობის საკითხს, იგი წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (მე-15-24 მუხლები) და არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. გამონაკლისს წარმოადგენს ადმინისტრაციული სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის საკითხი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულად აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული საქმე აღიძვრება სარჩელით, რომელიც უნდა პასუხობდეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საპროცესო წინამძღვრები). სარჩელის აღძვრის პირველი აუცილებელი მოთხოვნა სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენაა. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული ადმინისტრაციული სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ეს საქმე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწ. შესაბამისად, თავისი უფლებისა და თავისუფლების დასაცავად პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის

ადმინისტრაციული საჩივრის წარუდგენლად.

საქართველოსაგან განსხვავებით გერმანიის ადმინისტრაციული სამართალწარმოების კანონის შესაბამისად (პარაგრაფი 68) ადმინისტრაციული აქტის გაუქმების მოთხოვნით სარჩელის წარდგენამდე, დაინტერესებულმა პირმა შესაბამისი საჩივრით ჯერ უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს.

ნიდერლანდების ზოგადი ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად (მუხლები 8:1 და 7:1) დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, თუ ადმინისტრაციულ ორგანოში მისი საჩივარი არ იქნება დაკმაყოფილებული.

კარგი იქნება, თუ საქართველო გაითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართლის დარგში უზარმაზარი ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილებას ამ საკითხთან დაკავშირებით და სარჩელის სასამართლოში აღძვრის წინაპირობად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის წარდგენასა და განხილვას.

2000 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 15 ივლისამდე მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციის წესით განიხილავდა რაიონული, საოლქო, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. რაიონულ სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციის წესით განიხილავდნენ რაიონული სასამართლოების მოსამართლეები ერთპიროვნულად, საოლქო სასამართლოების დონეზე - სპეციალიზირებული კოლეგიები და პალატები სამი მოსამართლის შემადგენლობით კოლეგიურად, ხოლო უზენაესი სასამართლოს დონეზე - სპეციალიზირებული ადმინისტრაციული კოლეგიები ერთი პროფესიონალი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

„საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ„ საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე შეიცვალა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოს სისტემაში ძველი სააპელაციო სისტემის რეფორმირებით შეიქმნა ახალი სააპელაციო სასამართლო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო, მოხდა საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების ლიკვიდაცია. ცვლილებების შესაბამისად, პირველი ინსტანციის წესით საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში რაიონული სასამართლო კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში კანონმა გაითვალისწინა მაგისტრატი მოსამართლეების არსებობის შესაძლებლობა. მაგისტრატი მოსამართლე, ორგანული კანონის თანახმად

არის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში და რომელიც საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას მიკუთვნებული საქმეები განისაზღვრა საპროცესო კანონმდებლობით.

საქართველოსაგან განსხვავებით მაგისტრატურის სასამართლო სისტემა, რომელიც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში ასევე არის ქვეყნის სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, თუმცა მაგისტრატი მოსამართლეები არ მიეკუთვნებიან ამერიკის კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსამართლეებს და მათი დანიშვნა ხდება საოლქო მოსამართლეების მიერ იმ რაოდენობითა და იმ ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებსაც განსაზღვრავს მოსამართლეთა კონფერენცია. ამერიკის მაგისტრატურის სასამართლოების შექმნის მიზანი სასამართლო დავების სწრაფი, ეფექტური და იაფი გადაწყვეტა გახლდა. ამ მიზნის მისაღწევად მაგისტრატურის სასამართლოს სხდომები ნაკლები ფორმალიზმით გამოირჩევა და საპროცესო კანონის მოთხოვნები მათ მიერ სრული მოცულობით არ გამოიყენება.

საქართველოში მაგისტრატ მოსამართლეს საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას შედარებით გამარტივებული და დანქარებული პროცედურით განიხილოს მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის “ვ” პუნქტით გათვალისწინებული საქმეები, მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე. ვფიქრობთ, თუ საქართველოს კანონმდებლობა არ განუსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლეებს ზოგიერთ საპროცესო ნორმათა გამოყენების დისკრეციულ უფლებამოსილებას, ისინი ვერ შესძლებენ საქმეთა სწრაფად და ეფექტიანად განხილვას, გადაწყვეტას. კვლავ გაგრძელდება გაჭიანურებული საქმეების სასამართლოებში დაგროვების ტენდენცია და არ ამუშავდება პრინციპი, რომლის თანახმადაც მარტივი საქმეები მარტივად და სწრაფად უნდა წყდებოდეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის ორგანული კანონის მიღების შემდეგ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსიში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის შესაბამისად, ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის იმ დებულებებში, რომლებიც აწესრიგებენ ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივი განსაჯადობის საკითხებს. კერძოდ, კოდექსის მე-2 თავი (მე-5-6 მუხლები) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კოდექსის მე-5 მუხლით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, ხოლო მე-6 მუხლით მაგისტრატ მოსამართლის განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები.

სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეთა უმრავლესობას რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს. გამონაკლისია კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეები, რომლებსაც პირველი ინსტანციის წესით მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს.

“საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ” ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2005 წლის 23 ივნისის ორგანული კანონით განისაზღვრა, რომ უზენაესი სასამართლოს პალატა არის საკასაციო უფლებამოსილების განმხორციელებელი ორგანო, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და არ განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციის წესით, როგორც ეს აქამდე იყო. მაგალითად, “საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება საჩივრდებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, “რეფერენდუმის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ცსკ-ს გადაწყვეტილება რეგისტრაციაში გატარებაზე უარის შესახებ რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის მიერ საჩივრდებოდა უშუალოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. გარდა ამისა საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 77-ე მუხლი ადგენდა საარჩევნო დაგების იმ კატეგორიას, რომელთა პირველი ინსტანციის წესით განიხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია იყო. ორგანულ კანონებში “საქართველოს მოქალაქეობის შესახებ”, “რეფერენდუმის შესახებ” და “საქართველოს საარჩევნო კოდექსში” 2005 წლის 23 ივნისს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე დავას განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

თუმცა, დღეის მდგომარეობით არსებობს საკანონმდებლო ხარვეზიც. კერძოდ, ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად თუ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრები ამ კანონით დადგენილ ვადაში არ ჩაირიცხება ცსკ-ს ანგარიშზე, იგი უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სახეზეა კოლიზია ორ ორგანულ კანონს შორის, რა დროსაც “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა, ე.ი მოქმედებს ორგანული კანონი “უზენაესი სასამართლოს შესახებ”, რომლის თანახმადაც საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო უფლებამოსილების განმხორციელებელი ორგანო და იგი არ განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციის წესით. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ვფიქრობ, საარჩევნო კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ცსკ-ოს სარჩელს პირველი

ინსტანციის წესით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განიხილავს. თუმცა კარგი იქნება ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება.

გარდა ამისა ადმინისტრაციული საქმეების პირველი ინსტანციის წესით განმხილველი ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიები გაუქმდა საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, ამ სასამართლოების ნაცვლად ჩამოყალიბდა წმინდა სააპელაციო, ანუ მეორე ინსტანციის სასამართლოები.

მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. აღნიშნული ნორმის თანახმად რაიონული სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს მაგისტრატ მოსამართლის განსჯადი ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმეებიც, თუ მის სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში რაიმე მიზეზის გამო არ დაინიშნა მაგისტრატი მოსამართლე.

შემოგთავაზებთ პირობით და არასრულ ჩამონათვალს იმ სარჩელებისა, რომლებსაც მე-5 მუხლის მიხედვით პირველი ინსტანციის წესით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოები:

ა) სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე.

აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზოგადად უნდა ექცეოდეს ადმინისტრაციული სამართლით და არა საჯარო სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებულ სფეროში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იწვევდეს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი ურთიერთობის დამკვიდრებას, შეცვლას ან გაუქმებას. როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობა ექცევა საკონსტიტუციო სამართლის სფეროში ასეთი სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ უნდა ხდებოდეს. ასე მაგალითად, გერმანიის ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ კანონის 40.1 პარაგრაფის შესაბამისად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის დავებს ადმინისტრაციული სასამართლოები არ განიხილავს. კერძოდ, არ განიხილავს დავებს, რომლებშიც მხარეს საკონსტიტუციო ორგანო წარმოადგენს და დავის შინაარსიც კონსტიტუციურ ხასიათს ატარებს. ასეთ დავებს განიხილავს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ან მიწების საკონსტიტუციო სასამართლო.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ 2003 წლის 22 მაისის N3გ-ად-440-კს-03 მიღებული განჩინება, რომელშიც სასამართლომ განმარტა:

„საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გამოცემული აქტი საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევის შესახებ არის შექმნილი საჭიროებით გამოწვეული პოლიტიკური აქტი, საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს ფართო დისკრეციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განკარგულება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ დასაშვებია სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს მიზნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ არ განეკუთვნება სას-კ-ის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2003 წელი, №7, გვ. 1769-1773)

რაც შეეხება, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ასეთი სარჩელი უწყებრივად არ არის ადმინისტრაციული სასამართლოს განსახილველი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) პუნქტის შესაბამისად, მის მიღებაზე მხარეს უარი უნდა ეთქვას. თუმცა, თუ მოსარჩელე ითხოვს საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგება კანონს, რაიონული (საქალაქო) სასამართლო წარმოებაში მიიღებს სარჩელს და განიხილავს მას.

ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტის მიმართ აღძრულ სარჩელებს (სას-კ-ის 22-23 მუხლები) ასევე განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოები.

ბ) სარჩელი საქართველოს სამთავრობო დაწესებულების (პრემიერ - მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის, სამინისტროს, მინისტრის) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელების, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების, აქტის გამოცემის ქმედების განხორციელების თაობაზე. მკითხველის ყურადღება ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა “აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონი. ახალი კანონით ახლებურად განისაზღვრა საქართველოს მთავრობის სტრუქტურა. კერძოდ, კანონის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების

განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს - დადგენილებებსა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებს - განკარგულებებს.

კანონის თანახმად, პრემიერ-მინისტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს. მთავრობა და პრემიერ-მინისტრი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ და მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელები პირველი ინსტანციის წესით რაიონულმა სასამართლოებმა უნდა განიხილონ. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ, “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონი აღარ ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში საქვეუწყებო დაწესებულებათა არსებობას და ყველა საქვეუწყებო დაწესებულება გადავიდა სამთავრობო დაწესებულებათა დაქვემდებარებაში.

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში გასაჩივრდება საქართველოს ექვსი ქალაქის - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, სოხუმი, ბათუმი და ფოთის - საკრებულოებისა და მერიების (მერების) ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები.

რაც შეეხება ქ.თბილისის მმართველობას, “საქართველოს დედაქალაქის –თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლი თბილისის მერიას განსაზღვრავს, როგორც ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოთა სისტემას (თბილისის მთავრობა, მისი რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგებები, რაიონებში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები). ამდენად, კანონის თანახმად, თბილისის მერია არის არა მხოლოდ თბილისის მერი და მისი აპარატი, არამედ, თბილისის მთავრობა, მისი რაიონები, დაბა წყნეთის გამგებები, რაიონებში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები და მათ მიერ გამოსცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე სარჩელს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

დ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს სარჩელს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ან შესრულების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ზ) პუნქტის ახალი რედაქციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება განიმარტა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული

სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ვფიქრობთ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ზ) პუნქტის ძველი რედაქცია ცალსახად გულისხმობდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და არა ყველა დანარჩენ გარიგებას, რადგან მიუთითებდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის № 3გ-ად-23გ-02 განჩინებით განიმარტა, რომ "...ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოზე მიღების ან გათავისუფლების შესახებ არ არის ადმინისტრაციული აქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია საჯარო შრომითი სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლისა". დიდი პალატის განჩინებით, სარჩელი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე განსახილველად პირველი ინსტანციის წესით დაექვემდებარა რაიონულ სასამართლოს.

გერმანული ადმინისტრაციულ სამართალი იყენებს ტერმინს - საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულება და მას განმარტავს, როგორც საჯარო სამართლებრივი შედეგების დადგომის მიზნით, საჯარო-სამართლებრივ საგანზე სულ მცირე სამართლის ორ სუბიექტს შორის შეთანხმებას და ასეთი ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე სუბიექტი ყოველთვის ადმინისტრაციული ორგანოა. გერმანული ადმინისტრაციული სამართალი ანსხვავებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხელშეკრულებას კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან და საჯარო სამართლებრივ ხელშეკრულებაში გულისხმობს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიმართულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების დაკვიდრების, შეცვლის ან გაუქმებისაკენ. ჩვენი აზრით, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნების ცალმხრივი გამოვლენა, რომელსაც არ სჭირდება იმ პირის თანხმობა, რომლისკენაც ეს ნება მიმართულია, ყოველთვის ადმინისტრაციული აქტია.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და ადმინისტრაციული აქტის გამიჯვნის თაობაზე დაწვრილებითი კომენტარი მკითხველს შეუძლია წაიკითხოს მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) და ბ) პუნქტების კომენტარში, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის დ), ე), ზ) პუნქტებისა და 65- მუხლის კომენტარში.

რაც შეეხება, სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტირებულ პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის ან გაუსვლელობის

ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება და უფლების აღდგენა, უნდა განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და პროცედურით და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 26 მარტის №3გ-ად-2-კ-03 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2003 წელი 5, გვ.1141-1145)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი. ამ წესის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ შემთხვევაში სარჩელი აღიძვრება სახელმწიფო უმაღლესი ორგანოს მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიმართ. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო, სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღიძვრება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს და არა კერძო პირის მიმართ. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში კერძო პირი საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას როგორც სავალდებულო მესამე პირი (სას.კ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი)

ე) სარჩელი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილების თაობაზე. საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებია: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. აგრეთვე ყველა ის ორგანო, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მომავალში ექნება კონკრეტული სფეროს დამოუკიდებელი რეგულირების ფუნქცია და რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის

თანახმად განისაზღვრება როგორც დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანო.

ე) სარჩელი თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

სარჩელი შეიძლება აღძრულ იქნეს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ და ასეთი სარჩელის აღძვრის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აქვს მხოლოდ პროკურორს და არა რომელიმე სხვა დაინტერესებულ პირს. სარჩელის განხილვის თავისებურებანი განისაზღვრება კოდექსის VII² თავით.

აქვე კიდევ ერთხელ გვსურს იმის აღნიშვნა, რომ გაკეთებული ჩამონათვალი არ არის სრული, რადგან შეუძლებელია რაიონულ სასამართლოს განსჯად საქმეთა ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება. ამასთან, ასეთი აუცილებლობა არც არსებობს, რადგან გარდა კოდექსის მე-6 მუხლში მითითებული საქმეებისა ყველა სხვა დანარჩენ საქმეს განიხილავენ რაიონული სასამართლოს მოსამართლეები. რაც შეეხება ზემოაღწერილ ზოგიერთი კატეგორიის საქმეს, მათზე ყურადღების გამახვილება ემსახურება მკითხველისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენისა და თვალსაჩინოების მიზანს.

მუხლი 6. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ; (24.06.2005. 1800 ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან)

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემონგების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე. (24.06.2005. 1800)

1. მე-5 მუხლისაგან განსხვავებით, მე-6 მუხლი ითვალისწინებს იმ საქმეების სრულ და ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა განხილვა-გადაწყვეტა მაგისტრატ მოსამართლის კომპეტენციას წარმოადგენს. ეს ჩამონათვალი არ ექვემდებარება განვრცობასა და გაზრდას.

თუ 2000 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 15 ივლისამდე მე-6 მუხლი განსაზღვრავდა საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების განსჯად საქმეებს, კანონის დღეს არსებული რედაქციის შესაბამისად იგი განსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლის განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებს. შეიძლება ითქვას, რომ მაგისტრი მოსამართლე პირობითად მცირე სარჩელთა განმხილველ მოსამართლეს წარმოადგენს. საქართველოში მაგისტრატი მოსამართლე მოიაზრება საერთო სასამართლოს სისტემაში და იგი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსამართლეს წარმოადგენს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლის განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებს. როგორც წესი, ეს ის დავებია, რომლებიც არ გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით, თუმცა ამ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია მათი სწრაფად, ზედმეტი დაყოვნების გარეშე განხილვასთან. ვფიქრობთ, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია სპეციალური საპროცესო ნორმების გარეშე, რომელთა საფუძველზე თავის განსჯად საქმეებს მაგისტრატი მოსამართლეები გამარტივებული და სწრაფი სამართალწარმოების წესით განიხილავენ. ვფიქრობ, ასეთი პროცედურა და შესაძლებლობა მაგისტრატ მოსამართლეს დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ გააჩნია, რადგან მანაც ისევე როგორც რაიონულმა მოსამართლემ, სრულად უნდა დაიცვას საპროცესო კანონით გათვალისწინებული ყველა ფორმალობა.

2. მე-5 მუხლის “ა” პუნქტის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეებს სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში საკრებულოებისა და გამგებობების (გამგებლების) მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი შეიძლება წარედგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედ მაგისტრატ მოსამართლეს. საქმის განსჯადობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას თუ ვინ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი სუბიექტი, დავის საგანი ყოველთვის სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში,

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება იქნება. სასარჩელო დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ამ ადმინისტრაციულ ორგანოთა როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, კანონის ახალი რედაქცია არ ითვალისწინებს სარჩელს სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ აქტის გამოცემისა თუ ქმედების განხორციელების თაობაზე. ვფიქრობ, ეს კანონის ისეთი ხარვეზია, რომლის სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და ნორმის განმარტებით შევსება შეუძლებელია. რაც არ უნდა უცნაური იყოს დღეს არსებული კანონის რედაქციის მიხედვით, მითითებული სარჩელები რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და არა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია. შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდის დონეზე დავასკვნათ, რომ კანონმდებლის მიზანი იყო აღნიშნული საქმეების მაგისტრატ მოსამართლის განსჯადი საქმეებად მიკუთვნება.

ამიტომაც ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მე-6 მუხლის “ა” პუნქტს სიტყვების “კანონიერების” შემდეგ დაემატება სიტყვები “აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების”.

რაც შეეხება სარჩელებს ქალაქების თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, სოხუმი, ბათუმი და ფოთის - საკრებულოებისა და მერიების (მერების) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინდივიდუალური და ნორმატიული აქტებს კანონიერების, მათ მიერ აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების თაობაზე მათ განიხილავენ შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და არა მაგისტრატი მოსამართლე.

3. მე-6 მუხლის “ბ” პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ საქმეებს 2006 წლის 1 იანვრიდან განიხილავენ მაგისტრატი მოსამართლეები. ამ ნორმის ამოქმედების გადადება განპირობებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში დაწყებულ და მიმდინარე რეფორმასთან. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივის საფუძველზე შექმნილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ახალი კანონმდებლობის შემუშავებული კომისია და ამ მიმართულებით მიმდინარეობს კანონშემოქმედი საქმიანობა. სავარაუდოდ, იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის გამო, რომელსაც კანონმდებელი არ მიაკუთვნებს სისხლისსამართლებრივ გადაცდომას, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დადგენილების ნაცვლად გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს. ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლოში

გასაჩივრდება საერთო სასარჩელო წესით და ამ სარჩელს 2006 წლის 1 იანვრიდან განიხილავს მაგისტრატე მოსამართლე.

4. მე-6 მუხლის “გ” პუნქტის თანახმად მაგისტრატე მოსამართლე განიხილავს ასევე სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე აღძრულ ნებისმიერ სარჩელს. სოციალური დაცვის სარჩელი დაკავშირებულია, როგორც წესი საპენსიო უფლებასთან, სოციალური სახის დახმარების მიღების უფლებასთან ან ნებისმიერი შეღავათისთ სარგებლობის უფლებასთან (სტიქიური უბედურების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მრავალშვილიანი დედების დახმარება, მარტოხელა დედის დახმარება, დევნილთა დახმარება და შემწეობა, ზოგიერთი კატეგორიის თანამდებობის პირებისათვის კანონით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები, უფასო სამედიცინო დახმარება) და შეიძლება აღიძრას დარღვეული უფლების დაცვის ან აღდგენის მიზნით.

5. მე-6 მუხლის “დ” პუნქტი ანიჭებს მაგისტრატე მოსამართლეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის განხილვის უფლებას. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში იგულისხმება როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმის წარმოება არსებითად წყდება, ისე სასამართლოს განჩინება, რომლითაც საქმის წაროება მთავრდება მისი არსებითად გადაწყვეტის გარეშე (მაგალითად, სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე). ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ბუნდოვანი და გაუგებარი, იგი არ უნდა შეიცავდეს საეჭვო და სავარაუდო დებულებებს. თუ ამა თუ იმ მიზეზების გამო, სასამართლო გადაწყვეტილება გაუგებარია, მისი გამომტანი სასამართლო უფლებამოსილია განმარტოს ის, გამოასწოროს დაშვებული უზუსტობა თუ შეცდომა. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე და 260-ე მუხლები). სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესს არეგულირებს მკითხველის ყურადღება გვსურს გაავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ზემოდაღნიშნული საკითხების განხილვა სასამართლოში ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹-ე მუხლით განსაზღვრული წესით და არა საერთო სასარჩელო წესით. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ საკითხებს განიხილავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო.

რაც შეეხება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს, მათ განიხილავს მაგისტრატე მოსამართლე და არა ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო. საერთო სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოსა და

კერძო არბიტრაჟის აქტების შესრულების წესსა და პირობებს განსაზღვრავს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონი . აღსრულების პროცესში შეიძლება სადავო გახდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, ისე აღსრულების დიაობა. ამ კრიტერიუმების შესაბამისად დავები შეიძლება დაიყოს სამოქალაქო-სამართლებრივ და საჯარო-სამართლებრივ დავებად. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დავებს მაგისტრაცი მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ასეთია, მაგალითად სარჩელი აღმასრულებლის ქმედებასთან (მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან) დაკავშირებით, იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ და ა.შ. აღწერილობით სიიდან ქონების ამორიცხვის გამო აღძრული სარჩელი შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქო, ისე საჯარო-სამართლებრივი ხასიათის, ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებიდან გამომდინარე. უფრო დეტალურად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების თავისებურებებს მკითხველს შეუძლია გაეცნოს ქნ მზია თოდუას პუბლიკაციაში, ჟურნალი “საქართველოს მოსამართლეები” 2005 წელი, №3 (5), გვ. 93-105.

6. კოდექსის მე-6 მუხლს “ე” პუნქტის თანახმად საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით სარჩელებს აგრეთვე განიხილავს მაგისტრაცი მოსამართლე. ამ დებულების შესაბამისად, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელს განიხილავს მაგისტრაცი მოსამართლე. ეს ის დავებია, რომლებიც გამომდინარეობს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონიდან. კერძოდ, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებია: სამსახურში მიღება, მოსამსახურის უფლებები და გარანტიები, სამსახურებრივი მოვალეობები, რანგირების საკითხები, მოხელის წახალისება, სამსახურებრივი დაწინაურება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, ატესტაცია, სამსახურიდან გათავისუფლება და ა.შ. ცალსახად საკითხთა წრე საკმაოდ ფართოა და ამ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა სასამართლოებში ძალზე ბევრია.

7. მაგისტრაცი მოსამართლე განიხილავს საქმეებს კოდექსის მე-6 მუხლის მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს შეუძლია წაიკითხოს კოდექსის მე-7¹-ე თავის კომენტარი.

თავი III მიუკერძოებლობა, აცილება

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (25.10.2000)

სასამართლოს შემადგენლობა და აცილება სრულად არის მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 თავის დებულებანი (მუხლები 25-36-ე)

კერძოდ, ეს საკითხებია: სასამართლოს შემადგენლობა; განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვა; კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტა; თათბირის საიდუმლოება; საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა; სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა; მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები; თვითააცილება; მხარეთა განცხადება აცილების შესახებ; განცხადებული აცილების გადაწყვეტის წესი; ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება; აცილების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, ითვალისწინებს საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის დაუშვებლობის ისეთ დამატებით საფუძველს, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. კერძოდ, სასკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის კ) პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. რაც შეეხება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ეს არის საქართველოს საერთო სასამართლოების საქმიანობა, მათ მიერ ადმინისტრაციული სამეცხის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. თუ თანამდებობაზე გამწესებამდე მოსამართლე, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ ადმინისტრაციული საქმის სასამართლოში განხილვა-გადაწყვეტაში.

თავი IV პროცესის ხარჯები

მუხლი 8. ამოღებულია (24.02.2000. 169 საკანონმდებლო მაცნე)

მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი

1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

2. დავის საგნის ფასს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული გარდა, განსაზღვრავს სასამართლო.

3. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

4. ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მენარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას. (24.06.2005. №1800)

პროცესის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5-ე თავის დებულებანი. კერძოდ, ცნებათა განსაზღვრება (მუხლი 37); სახელმწიფო ბაჟი (მუხლი 38); სახელმწიფო ბაჟის ოდენობა (მუხლი 39); დავის საგნის ღირებულება (მუხლი 40); დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში (მუხლი 41); დავის საგნის ფასის წინასწარი განსაზღვრა (მუხლი 42); სარჩელის ფასის განსაზღვრის წესი არაქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს (მუხლი 43); საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (მუხლი 44); მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის გადასახდელი თანხები (მუხლი 45); სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება (მუხლი 46); სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ (მუხლი 47); სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან განაწილვადება და მათი ოდენობის შემცირება (მუხლი 48); სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება (49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი); ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება (მუხლი 50); მოპასუხისა და მოვალის მოძებნა (მუხლი 51); მხარის მიერ სასამართლო ხარჯების წინასწარ შეტანა (მუხლი 52).

ამასთან ერთად, სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9-11 მუხლებით განსხვავებულად არის მოწესრიგებული.

1. ამ ნორმის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ისე ‘სახელმწიფო ბაჟის შესახებ’ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს ემატება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი შედეგით და, თუ სარჩელი დაკავშირებულია საპენსიო უფლებასთან, სოციალური სახის დახმარებასთან (სტიქიური უბედურების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მრავალშვილიანი დედის დახმარება, მარტოხელა დედის დახმარება), უფასო სამედიცინო დახმარებასთან, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის განხილვისას. ეს ნორმა უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი პირებისათვის ადმინისტრაციულ საქმეებზე მართლმსაჯულების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას.

2. ადმინისტრაციული სარჩელის ყველაზე გავრცელებული სახეა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ამ კატეგორიის სარჩელების უმრავლეს შემთხვევაში დავა ატარებს არაქონებრივ-სამართლებრივ ხასიათს და ასეთი დავებისათვის სარჩელის ფასის განსაზღვრის უფლებას კანონი სასამართლოს ანიჭებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინებით და რა წესებით უნდა დაადგინოს სასამართლო სარჩელის ფასი. როგორც წესი, სასამართლოები ხელმძღვანელობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43- ე მუხლის ბ) პუნქტით, რომლის თანახმადაც არაქონებრივი დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება საქმის ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათ შემოსავალი. ვფიქრობთ, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი კრიტერიუმებია დამაკმაყოფილებელი. ასეთი ზოგადი კრიტერიუმების არსებობა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დავის საგნის განსაზღვის საკითხზე მიიღოს სუბიექტური გადაწყვეტილება.

ასეთი ნორმის არსებობა ნაკლებად იცავს სასამართლოში სარჩელის შემომტანი პირის უფლებას წინასწარ იცოდეს რა ოდენობის სახელმწიფო ბაჟი უნდა გადაიხადოს მან საქმის სასამართლოში განხილვისათვის. სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. ზოგიერთი სასამართლო, არაქონებრივი დავების დროს სახელმწიფო ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს 30 ლარის ოდენობით, ზოგი - 100 ლარის, ზოგიერთი - 300 ლარის ან 1000-5000 ლარამდე ოდენობით. ჩვენი აზრით, სასურველია კანონმა დაადგინოს სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრის რეალური და ნათელი კრიტერიუმები.

3. სახელმწიფო ბაჟის განახევრებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ წესს. კერძოდ, ასკ-ს მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნებისმიერი საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში განახევრდება მხოლოდ სახელმწიფო ბაჟი.

საქმის შეწყვეტის შემთვევებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლი ადგენს უფრო ფართო შეღავათებს და ითვალისწინებს მთლიანად სასამართლო ხარჯების ოდენობის განახევრებას თუ საქმის წარმოება წყდება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, ან მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგებით. აღნიშნული ნორმა არ გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით სხვა რამ არის დადგენილი.

4. ადმინისტრაციულ საქმეებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უმნიშვნელოვანეს საპროცესო გარანტიას წარმოადგენს ნორმა, რომლის თანახმადაც ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არც ერთ სასამართლო ინსტანციაში არ დააბრკოლებს ადმინისტრაციული საქმის განხილვასა და გადაწყვეტას. ამ ნორმის მიხედვით დავის ქონებრივი თუ არაქონებრივი ხასიათის მიუხედავად, ფიზიკური პირი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდისაგან. შესაბამისად, ნებისმიერ ფიზიკურ პირს მისი ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად გარანტირებული აქვს სასამართლოში სარჩელის დაუბრკოლებლად წარდგენის უფლება. დაუშვებელია ფიზიკური პირის სარჩელის უმოძრაოდ დატოვება სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადაუდებლობის საფუძვლით. ამ ნორმით დაცულია ფიზიკური პირის უფლება სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე სასამართლომ განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება მის საქმეზე.

ამასთან, ეს ნორმა არ ანიჭებს ფიზიკურ პირს სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლების უფლებას და ითვალისწინებს საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში სასამართლო ხარჯების, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის მისთვის დაკისრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური მეწარმე ფაქტიურად ფიზიკურ პირს წარმოადგენს მის მიმართ კანონით დაწესებული ეს შეღავათი გაუქმდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით და იგი ვალდებულია სარჩელის წარდგენისას საერთო საწისებზე გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება

1. ფიზიკური პირი ვალდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. (24.06.2005. №1800)

3. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

1. აღნიშნული ნორმა განსხვავებულად აწესრიგებს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს. კერძოდ, ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არა მხოლოდ არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას, არამედ ფიზიკურ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის საერთოდ არ დაეკისრება სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თუ მან გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. ამდენად, საქმის წაგების შემთხვევაშიც, ფიზიკურ პირს პირველი ინსტანციის სამართლოში არ ეკისრება სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თუ მან სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე ადმინისტრაციული საჩივარი წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად გამოიყენა სასამართლო გარეშე დავის გადაწყვეტის წესი. აღნიშნული ნორმა უკეთეს პირობებში აყენებს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე გამოიყენებენ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის საშუალებით დავის გადაწყვეტის პროცედურას. ნორმა ხელს უწყობს ისეთი სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას, როდესაც სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა დავის გადაწყვეტის უკიდურეს და აუცილებელი ფორმად მიიჩნევა, მას შემდეგ რაც, ამოიწურება ადმინისტრაციულ ორგანოში მისი გადაწყვეტის ყველა შესაძლებლობა.

2. სხვა შემთხვევაა, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიუხედავად, სასამართლო საკუთარი ინიციატივით შეაგროვებს ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს და არ სცნობს ბათილად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება საპროცესო ხარჯების წაგებული მხარის სასარგებლოდ ანაზღაურება. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ფინანსური ხასიათის სანქციას, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ასრულებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას, ადმინისტრაციული წარმოებისას არ იკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და გადაწყვეტილებას იღებს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე. სასამართლოები აღნიშნულ ნორმას პრაქტიკულად არ იყენებენ. ვფიქრობ, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრებისას პროცესის ყველა ხარჯის ანაზღაურება სასამართლომ მას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაეკისროს.

3. მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლო ხარჯები რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე სასამართლო ხარჯებს ანაზღაურებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად და არა სოლიდარულად.

მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის მორიგებით დამთავრებისას

1. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

2. სასამართლოს გარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს დამოუკიდებლად.

ამ ნორმის კომენტარის გაკეთებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მორიგების დროს, როგორც წესი მხარეები თანხმდებიან როგორც სასამართლო ხარჯების, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯების საკითხზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამასთან, შესაძლებელია მხარეებმა ვერ ან არ მოილაპარაკონ ამ საკითხზე, რა დროსაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-11-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მხარეთა მორიგების გამო საქმის შეწყვეტის განჩინებაში უნდა იმსჯელოს საპროცესო ხარჯების მხარეებს შორის თანაბრად განაწილებაზე. სასამართლოს გარეშე ხარჯების მხარეებს შორის განაწილება არ ხდება და თითოეული მხარე ასეთ ხარჯებს ანაზღაურებს დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად.

თავი V

საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა

1. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

2. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოცხადიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილთან სასამართლო აქტის შეუსაბამობის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სასამართლო აქტის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. (24.06.2005. №1800)

1.1. ზოგადად, სასამართლო აქტების გასაჩივრების ვადები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 416-ე მუხლებით. ამ მუხლების თანახმად: „1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. 2. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან, (369-ე მუხლი). ასეთივე წესები მოქმედებს საკასაციო საჩივრის მიმართ. რაც შეეხება კერძო საჩივარს, 1. „კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. 2. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან, (416-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, სასამართლო აქტების გასაჩივრების ვადები ზუსტად არის განსაზღვრული, ამასთან, მათი არც გაგრძელება და არც აღდგენა არ შეიძლება. ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონს იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ საიდან იწყება ამ ვადის დინება.

1.2 ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, გარკვეული პირობების დაცვას მოითხოვს სასამართლოსაგან, რომ პროცესის მონაწილე მხარეებისათვის სასამართლო აქტების (სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, განჩინებების) გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო. კერძოდ, სასამართლო აქტით პროცესის მონაწილე პირს უნდა განემარტოს:

- ა) გასაჩივრების შესაძლებლობა
- ბ) ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება
- გ) მისი ადგილმდებარეობა
- დ) გასაჩივრების ვადა
- ე) გასაჩივრების წესი

ასე, მაგალითად, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32-ში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

2.1. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ ამ პირობების დაუცველობა, კერძოდ, საპროცესო ნორმით დადგენილი რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნის დარღვევა, თუნდაც ერთ-ერთის, არასასურველ შედეგს იწვევს, როგორც მოგებულ მხარის, ისე სასამართლოსათვის, რადგან სასამართლო აქტის გასაჩივრების ერთთვიანი ვადა ერთ წლამდე იზრდება და წაგებულ მხარეს ამ შემთხვევაში უფლება აქვს სასამართლო აქტი ერთი წლის განმავლობაში გაასაჩივროს.

3. ცხადია, ამ დროს მოგებულ მხარეც და სასამართლოც დაინტერესებულია, დროულად მოხდეს შესწორების შეტანა სასამართლო აქტში, რათა მოგებულ მხარე სასამართლო აქტის გასაჩივრებას ერთი წელი არ ელოდოს. სწორედ ამას ემსახურება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება (2005 წლის 24 ივნისი), რომელიც შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დროულად შეიტანოს შესწორება მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) და მოიყვანოს იგი ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაზედაც იღებს განჩინებას. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა

1. სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი.

2. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი უნდა გადაეცეს მხარეს. (24.06.2005. 1800)

3. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

4. თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს. (24.06.2005. №1800)

5. თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ეგზავნება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ეცნობება, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება.

6. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

13.1, 13.5, 13.6 ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემისას სრულად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლები. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს რამდენიმე დამატებით მოთხოვნას სასამართლოსათვის, მეორე მხრივ, იცავს მას გაუმართლებლად დიდი ხარჯებისაგან, კერძოდ: სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი (13.1).

თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ეგზავნება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ეცნობება, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება (13.5).

მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში (13.6).

13.2 ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსხვავებულად აწესრიგებს მხარისათვის გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების გადაცემას, ვიდრე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლი.

სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო ვალდებული არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მხარეებს გადასცეს, ამის ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოეშვება, თუ მხარე განცხადებით მოითხოვს გადაწყვეტილების ასლის გადაცემას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით გადასცეს მას სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი. ამასთან, გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის გადაგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ამდენად, უმჯობესია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვის „გადაცეს“, შემდეგ დაემატოს სიტყვა „გაეგზავნოს“.

13.4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, როცა მხარე ადმინისტრაციულ საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი უნდა გაეგზავნოს სწორედ წარმომადგენელს და არა მხარეს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით (სასამართლო უწყება) გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი წარმომადგენელთან ერთად მხარესაც უნდა გაეგზავნოს.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წარმომადგენლის ინსტიტუტს, რადგან ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოები სწორედ წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობენ.

13.3. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასამართლოს აქტიურ როლს ადმინისტრაციული საქმის ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევაში, როცა ადგენს, რომ სასამართლოს მოთხოვნით, პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

მუხლი 13¹. საგადასახადო საქმეთა განხილვის ვადა
საგადასახადო საქმეების განხილვის ვადა სასამართლოში
სარჩელის შეტანიდან მხარისათვის გადანყვეტილების გადა-
ცემამდე არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. (29.12.2004.
932)

13¹. საგადასახადო საქმეებზე განხილვის ორკვირიანი ვადის დაცვა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამასთან, ამ ვადაში შეუძლებელია დაცულ იქნეს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სარჩელის, სააკველაციო საჩივრის, საკასაციო საჩივრის მოსამზადებელი სტადიის სამართლებრივი ნორმები.

თავი VI მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

1.1. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა მიმოხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის დებულებებს და მიუთითებს, რომ გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობენ ადმინისტრაციული ორგანოები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს როგორც განმცხადებლებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული ინტერესი დაადასტურონ სასამართლოს მეშვეობით რაიმე, მაგალითად, იურიდიული ფაქტი (სსკ 310-ე და 312-ე მუხლები), ისე მოდავე მხარეებს სასარჩელო წარმოების დროს - მოსარჩელეს და მოპასუხეს.

მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად. მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი სხვა პირის დასაცავად. მოსარჩელედ ასევე ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით მარწმუნებლის უფლებების დასაცავად.

მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება. ამასთან, მოპასუხეს ასახელებს მოსარჩელე, რაც საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის დ) ქვეპუნქტი).

79-ე მუხლის მიხედვით, მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები (მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში), მაგალითად, არარეგისტრირებული კავშირები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლი).

1.2. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ზემოთ დასახელებული პირების გარდა, მასში ერთ-ერთ

მხარედ - მოსარჩელედ ან მოპასუხედ - აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა.ქვეპუნქტში, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპული სქემის თანახმად, მოსარჩელედ ძირითადად გვევლინება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედებას.

სრულიად შესაძლებელია საწინააღმდეგო მდგომარეობა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აღძრავს სარჩელს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების, გადასახადების დაკისრების ან რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. გვხვდება ისეთი ადმინისტრაციული დავებიც, სადაც ორივე მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს.

ასე მაგალითად:

2001 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართა და თბილისის ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის სააღსრულებო ბიუროს 2001 წლის 13 დეკემბრის №01\04-71 საინკასო დავალების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტსა და 92¹ მუხლზე დააფუძნა და მიუთითა, რომ მოპასუხემ უხეშად დაარღვია კანონი, რომლის თანახმადაც იძულებითი აღსრულება ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეიძლება დაიწყოს. ასევე, აღსრულება იმ საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშიდან უნდა განხორციელდეს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება და არა სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალური ხარჯების ანგარიშიდან.

სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად თბილისის საოლქო

სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

2.1. როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის კომენტარი), ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ აღიარა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის. ამასთან, საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა განსაზღვრა, რომ: თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დელეგირების ან დაგალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო (208-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აღნიშნულმა ნორმამ ასახვა ჰპოვა, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილში, თუმცა უნდა ითქვას, რომ თავისი შინაარსით იგი მატერიალური ნორმაა. ამ ნორმის თანახმად სახელმწიფო პასუხისმგებელია იმ კერძო პირების მიერ მიყენებულ ზიანზე, რომლებსაც დელეგირებული (დავალებული) ჰქონდათ ან უშუალოდ სახელმწიფოსაგან, ან რომელიმე სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოსაგან რაიმე უფლებამოსილების განხორციელება, თუკი ეს ზიანი ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას დადგა. ეს მიზანშეწონილიცაა, რადგან ეს კერძო პირები მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით და სახელმწიფოსგან მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო ჯამში, მაინც მოსარჩელის გადასაწყვეტია, კერძო პირთან ერთად დაასახელებს თუ არა მოპასუხედ სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლისგანაც კერძო პირზე გარკვეული უფლებების დელეგირება მოხდა (თუკი ზიანი სწორედ ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას დადგა). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული სასამართლო სავალდებულო მესამე პირის სტატუსით მოიწვევს ამ კატეგორიის საქმეებზე სახელმწიფოს ან სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოს, მოსარჩელის მოთხოვნის გარეშე მას ზიანის ანაზღაურებას ვერ დააკისრებს.

ამ ნორმის სრულყოფისათვის, მიზანშეწონილია მე-14 მუხლის მე-2 ნაწილს დამატოს შემდეგი წინადადება „ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე - ადგილობრივი თვითმმართველობა (მმართველობა) ან სახელმწიფო“.

მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით

1. თუ მხარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოა, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად, დადგენილი წესით, დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

3. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი. (24.06.2005. 1800)

1. ადმინისტრაციულ პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. მე-14 მუხლის კომენტარი), ერთ-ერთი მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე) ყოველთვის ადმინისტრაციული ორგანოა, მათ შორის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო, რომელთაც სასამართლოში მათი ხელმძღვანელი ან კანონმდებლობით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირი წარმოადგენს.

მაგალითად, სამინისტროს, როგორც მხარეს, წარმოადგენს მინისტრი, სახელმწიფო დეპარტამენტს - სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საკრებულოს - საკრებულოს თავმჯდომარე და ა.შ. დასახელებული პირები თანამდებობრივად ამ ორგანოთა ხელმძღვანელებად გვევლინებიან და მათ სასამართლოში ამის დამადასტურებელი რაიმე სპეციალური დოკუმენტის (მინდობილობის) წარდგენა არ სჭირდებათ.

ამასთან, შესაძლებელია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (დებულებით, წესდებით) მინიჭებული ჰქონდეს სხვა თანამდებობის პირს, რომელსაც სასამართლოში ასევე არ სჭირდება რაიმე სპეციალური დოკუმენტის (მინდობილობის) წარდგენა.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია სასამართლოში ადმინისტრაციული საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ამ ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურე, ისე ადვოკატი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირი.

წარმომადგენელი - ეს არის პირი, რომელიც მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს სასამართლოში ყველა იმ

საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

წარმომადგენლის უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით უნდა გაფორმდეს. დადგენილ წესში იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა - ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ მინდობილობის გაცემა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს სახელით წარმომადგენელს ანიჭებს ყველა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებამოსილებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით გათვალისწინებულისა, კერძოდ, კერძო არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდელებად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს უფლებამოსილებას ანიჭებს, წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი, რადგან შეიძლება დავა უკავშირდებოდეს სპეციალურ ცოდნას ან რთულ ადმინისტრაციულ საქმეებზე ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების ჯერონად დაცვას, რაც იურიდიული მომზადების გარკვეულ დონესა და გამოცდილებას მოითხოვს.

მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში

1. სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

2. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 (24.02.2000 169 საკანონმდებლო მაცნე 7) პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

2¹. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

2². ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად მესამე პირი შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით.

2³. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. (24.06.2005. 1800)

3. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უნდა გაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს, ხოლო თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ათ პირზე მეტია ჩაბმული, განჩინების გადაცემა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. (24.06.2005. 1800)

4. სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია მოიწვიოს მესამე პირები განსახილველ საქმეში. მაშინ, როცა სასამართლოს ინიციატივით მესამე პირების საქმეში ჩაბმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. მესამე პირები სამოქალაქო პროცესში შეიძლება ჩაბმულ იქნენ საქმეში, როგორც უშუალოდ ამ მესამე პირების (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლი), ისე მოსარჩელის, მოპასუხის ინიციატივით. მესამე პირები ასევე შეიძლება ჩაბმულ იქნენ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რაც ნიშნავს, რომ მესამე პირებს დადგენილი წესით შეუძლიათ დამოუკიდებელი სარჩელით მიმართონ სასამართლოს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ გამორიცხავს მესამე პირების მიწვევას უშუალოდ ამ მესამე პირების ან მოსარჩელისა თუ მოპასუხის ინიციატივით (ამ მუხლის 2¹-ე და 2²-ე ნაწილები). ამასთან, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს გადასაწყვეტია საკითხი „ჩვეულებრივი“ მიწვევის მესამე პირები არიან ისინი თუ „აუცილებელი“ მიწვევის მესამე პირები.

1.1. პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სასამართლომ შეიძლება (ვალდებული არ არის) აცნობოს ამ ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ეს შესაძლებელია სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე (მესამე პირების

„ჩვეულებრივი, მიწვევა“).

სასამართლოში მესამე პირების „ჩვეულებრივი, მიწვევის მიზანია, დაიცვას პირველ რიგში, უშუალოდ ამ პირთა ინტერესები, რომელთაც შეიძლება შეეხოთ სასამართლოს გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, მესამე პირთა მიწვევას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მოსარჩელის ან მოპასუხის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისათვის. შესაძლებელია, ასევე, ამ გზით თავიდან იქნას აცილებული შემდგომი სასამართლო დავები.

1.2. მესამე პირების სასამართლოში „ჩვეულებრივი, მიწვევის წინაპირობაა ის, რომ სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილება შესაძლებელია შეეხოს მიწვეული მესამე პირის სამართლებრივ ინტერესებს. არ არის სავალდებულო, რომ მესამე პირის უფლებებს ნამდვილად შეეხოს გადაწყვეტილება. საკმარისია, რომ მესამე პირის მიწვევის მომენტში იყოს იმის ვარაუდი, რომ გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის სამართლებრივ ინტერესებზე. მესამე პირის მიწვევა არ შეიძლება წინასწარ იყოს ორიენტირებული გადაწყვეტილების შედეგზე.

1.3. სამართლებრივი ინტერესი სახეზეა, თუ მისაწვევი მესამე პირი მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან, ანდა ორივესთან, ან კი მხოლოდ დავის საგანთან ისეთ მიმართებაში იმყოფება, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის წაგებას შეუძლია გააუმჯობესოს ან გააუარესოს მისი სამართლებრივი მდგომარეობა. არ არის გადამწყვეტი, ეყრდნობა თუ არა მიწვეული მესამე პირის შელახული სამართლებრივი ინტერესი საჯარო ან კერძო სამართალს. ამასთან, შელახული სამართლებრივი ინტერესი საკუთარი უნდა იყოს.

ასე მაგალითად:

ადმინისტრაციულმა ორგანომ ლიცენზია გაცვა სააქციო საზოგადოებაზე ელექტრონული დანადგარის აშენების თაობაზე. ამასთან, სააქციო საზოგადოებამ ხელშეკრულება აღნიშნული დანადგარის ასაშენებლად დადო ერთ-ერთ საამშენებლო ფირმასთან. მეზობლად მდებარე ორგანიზაციამ გაასაჩივრა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია და მოპასუხედ დაასახელა ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, მიუთითა, რომ ელექტრონული დანადგარი საშიშროებას უქმნიდა მის ორგანიზაციას.

მოცემულ დავაში სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიწვიოს სააქციო საზოგადოება (სასამართლოში მესამე პირის „სავალდებულო, მიწვევა“), ამასთან, უფლებამოსილია მიიწვიოს საამშენებლო ფირმა (სასამართლოში მესამე პირის „ჩვეულებრივი, მიწვევა“).

1.4. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მაშინაც კი, როდესაც სახეზეა

სასამართლოში მესამე პირების „ჩვეულებრივი„ მიწვევის წინაპირობები, გადაწყვეტილებას მიწვევის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო იღებს. სასამართლო უფლებამოსილი ჩაბას ისინი საქმეში მესამე პირებად. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ განჩინება არ საჩივრდება. ამასთან, ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში (ამ მუხლის 2³-ე და მე-4 ნაწილები).

2.1. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოში მესამე პირების აუცილებელ, სავალდებულო მიწვევას. მიწვევა სავალდებულოა, თუ მისაწვევი მესამე პირი სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში იმ დონეზე მონაწილეობს, რომ მასთან მიმართებაში მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, ე.ი. მოსარჩელისათვის სასურველი სასამართლო გადაწყვეტილება ვერ მიიღება ისე, რომ ერთდროულად არ დამტკიცდეს ან დადგინდეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს მისაწვევი პირის უფლებები, ე.ი. თუ გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება ისე, რომ არ მოხდეს მისაწვევი პირის უფლებებთან უშუალოდ და იძულებით შეხება.

2.2. როდესაც სახეზეა შეცილების სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ, მაშინ მესამე პირის სასამართლოში მიწვევა სავალდებულოა.

სასამართლოში მესამე პირების „სავალდებულო„ მიწვევა სახეზეა, მაგალითად:

1. მეზობლის შეცილების სარჩელის შემთხვევაში განმცხადებლისათვის გაცემული მშენებლობის ნებართვის წინააღმდეგ (სავალდებულოა განმცხადებლის მიწვევა).

2. მეწარმის შეცილების სარჩელის შემთხვევაში მისი კონკურენტისათვის გაცემული დაფინანსების წინააღმდეგ (სავალდებულოა კონკურენტის მიწვევა).

2.3. ამის საპირისპიროდ, არ არის სავალდებულო მესამე პირების მიწვევა, თუ გასაჩივრების შედეგად მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას არა აქვს სამართლებრივი ძალა. ასეთი შემთხვევა მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც მესამე პირი დაინტერესებულია პროცესის შედეგით ისე, რომ თავად არ არის გასაჩივრებული სამართლებრივი აქტის ადრესატი. აქედან გამომდინარე, არა გვაქვს სახეზე „სავალდებულო„ მიწვევა, მაგალითად:

მეზობლის სარჩელის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის წინააღმდეგ, ამ ნებართვის გამო ინტერესდებულ სხვა მეზობლებთან მიმართებაში.

2.4. მავალდებულებელი სარჩელი საკმაოდ განსხვავდება შეცილების სარჩელისაგან, რაც სასამართლოში მესამე პირების „სავალდებულო, მიწვევის საკითხზეც აისახება. მაშინ, როცა შეცილების სარჩელზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება აუქმებს შეცილებულ ადმინისტრაციულ აქტს და, ამდენად, უშუალო სამართლებრივი ძალა აქვს, მავალდებულებელ სარჩელზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება გამოხატავს მხოლოდ მოპასუხე მხარის ვალდებულებას, გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტი. სამართლებრივი ძალის გაგრძელება პირზე, რომელზეც შემდგომ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი პოტენციურად სამართლებრივ გავლენას იქონიებს, არ ხდება შეცილების სარჩელისაგან განსხვავებით. მას, უფრო მეტად იმის შესაძლებლობა აქვს, რომ გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტი მისი გამოცემის შემდეგ ისე, რომ ის დაკავშირებული არ იქნება მავალდებულებელ სარჩელთან.

ამდენად, ამ სახის მავალდებულებელი სარჩელების განხილვისას არა გვაქვს სასამართლოში მესამე პირების „სავალდებულო, მიწვევის შემთხვევა. ასეთი შემთხვევა ამ სარჩელების განხილვისას სახეზეა, მაგალითად:

მავალდებულებელი სარჩელი არჩევნების შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით (არჩეული პირების სავალდებულო მიწვევა, თუ ისინი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მანდატს დაკარგავენ).

2.5. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში სასამართლოში მესამე პირის „სავალდებულო, მიწვევა მაშინაა სავალდებულო, თუ ის უშუალო მონაწილეა იმ სამართლებრივი ურთიერთობისა, რომლის აღიარებასაც მოითხოვენ.

2.6. თუ სახეზეა სასამართლოში მესამე პირების „სავალდებულო, მიწვევის წინაპირობები, სასამართლომ ისინი აუცილებლად უნდა ჩააბას საქმეში. ამასთან, სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი).

2.7. თუ სასამართლოში მესამე პირად 10 პირზე მეტია სავალდებულოდ მისაწვევი, სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. ამასთან, კანონმდებელმა დააზუსტა, რა წესით შეიძლება მოხდეს ამ პირთათვის სასამართლოს მიერ ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩაბმა პროცესში (2005 წლის 24 ივნისის ცვლილებები და დამატებები).

3.1. მისაწვევ მესამე პირთა სიმრავლის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება მათი სავალდებულო მიწვევის თაობაზე, რომელიც შეიძლება გამოქვეყნდეს ოფიციალური საინფორმაციო საშუალებების

მეშვეობით. განხილებაში მითითებული უნდა იყოს ვადა, რომლის განმავლობაშიც შეუძლიათ მესამე პირებს, რომლებიც ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, წარადგინონ განცხადება.

4.1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსხვავებულად აწესრიგებს ჩვეულებრივი და სავალდებულო მიწვევის მესამე პირების საქმეში ჩაბმის თაობაზე მიღებული სასამართლო განჩინებების გასაჩივრებას. კერძოდ, სასამართლო განჩინება ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირების საქმეში ჩაბმის შესახებ არ საჩივრდება, ხოლო სასამართლო განჩინება სავალდებულო მიწვევის მესამე პირების საქმეში ჩაბმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში, ე.ი. ეს თვით სავალდებულო მიწვევის მესამე პირის პრეროგატივაა და არა საქმეში მონაწილე მხარეებისა. ამასთან, საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება ორივეს შეუძლია.

5.1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სავალდებულო მიწვევის მესამე პირის სამართლებრივი პოზიცია უფრო მეტადაა დაახლოებული მთავარი მონაწილეების (მოსარჩელის ან მოპასუხის) სამართლებრივ პოზიციასთან. ის მიწვეული უნდა იქნეს ყველა სასამართლო სხდომაზე, მას უნდა გადაეგზავნოს ყველა დოკუმენტი და სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება (განჩინება). მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში, გაეცნოს საქმის მასალებს, გამოიყენოს ყველა თავდასხმითი და თავდაცვითი საშუალებანი, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები). ამასთან, სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, როცა სავალდებულო მიწვევის მესამე პირს საშუალება მიეცემა, სამართლებრივი თვალსაზრისით გამოთქვას თავისი აზრი. სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მორიგების მიღწევის შემთხვევაში, ამ მორიგების დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სავალდებულო მიწვევის მესამე პირიც განაცხადებს თანხმობას.

თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სავალდებულო მიწვევის მესამე პირი პროცესზე მხოლოდ საკუთარ თავს „წარმოადგენს“, და ამდენად, დავის მონაწილე მხარისაგან განსხვავებით, არ შეუძლია „შეცვალოს“, არ გამოცხადებული მთავარი მონაწილე (მოსარჩელე ან მოპასუხე). ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარის ყველა უფლებით სარგებლობს და მას მხარის ყველა მოვალეობა ეკისრება, მასაც არ შეუძლია მთავარი მონაწილეების გარეშე სარჩელის შეცვლა, პროცესის დასრულება, სარჩელზე უარის თქმა, საქმის მორიგებით დამთავრება.

საგულისხმოა, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მოპასუხის მხარეზე მიწვეული სავალდებულო მესამე პირის სტატუსის არასწორი გაგება, როდესაც სასამართლო თავისი გადაწყვეტილების (განჩინების)

სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხესთან ერთად სავალდებულო მიწვევის მესამე პირსაც აკისრებს მოთხოვნას, მაშინ, როცა სარჩელი მესამე პირისაკენ არ არის მიმართული და მოსარჩელეს მოპასუხედ იგი არ დაუსახელებია. ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან სავალდებულო მიწვევის მესამე პირის შემთხვევაშიც კი სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება) უშუალოდ მის მიმართ ვერ იქნება გამოტანილი, რადგან ის მოპასუხე არ არის.

თავი VII სასამართლო მტკიცებულება

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი

1. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. (24. 06. 2005. 1800)

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი. კანონის ადრე არსებული რედაქციის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში. 2005 წლის 24 ივნისის კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო აღძრულ სარჩელზე.

ზოგადად ადმინისტრაციულ, ისევე როგორც სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ვფიქრობ, მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც არ უნდა იყოს ისინი. კერძოდ, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი დამატებითი ინფორმაციის და მტკიცებულებების წარმოსადგენად, რომელთა წარმოდგენა მხარეებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გამოცემული როგორც ინდივიდუალური ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება.

მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება ხშირად არასწორად განიმარტება, როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის -მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. სარჩელის დასაბუთება წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი) და მოსარჩელე ყოველთვის ვალდებულია თვითონ დაასაბუთოს სარჩელი. კანონი არ გულისხმობს ამ ვალდებულების მოპასუხეზე გადაკისრებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი აგრეთვე ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს. ეს ნორმა საპროცესო ხასიათის ნორმას წარმოადგენს, იგი მხარეების პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს და კარგი იქნება თუ იგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილს დაიკავებს.

მუხლი 18. მოწმე და ექსპერტიზა

1. სასამართლო ვალდებულია მოწმის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემამდე სამი დღით ადრე მანინც აცნობოს მხარეს მოწმის ვინაობა, მის მიერ ჩვენების მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს

სასამართლოს. ეს ვადა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამაზე მხარეები თანხმობას განაცხადებენ და თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს.

2. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ სასამართლოს მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი, მხარე უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა და მოცულობის შესახებ.

3. ექსპერტის დასკვნა უნდა გაეგზავნოს მხარეებს, რომლებსაც უფლება აქვთ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. (24.06.2005. 1800)

ამ ნორმით სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაკისრებული აქვს დამატებითი ვალდებულებები:

1. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებისა და დაკითხვის, აგრეთვე მისი სასამართლოს მეშვეობით გამოძახების შესახებ, ვალდებულია მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოებების დადასტურება შეუძლია მოწმეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 18-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოს აკისრებს დამატებით ვალდებულებას მოწმის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემამდე სამი დღით ადრე მაინც აცნობოს მხარეს მოწმის ვინაობა, მის მიერ ჩვენების მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოს. აღნიშნული ნორმით მეტად უზრუნველყოფილია საქმეში მონაწილე მხარის უფლება წარადგინოს მოწმის ჩვენების უარყოფელი მტკიცებულება ან განსხვავებული საკუთარი მოსაზრება.

2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარეები თანხმობას განაცხადებენ მოწმის დაშვებასა და დაკითხვაზე და თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს. ცხადია, რომ ნორმის ამგვარი ფორმულირება მეტად შეუწყობს ხელს ადმინისტრაციული საქმეების გაჭიანურებისა და უსაფუძვლო გადადების თავიდან აცილების მიზანს.

2. ამ ნორმის შესაბამისად, გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ სასამართლოს მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი, მხარე უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა

და მოცულობის შესახებ.

ექსპერტიზის დანიშვნის საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 თავი და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს ნორმები გამოიყენება. კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. 163-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევეად. აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს. ექსპერტების შერჩევის დროს სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ სასამართლოს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს ექსპერტიზის ჩატარება, წყვეტს სასამართლო. მხარეებს უფლება აქვთ აცილება მისცენ ექსპერტს სსსკ 35-ე მუხლით დადგენილი საფუძვლით. მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს სასამართლო. საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს მხარეთა მიერ წამოყენებული საკითხების უარყოფა.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ერთი მხრივ, სასამართლოს ავალდებულებს მხარეს აცნობოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, მეორე მხრივ ავალდებულებს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა და მოცულობის შესახებ. ამდენად, კანონით დადგენილია საპროცესო ვადები და საპროცესო მოქმედება ამ ვადაში უნდა შესრულდეს. საპროცესო ვადების გამოთვლა, შეჩერება და საპროცესო ვადის გასვლის შედეგები განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69 მუხლებით და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აღნიშნული ნორმები მოქმედებს სრულად.

3. ექსპერტის დასკვნა უნდა გაეგზავნოს მხარეებს, რომლებსაც უფლება აქვთ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი.

იმის გათვალისწინებით რომ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის არც ერთი ნორმა პირდაპირ არ ავალდებულებს სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნის მხარეებისათვის ჩაბარებას, ნორმა, რომლის თანახმადაც ექსპერტიზის დასკვნა მისი მოცულობის მიუხედავად აუცილებლად უნდა გაეგზავნოს მხარეებს, რომლებსაც უფლება აქვთ წარუდგინონ სასამართლოს

მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

2. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმის განხილვის დროსაც სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივის გამოყენება, მაგრამ ეს ინიციატივა შეზღუდულია კანონით. ასე მაგალითად, სამოქალაქო სამართალწარმოების დროს სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა (სსსკ მუხლი 162), დაადგინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია (სსსკ მუხლი 120).

კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, როდესაც მხარეები თანასწორნი არიან, ადმინისტრაციულ საქმეზე დაპირისპირებული მხარეებს როგორც წესი კერძო პირი და ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენენ. მათი სამართლებრივი მდგომარეობა არ არის თანასწორი, ამიტომ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე -2 ნაწილისაგან განსხვავებით, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით გამოიყენოს ეს უფლება, მხარის შუამდგომლობის გარეშე. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია სასამართლოს აქტიური როლი და ინიციატივა.

2. ამ ნორმის შესაბამისად მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ყოველთვის უნდა გააჩნდეს საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა და სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს მხარე ამ უფლების რეალიზების შესაძლებლობით. ამ დებულებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია დროულად და გონივრულ ვადაში უზრუნველყოს მხარის ინფორმირება ყველა ჩასატარებელ საპროცესო მოქმედების თაობაზე წინასწარ. ნორმა ემსახურება მხარეებს შორის არსებული, უთანასწორობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის მიუხედავად, საქმის სასამართლოში განხილვის დროს მათი თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით უზრუნველყოფის მიზანს.

მუხლი 20. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. (14.09.2001 1063)

სასამართლო უფლებამოსილია გამოითხოვოს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოდან მასთან დაცული ან მის მიერ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია (საჯარო ინფორმაცია), ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს დავალებით წარუდგინოს მას განსახილველი საქმის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია. სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე გასაიდუმლოებული (დახურული). სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოდან გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვისა და ასეთი ინფორმაციის განხილვის თავისებურებანი გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 48-ე მუხლით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლით.

გამოთხოვილი დოკუმენტისა და სხვა ინფორმაციის სასამართლოსათვის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია (ჯარიმა). თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სანქციის ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართ გამოყენება არ იძლევა საჭირო შედეგს, რადგან ჯარიმა საკმაოდ მცირე ოდენობისაა (10-50 ლარამდე) და მისი იძულებითი წესით გადახდევინების მექანიზმი ძალზე რთული და დროში გაჭიანურებული პროცესია. რეალურ სინამდვილეში, ადმინისტრაციული ორგანო არც თუ იშვიათად დაუსაბუთებლად აჭიანურებს, ან პირველი და სააპელაციო

სასამართლოების დონეზე საერთოდ არ ასრულებს სასამართლოს მოთხოვნას ინფორმაციის წარდგენის თაობაზე და მხოლოდ, საქმის წაგების შემთხვევაში, წარუდგენს საბოლოო ინსტანციის უზენაეს სასამართლოს, საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. უზენაესი სასამართლო, თავის მხრივ ასეთ ინფორმაციას მისი დაგვიანებით წარდგენის მიუხედავად იღებს და ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებისას. როგორც წესი, ხდება გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება. საბოლოოდ, ვიღებთ გაჭიანურებულ მართლმსაჯულებას, სასამართლო ხარჯის გაუმართლებელ ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ ნორმების მოქმედების საპროცესო გარანტი- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ან, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე უარის თქმას სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. ეს ნორმა ფაქტიურად არ მუშაობს. სასამართლოები მას ნაკლებად იყენებენ. ვფიქრობთ, სასამართლოებმა უფრო თამამად რომ გამოიყენონ სსსკ 136-ე მუხლის მე-5 ნაწილით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილება, დოკუმენტისა თუ სხვა ინფორმაციის წარდგენის გაჭიანურების ფაქტების რაოდენობა მინიმალური იქნება.

მუხლი 20¹. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვის წესი

1. სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას. (14.09.2001.1063)

სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოდან გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვისა და ასეთი ინფორმაციის განხილვის თავისებურებანი გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 48-ე მუხლით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 48-ე მუხლი საპროცესო ხასიათის ნორმას წარმოადგენს, იგი მხარეთა პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. კარგი იქნება, თუ იგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20¹ მუხლის მე-2 ნაწილის ადგილს დაიკავებს.

სასამართლო ის ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერება. ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად არის საჯარო დაწესებულება. საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის სახელმწიფო, პირად ან კომერციულ საიდუმლო ინფორმაციად ცნობის თაობაზე შეიძლება იყოს სასარჩელო დავის საგანი. სასამართლო უფლებამოსილია გამოითხოვოს გასაიდუმლოებული ინფორმაცია მისი გასაიდუმლოების შესწავლის მიზნით და გაეცნოს საიდუმლო ინფორმაციას. მოსამართლეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს სამართალწარმოების დროს მიღებული საიდუმლო ინფორმაცია.

სას.კ-ის 20¹ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება აქვთ მხოლოდ მოსამართლეებს და არა აქვთ საქმეში მონაწილე მხარეებს ან სასამართლოში მომუშავე პერსონალს. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმის განხილვა ხდება დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე. გასაიდუმლოებული ინფორმაცია მხარეს არ წარედგინება. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით იგი არაკანონიერად ცნობს ასეთ გადაწყვეტილებას და დაავალებს საჯარო დაწესებულებას ამ ინფორმაციის განსაიდუმლოებასა და მხარისათვის გადაცემას.

თუ სასამართლო კანონიერად მიიჩნევს საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებას, საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიუთითებს იმ მონაცემს, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ღია დოკუმენტია, იგი ქვეყნდება საჯაროდ და გადაეცემა მხარეებს.

მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

2. მხარე უფლებამოსილია მიიღოს სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალის ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე. ასლის გადაღებისათვის სხვა რაიმე გადასახდელის მოთხოვნა არ შეიძლება.

3. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები.

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს, მიიღონ სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალების ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. გამონაკლისია სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები. საქმის მასალების გაცნობის უფლება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლითაც (მხარეთა საპროცესო უფლებები), რომლის თანახმად მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მხარეს არ უნდა შეეზღუდოს აღნიშნული უფლების გამოყენების თავისუფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი აკონკრეტებს, რომ საქმის მასალების გაცნობა უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასამართლოს კანცელარიის და არა მოსამართლის ან ან მისი თანაშემწის მეშვეობით, ასევე კრძალავს სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის მხარისათვის წარდგენას.

VII¹ თავი

**ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის
საქმიანობის შემონეგებასთან დაკავშირებით**

მუხლი 21¹. მოსამართლის ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემონეგების თაობაზე

ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემონეგების თაობაზე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით. (24.06.2005. N1800)

I. შესავალი

2001 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, რომლის შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიზღუდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ერთ-ერთი ძირეული ფუნქციის - სამეწარმეო სუბიექტების კონტროლის განხორციელების ფარგლები, ვინაიდან მითითებული კანონის მიხედვით მაკონტროლებელი ორგანო მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე არის უფლებამოსილი კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას - განახორციელოს შემოწმება. ამდენად, მხოლოდ შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემული მოსამართლის ნებართვა შეიძლება გახდეს მეწარმის საქმიანობის შემოწმების წინაპირობა.

კანონის მიღებისთანავე, შესაბამისი ცვლილება-დამატებები განხორციელდა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (VII¹ თავის 21¹- 21³ მუხლები), რომლის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის კონტროლზე მოსამართლის ნებართვის მიღების პროცედურა განეკუთვნა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მიღების მომენტისათვის საქართველოში სამეწარმეო ურთიერთობასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი, როგორც საკანონმდებლო, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, ცხადყოფს მითითებული ნორმატიული აქტის მიღების მიზანს და დანიშნულებას.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში განსაზღვრულ იქნა საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, ხოლო, 30.2. მუხლის იმპერატიული დებულებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

კონსტიტუციის მიხედვით ჩამოყალიბდა კონსტიტუციური კონტროლის

ორგანო - საქართველოს კონტროლის პალატა. ამავე დროს 97.4. მუხლით დადენილ იქნა სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების კანონის საფუძველზე და შესაბამისად მათი შექმნის ვალდებულება.

1997 წლის 23 იანვარს ამოქმედებული კანონის „მეწარმეთა შესახებ“, ნორმებით განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწოდების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო საწარმოს ცნება).

1999 წლის 25 ივნისის კანონის „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ნორმები მიზნად ისახავს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნასა და მომხმარებელთა უფლებებისა დაცვას, ხოლო, კონკრეტული დებულებით დადგინდა კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა (მუხლი 8), იკრძალება არაკეთილსინდისიერი კონკურენცია (მუხლი 9) და განისაზღვრა ნუსხა იმ საკითხებისა, რომელთა განხორციელება ეკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს, ანუ საკითხები, რომელიც კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას გამოიწვევს (მუხლი 10).

1997 წლის 13 ივნისის მიღებული „საქართველოს საგადასახადო კოდექსით, განისაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა, გადასახადის სახეები, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურა.

1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული სამოქალაქო კოდექსის 10.2. მუხლის დებულება „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მოქმედება“. განამტკიცებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას, რამდენადაც იგი ვრცელდება სამეწარმეო ურთიერთობებზეც.

2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც მთლიანად დაფუძნდა რა თანამედროვე ღირებულებებს, განსაზღვრა სამი ძირითადი პრინციპი: საჯარო ინტერესები, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა, რომელზეც უნდა დაემყაროს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა.

სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებდა სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოები, შესაბამისი მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული კომპეტენციის სფეროში, რამაც ქართულ რეალობაში სრულიად უმართავი და უკონტროლო სახე მიიღო, იმდენად, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობამ პრაქტიკულად შეიძინა სახელმწიფო რეკეტის ფორმა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა გამოძალვა, კორუფცია, რის სანაცვლოდ სახელმწიფო თვალს ხუჭავდა მეწარმეების მხრიდან სანიტარული, საგადასახადო, სტანდარტიზაციის, ფასწარმოქმნის,

სახანძრო, სამშენებლო და ა.შ. ნორმების უხეშ დარღვევაზე. მაკონტროლებელ ორგანოთა დამოკიდებულება ბიზნესისადმი, ანუ სახელმწიფო თავისი იძულების მექანიზმით ახშობდა რა თავისუფალი მეწარმეობის, ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას და განვითარებას და ხელს უწყობდა კლანური ეკონომიკის გამყარებას, უმძიმესად აისახა კიდევ ქვეყანაში სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე.

ასეთ პირობებში, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მიღება საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან, ვფიქრობ, ერთი მხრივ, იყო აუცილებლად საჭირო ღობირება ქართული მეწარმეობის ინტერესებისა, დაცულობისა და სტაბილურობის კონკრეტული გარანტიის შექმნა და მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოთა მაკონტროლებელი ფუნქციის ცალსახა შეზღუდვით ჩინოვნიკთა თავნებობის აღაგმვა და სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ტვირთის გარკვეულწილად, სასამართლო ხელისუფლებაზე გადმოტანა.

მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობაზე წინასწარი სასამართლო კონტროლის დაწესება მთლიანად ქართული პრეცედენცია და მისი ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს, შესაბამისად, არ არსებობს ამგვარი სამართალწარმოების გამოცდილება და ქართული სასამართლო ამ შემთხვევაში, თავად ამკვიდრებს პრეცედენტებსა და განსაზღვრავს სტანდარტებს მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა გამომდინარეობს თუ არა კანონისმიერი დანიშნულებიდან და სამეწარმეო კონტროლის მიზნებიდან.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პროცედურა მეტად სპეციფიური სამართალწარმოებაა, განსხვავებით კლასიკური მართლმსაჯულებისაგან, ვინაიდან სახეზე არ არის პროცესუალურ მხარეთა შორის ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი კონფლიქტი (დავა), რომელიც უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹ თავის დებულებათა კომენტირება შეუძლებელია „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის ნორმებთან კონტექსტის გარეშე, რამდენადაც კანონში მოცემულია კონკრეტიზაცია ისეთი საკითხებისა, როგორცაა ნორმატიულ აქტში მოცემული ტერმინების განსაზღვრების, მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრის შექმნის, კონტროლის განხორციელების წესი და სხვა საკითხები.

ტერმინთა განსაზღვრების საკითხს სიცხადე შეაქვს კანონით მოწესრიგებულ სამართალურიერთობაში, კერძოდ, ტერმინი ა) „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი“, დეფინირებულია, როგორც კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე,

მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევის გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადგენა. ბ) აქვე, კანონმდებელმა დაადგინა ამ კანონის მიზნებისათვის თუ რა არ წარმოადგენს კონტროლს:

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, ნებართვის, სერთიფიკატის გაცემა;
2. სავაჭრო ქსელში სერთიფიკატის მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა;
3. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა;
4. ნავთობისა და გაზის რესურსებთან დაკავშირებული ხელშეკრულებითა და ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, რომ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი აერთიანებს ორ პრინციპულ ელემენტს: მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილება და მიზნობრიობა (დანაშინულება), რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ტერმინის „მაკონტროლებელი ორგანოს„დეფინიციაში - ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი სამეწარმეო საქმიანობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი გარკვეულწილად ეფუძნება და იზიარებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიდგომას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციასთან, კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, 5.3. მუხლის თანახმად კი უფლებამოსილების გადაშეღებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

მაგ: სავადასახადო ინსპექციამ მეწარმე შეამოწმა არა მხოლოდ სავადასახადო კანონმდებლობასთან საქმიანობის შესაბამისობის, არამედ, პირობითად, სტანდარტიზაციის ან სანიტარული კანონმდებლობის ნორმების კუთხითაც; რაღა თქმა უნდა, ამ უკანასკნელ საკითხში სავადასახადო სამსახური ამტკებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებას და ამ საკითხებზე შემოწმების აქტით დარიცხული თანხა არ არის სავალდებულოდ გადასახდელი, როგორც არაკომპეტენტური ორგანოს მიერ დარიცხული და ამგვარი გადაწყვეტილება ეჭვმიტევა ბათილად გამოცხადებას.

„კანონის შესაბამისად უფლებამოსილება„,ნიშნავს სწორედ საკანონმდებლო აქტით დადგენილ კომპეტენციას, რაც იმთავითვე ამოიცხავს არანორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტებით ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობას, შესაბამისად, მაკონტროლებელი ფუნქციის შექმნას.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის შინაარსით კარგად იკითხება კანონმდებლის სულისკვეთება და მცდელობა დაამკვიდროს შეგნება, რომ კონტროლი წარმოადგენს კანონიერების უზრუნველყოფის სპეციალურ საშუალებას და სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ელემენტს, ამასთან, მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილების მკაცრად რეგლამენტირებული ჩარხები ვერ ახდენდეს უარყოფით გავლენას კერძო სამართლის მეწარმე სუბიექტების ბიზნეს-პროექტებზე და შეუზღუდავ განვითარებაზე; რომ სამეწარმეო საქმიანობის, როგორც სახელმწიფო კონტროლის არსი მდგომარეობს შემდეგში: კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობაზე მეთვალყურეობა; მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, ტენდენციებისა და მიზეზების გამოვლენა; კონკრეტული დარღვევების აღრიცხვა; დამნაშავეთა გამოვლენა და პასუხისმგებლობა; კანონმდებლობის დარღვევის, მაგნე შედეგების, ზიანის თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ამასთანავე, მეწარმე სუბიექტები უნდა ათვიცნობიერებდნენ, რომ შემოწმება წარმოადგენს მათ საქმიანობაზე კონტროლის ძირითად საშუალებას.

ვინ არის ამ კანონის მიხედვით მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმების ობიექტი?

მოცემულ კანონში გამოყენებულია ტერმინი - მეწარმე, აქვე, კანონმდებელი იძლევა მოცემული კანონის მიზნებისთვის ტერმინ „მეწარმის„მნიშვნელობას - „მეწარმეთა შესახებ„საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ეწვევა სამეწარმეო საქმიანობას ამ საქმიანობის ნაწილში (მუხლი 2.1. „ა“).

კანონის „მეწარმეთა შესახებ„დებულებებით მოცემულია მთელი რიგი განსაზღვრებები სამეწარმეო ურთიერთობებთან დაკავშირებით, მათ შორის, საწარმოს, სამეწარმეო საქმიანობის ცნებები, კომერციული იურიდიული პირების სტატუსი და სხვ.

„მეწარმეთა შესახებ„კანონის კონცეფციის მიხედვით „საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც, გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებს (მიწის ნაკვეთი, საქონელი, ფული და ა.შ.). აგრეთვე, ვაღდებულებებს. საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე, ამ ურთიერთობათა ობიექტიც“⁶.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის მიზნებისთვის

⁶ იხ. „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი„ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე; თბილისი, 2002 წ. გვ.12.

ტერმინი „მეწარმის“ მოცემული დეფინიცია ნიშნავს, რომ მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ობიექტს არა მხოლოდ წმინდა სამეწარმეო სუბიექტები წარმოადგენენ, არამედ, ასევე, არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობით,

კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 30.1. მუხლის მიხედვით, კერძო სამართლის არაკომერციულ [იგულისხმება ფონდი, კავშირი] იურიდიულ პირებს მინიჭებული აქვთ სამეწარმეო საქმიანობის უფლებამოსილება, თუკი ეს საქმიანობა ემსახურება

კავშირისა და ფონდის მიზნებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსიანობის მოცულობას სპეციალური კანონები განსაზღვრავენ, მათ შორის კომერციული საქმიანობის უფლებამოსილების საკითხსაც.) მხოლოდ ამ საქმიანობის ნაწილში, ანუ არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობა შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

კანონის ეს დაკონკრეტებული დებულება გამორიცხავს არაკომერციული იურიდიული პირების ამ კანონის საფუძველზე, არასამეწარმეო საქმიანობის თვალსაზრისით შემოწმებას.

ამდენად, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა შესაძლოა აღძრული იყოს არა მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს, არამედ, არაკომერციულ იურიდიული პირის მიმართაც, თუკი ეს უკანასკნელი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

კანონით განისაზღვრა მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრის შექმნა, რომლის მიზანს ამგვარ ორგანოთა აღრიცხვა და არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელების არდაშვება წარმოადგენს. იმპერატიულად აიკრძალა რეესტრში დადგენილი წესით არარეგისტრირებული ორგანოს მიერ კონტროლის განხორციელება (მუხლი 7).

საგულისხმოა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 37 მაკონტროლებელი ორგანოს რეგისტრაცია მოახდინა (2001 წლის ბოლოს მონაცემები), ხოლო, რეგისტრაციისთვის მიმართა დაახლოებით 80-მა ორგანომ. რაც ნიშნავს, რომ ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ათეულობით ადმინისტრაციული ორგანო ახდენდა სამეწარმეო სუბიექტების შემოწმებას ნაწილი სამინისტროთა და დეპარტამენტების დებულებათა, ნაწილი მათ მიერვე „შექმნილი“ ინსტრუქციების საფუძველზე. ადვილი წარმოსადგენია, ამდენი კანონიერი და უკანონო მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციონირების პირობებში ქართული მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები. დღეისათვის სამინისტროს მიერ დარეგისტრირებულია 44 მაკონტროლებელი ორგანო (2004 წ. 1 ივნისის მონაცემები)

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ, ან იმავე ორგანოს სხვა დანაყოფმა.

მითითებული ნორმა უპირველესად, ადგენს მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობის ურთიერთკოორდინაციის აუცილებლობას (რაც ისედაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცივილური და მართლ-ზომიერი საქმიანობის უპირობო დამახასიათებელი ნიშანია) და იცავს მეწარმეს მაკონტროლებელთა ქრონიკული და სისტემატური და დაუსაბუთებელი შემოწმებებისაგან.

მაკონტროლებელი ორგანოების სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი მატერიალური სამართლის ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვით მას მინიჭებული აქვს ამა თუ იმ სფეროში კონტროლის უფლება.

მაგალითად, ფასების სახელმწიფო ინსპექცია კონტროლს ახორციელებს კანონის „ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ“, თბილისის საინტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია „საინტარული კოდექსის“, საგადასახადო ორგანოები „საგადასახადო კოდექსის, ნორმების საფუძველზე და ა.შ.

მითითებულ საკანონმდებლო აქტებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაკონტროლებელი ორგანოს კონკრეტულად რა სფეროში და რა ფარგლებში აქვს მაკონტროლებლის ფუნქცია და მისი განხორციელების კომპეტენცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში სახეზეა მაკონტროლებელ ორგანოთა იდენტური ფუნქციები, რაც აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე საჭიროებს დაზუსტებას და დახვეწას, რითაც თავიდან იქნება აცილებული პარალელიზმი მმართველობაში და ზედმეტი საბიუჯეტო და სამოსხლეო ტვირთი.

სასამართლოს ნებართვის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელებისას მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დააღუჭოს მეწარმის ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ან საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიება წარმოადგენს კონტროლის სახეებს, რომლის გამოყენება ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს შემოწმების ხასიათის საჭიროებიდან და ემსახურებოდეს შემოწმების საგნის გამოკვლევას. მითითებულის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო გარანტიად შეიძლება მივიჩნიოთ კანონის 5.2. მუხლით დადგენილი აკრძალვა, რომლის მიხედვით მაკონტროლებელი ორგანო ვერ მოსთხოვს მეწარმეს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც სცილდება კანონის და მოსამართლის ბრძანებით განსაზღვრულ

უფლებამოსილების ფარგლებს, ასე, მაგალითად, თუ სასამართლოს ბრძანებით ნებადართულია მეწარმის საქმიანობის შემოწმება 2003-2004 წლების პერიოდში, მაკონტროლებელს ეკრძალება მოითხოვოს 2000 ან 2001 წლებს დაკავშირებული აგრეთვე, კანონის 2.2. მუხლის იმპერატიული ხასიათის დებულება -მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები⁷ და საქართველოს კონტროლის პალატა კანონით დადგენილ ფარგლებში. აღნიშნულის მიხედვით, არც ერთ სხვა მაკონტროლებელ ორგანოს არა აქვს უფლება შემოწმების მიმდინარეობისას შეეხოს მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროს, რამდენადაც ამით იგი გადაამეტებს თავის, და იჭრება სხვის უფლებამოსილებაში, რისი შედეგები გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3. მუხლით.

საგულისხმოა, რომ კანონი სპეციფიკური მაკონტროლებელი ფუნქციიდან გამომდინარე ადგენს რვა მაკონტროლებელი ორგანოს ნუსხას, რომელთაც მოსამართლის ბრძანების გარეშე შეუძლიათ კონტროლის განხორციელება. ესენია:

1. საგადასახადო ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ გეგმურ შემოწმებებზე;

უფლებამოსილება დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 258-ე და 265-ე მუხლების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოების საგამონაკლისო ნუსხაში არსებობა გამოწვეულია იმ მნიშვნელოვანი გარემოებით, რომ „ეფექტიანი საგადასახადო კონტროლი ნებისმიერი საგადასახადო სისტემის სავალდებულო პირობას წარმოადგენს,,

„საგადასახადო კონტროლის არარსებობის ან არა ეფექტიან შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი მის კუთვნილ გადასახადებს არ გადაიხდის თავისდროულად და სრული მოცულობით, რამაც თავის მხრივ, შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება“⁸

საინტერესოა, რომ საგადასახადო ორგანოებს მხოლოდ გეგმურ შემოწმებებთან (წელიწადში ერთხელ) დაკავშირებით არ სჭირდებათ სასამართლოს ნებართვა, ყველა იმ შემთხვევაში, როცა საგადასახადო

⁷ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადასახადო კოდექსით ასეთი უფლებამოსილება დელეგირებულია სხვა ორგანოებისათვის. ასე, მაგალითად, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადების (დღგ, აქციზი) კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ (საგადასახადო კოდექსის 120.2 და 134.3 მუხლები).

⁸ საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებით იხ. ვრცლად: ზ. როგავა „გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი“; თბილისი, 2002 წ. გვ.286-314

ორგანოები გეგმით გათვალისწინებული შემოწმების გარდა (საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება), გადაწყვეტენ საწარმოს შემოწმებას, ისინი ვალდებული არიან სასამართლოს მიმართონ შუამდგომლობით ამ კანონის შესაბამისად და მხოლოდ ნებართვის მიღების საფუძველზე იქნენ კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე

საფინანსო საქმიანობა ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობისგან განსხვავდება მისი სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ბანკები, როგორც პრუდენციული დაწესებულებები ემსახურებიან განსაკუთრებულ, საზოგადოებისათვის აუცილებელ მიზანს, მათ აქვთ მნიშვნელოვანი ფიდუციარული მოვალეობა განკარგონ ყველაზე ადვილად და სწრაფად რეალიზებადი ნედლეული თუ საქონელი (ფული) და გონივრული, ფრთხილი და საიმედო მართვის მეშვეობით მოახდინონ საზოგადოებრივი დანაზოგების დაცულ და სტაბილურ სესხებად და ინვესტიციებად გარდაქმნა. ამ დანიშნულების უზრუნველსაყოფად, საბანკო სექტორი ექვემდებარება მკაცრ რეგულირებას და ზედამხედველობას. საქართველოს ეროვნული ბანკი⁹, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, არის დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც ორგანული კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია და ევალება განახორციელოს ბანკების ან სხვა სადეპოზიტო დაწესებულებების (საკრედიტო კავშირების) ლიცენზირება, რეგულირება, ზედამხედველობა და ლიკვიდაცია. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზანი მდგომარეობს სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, ფინანსური მოთხოვნების დაწესებაში და ამ გზით კომერციული ბანკების შეანაბრება და ცვა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ზარალისაგან, რამდენადაც ბანკები თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ხალხის და არა საკუთარ სახსრებს, განსხვავებით კომერციული საწარმოებისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ამ ნუსხაში ყოფნა, ზემომითითებული სპეციფიურობიდან გამომდინარე, ლოგიკურია და უზრუნველყოფს მის მიერ ბანკების ადმინისტრირების დაუბრკოლებლობას, ვინაიდან დარღვევებმა შესაძლებელია საფინანსო სექტორში სისტემური პრობლემების ფორმა მიიღონ და ქვეყნის ეკონომიკაში მკარო-კატასტროფული შედეგები გამოიწვიონ.

⁹ სეპ-ის კომპეტენცია იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 95.

1995 წ. 23 ივნისის ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 59-ე მუხლის 1, 2, 3, 4, 9 პუნქტები. 1996 წ. 23 თებერვლის კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები

ვფიქრობ, ორგანული კანონის 5.9.4. მუხლის ბ) პუნქტში მოცემული დებულება, რომლითაც საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სფეროს სცილდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული პირების შემოწმება, ძალიან პოზიტიურად გამოირიცხავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მაკონტროლებელი ფუნქციის პარალელიზმს.

3. საქართველოს კონტროლის პალატის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

საქართველოს კონტროლის პალატა კონსტიტუციურად ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც „სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს, იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, (კონსტიტუცია მუხლი 97.1). 1997 წლის 15 აპრილის კანონის „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, 5-8 მუხლებით განისაზღვრა კონტროლის პალატის საკონტროლო სფერო და უფლებამოსილებანი. საინტერესოა ეს უფლებამოსილება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, კერძოდ, საქმიანობის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან, გადარიცხვას ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მის მართვასთან, აგრეთვე, იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მათთვის საგადასახადო, საბაჟო ან სხვა შეღავათების მინიჭებასთან. ასევე, უფლებამოსილია შეამოწმოს ის სახელშეკრულებო ვალდებულება და სესხი, რომლის გარანტიად დგას სახელმწიფო.

მითითებული უფლებამოსილება გამომდინარეობს კონტროლის პალატის კანონით დადენილი ფუნქციებიდან და მისი დანიშნულებიდან, რამდენადაც იგი, როგორც სახელმწიფოს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურება ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას.

კონტროლის პალატის ასეთი უფლებამოსილება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის (მათ შორის მეწარმეების) შემოწმებასთან დაკავშირებით კანონის თანახმად შეიცავს შესაბამის მოვალეობებს შემოწმების ობიექტისგან, ისევე, როგორც პალატა კანონის 44-ე მუხლის მიხედვით ვალდებულია შესამოწმებელ პირს გაუგზავნოს შესაბამისი ბრძანება და შესამოწმებელ საკითხთა პროგრამა. ობიექტის ხელმძღვანელობა კი ვალდებულია ბრძანების მიღებიდან ორი კვირის ვადაში წარადგინოს სრულყოფილი ანგარიში პროგრამაში მითითებულ

საკითხთა გარშემო (მუხლი 45). რევიზია—შემოწმების ჩატარების დროს დაბრკოლებების შექმნის, ასევე სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება აქვს შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელობას მისცეს მიწერილობა, რომელიც საგაღებულოა შესასრულებლად.

კანონის 57-ე მუხლით დაცულია ფიზიკური და იურიდიული პირის უფლება კონტროლის პალატის ორგანოების დადგენილებების სასამართლოში გასაჩივრებისა, სპეციალური - 1 თვის ვადაში.

კანონის 64-70 მუხლებით მოწესრიგებულია კონტროლის პალატის ურთიერთობის საკითხი სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებთან.

72-ე მუხლით პალატის მუშაებს ევალებათ შემოწმების პერიოდში არ დაუშვან უფლებამოსილების გადამეტება, არ ჩაერიონ ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

კონტროლის პალატასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის 5.2. მუხლით დადგენილი უფლებამოსილება - საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა შემოწმებისას შესაბამისი ორგანოსაგან მოითხოვოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა მათი კამერალური წესით შემოწმების მიზნით, ეს უფლებამოსილება კონტროლის პალატას განსაზღვრული აქვს სპეციალური კანონით, თუმცა, ამ დებულების ჩადება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონში მოკლებულია დაკონკრეტებას და გაუგებარია რა კონტექსტში არის ნაგულისხმევი, რა კავშირი აქვს ამ უფლებამოსილებას მეწარმისაგან ინფორმაციის - შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენასთან მიმართებაში. ვფიქრობ, ნორმა აშკარად დასაზუსტებელია, რათა ცხადი გახდეს მისი გამოყენების დანიშნულება.

4. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე

მითითებული ორგანო სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს 1997 წლის 2 მაისის „დაზღვევის შესახებ„კანონის 19.1. მუხლის და 21 მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, 1998 წლის 30 ოქტომბრის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ„კანონის 30-ე, 31-ე, 32.1. „დ“, „ვ“, 32.2. „ა“, 32.2., 36.2. მუხლების საფუძველზე.

5. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

1998 წლის 24 დეკემბრის კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ„ნორმებით მოწესრიგებულია ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირე-

ბული ურთიერთობები. ამ კანონის 46-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, იგი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს მითითებული კანონის 1.5., მე-2, მე-9, 49.1. „ე“, 52-ე, 55-ე, 56-ე მუხლების, „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“, კანონის 33-ე მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2092 მუხლის საფუძველზე.

6. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

2002 წლის 13 ოქტომბრის კანონის „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, ნორმებით შეიქმნა სამართლებრივი სამართლებრივი საფუძველი და სრულყოფილი ინსტიტუციური გარემო ქვეყანაში მოქმედი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტაბილური ფუნქციონირებისთვის, რათა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში უზრუნველყოფილი იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა და საქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით მისი მოქმედება ვრცელდება:

ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაზე - კონტროლს ახორციელებს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“, კანონის 34 „ბ“, მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 228-ე მუხლის საფუძველზე.

ბ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაზე - კონტროლს ახორციელებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, კანონის 4.5. მუხლის საფუძველზე.

გ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოზე - კონტროლს ახორციელებს 1999 წლის 16 სექტემბრის „ნავთობისა და გაზის შესახებ“, კანონის მე-7 მუხლის და 1997 წლის 10 დეკემბრის „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“, კანონის 3.1. „კ“, მუხლის საფუძველზე.

დ) საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაზე - კონტროლს ახორციელებს 1995 წლის 4 აპრილის „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“, კანონის 4.2. მუხლის საფუძველზე.

მოქმედი კანონმდებლობით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ორგანოა, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ორგანოს

მარეგულირებელი ფუნქცია გამოიხატება სამართლებრივი აქტების მიღებაში, მონიტორინგის, ზედამხედველობის (კონტროლის) და კოორდინაციის განხორციელებაში.

მითითებული მარეგულირებელი კომისიები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სწორედ მათი სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გამართლებული არ უნდა იყოს სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილების მათზე დელეგირება, მით უფრო, შეუზღუდავი კონტროლის (სასამართლო ბრძანების გარეშე) უფლებამოსილების მინიჭება.

7. 2003 წლის 23 ივლისის საკანონმდებლო დამატებით მითითებულ ნუსხაში შევიდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი მის მიერ განხორციელებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე. იგი კონტროლს განხორციელებს 2003 წლის 20 ივნისის „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ“ კანონის 14.1., 28-ე მუხლის; 1998 წლის 30 ოქტომბრის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 425- 499 მუხლებისა და 238.46. მუხლის; პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის №558 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“, 4 „ბ„და 6.2. „მ„მუხლების საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ ეს საკანონმდებლო დამატება ძალაში შედის 2005 წლის 1 იანვრიდან.

8. 2003 წლის 26 აგვისტოს საკანონმდებლო დამატებით მითითებულ ნუსხას აგრეთვე დამატა: ა) საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგო-ზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი - კონტროლს ახორციელებს 1994 წლის 22 სექტემბრის „ენერგეტიკის შესახებ“ კანონის 3.5. მუხლის; 1997 წლის 10 დეკემბრის „საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 3.1. „ი„მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2292 მუხლის საფუძველზე; და ბ) საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია - კონტროლს ახორციელებს 1997 წლის 10 დეკემბრის „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 11.6. მუხლის; 1998 წლის 30 ოქტომბრის „ბირთვული რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 7.7., 32.1., 32.4., 32.5., მუხლების; შრომის კანონთა კოდექსის 238.1. და 2. მუხლების საფუძველზე.

ვფიქრობ, მითითებული მაკონტროლებელი ორგანოების საგამონაკლისო ნუსხაში შეყვანა განპირობებულია, ასევე, სპეციფიური მაკონტროლებელი ფუნქციით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაქსიმალური უზრუნ-

ველეყოფის ინტერესებით და კონტროლის ვეექტიანობით.

ჩამოთვლილი ადმინისტრაციული ორგანოები მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულებისას უშუალოდ არ არიან მოქცეული სასამართლო კონტროლის არეალში, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს მეწარმის მხრიდან მათი ქმედების თუ გადაწყვეტილებათა კანონიერების გამო გასაჩივრების უფლების რეალიზაციას სასამართლო წესით.

განვიხილოთ რა ამ 8 მაკონტროლებელი ორგანოს სპეციფიური ფუნქციები, მნიშვნელობა, ვფიქრობ, ჩამონათვალში შესაძლებელია ასევე შესულიყო ასევე საკმაოდ სპეციფიური მაკონტროლებელი ორგანოები სანიტარული და სახანძრო კონტროლის ფუნქციებით: სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია და შსს სახელმწიფო ხანძარ-საწინააღმდეგო სამსახური, მათ მიერ განსახორციელებელი კონტროლის საზოგადოებრივი საჭიროებიდან, რიგ შემთხვევებში, სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენადაც ამ სფეროებში უმეტესად, კონტროლის განხორციელებას პრევენციის ელემენტი დაკარგული აქვს და შედეგების (ხშირად, უმძიმესი) დაფიქსირებით და სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი ადმინისტრაციული ორგანოები სასამართლო ნებართვის გარეშე (საგამონაკლისო წესით) ახორციელებენ კონტროლს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ ეს შეიძლება ჩინოვნიკთა თვითნებობის წყარო გახდეს, პირიქით, ამის დამაბრკოლებელი მექანიზმი და შემაკავებელი ფაქტორი, გარდა, შესაბამისი ნორმატიული აქტების ნორმებისა, თავად „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონშიც არის ჩადებული, კერძოდ, 5.1. „გ“-„ვ“-მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცალკეული იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ამგვარი ადმინისტრაციული აქტი (ისევე, როგორც ყველა სხვა) უნდა გამოიცეს შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით და მისი გასაჩივრების უფლების, როგორც ადმინისტრაციული საჩივრით (სზაკ-ის 177 მუხლი) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ან ადმინისტრაციული სარჩელით სასამართლოში, რეალიზაცია დაინტერესებული მხარის (ამ შემთხვევაში, მეწარმის) ნებაზე დამოკიდებული (ანუ, გასაჩივრების უფლება გარანტირებულია). ზოგადი

ადმინისტრაციული (184-ე მუხლი) და საპროცესო (29-ე მუხლი) კოდექსებით გათვალისწინებულია სადაო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობაც, მისი კანონიერების საკითხის გადაწყვეტამდე.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეწარმის კანონიერი ინტერესები საგამონაკლისო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამეწარმეო

საქმიანობის კონტროლის სასამართლო ნებართვის გარეშე განხორციელების პირობებშიც შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია დაუსაბუთებელი შემოწმების ინტენსიურობისაგან.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მითითებული კანონის ამოქმედებით მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობაზე წინასწარი სასამართლო კონტროლის დაწესებამ უდავოდ შეასრულა პოზიტიური როლი სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების და ხელშეწყობის უზრუნველყოფის, ასევე, მაკონტროლებელი ორგანოების შემცირების თვალსაზრისით, თუმცა, ვფიქრობ, აუცილებელია კანონმდებლობით მკვეთრად შემცირდეს მათი რიცხვი, რამდენადაც ხშირია პარალელური მაკონტროლებელი ფუნქციის შემთხვევები, ასევე, უნდა გაირკვეს, რამდენად ლოგიკურია საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო კონტროლის ფუნქციის დელეგირება. განსაკუთრებით საჭიროა ამ სფეროში მასშტაბური რეფორმატორული ღონისძიებების გატარება, რომლის წარმატების შემთხვევაში, ვფიქრობ, დაახლოებით 1-2 წელიწადში საქართველოში აღარ იქნება აუცილებლობა სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის თაობაზე ნებართვების სასამართლოს იურისდიქციაში მოქცევა, რამდენადაც მიუხედავად მითითებული პოზიტივისა, მას უდავოდ გააჩნია უარყოფითი ასპექტები, ვინაიდან წინასწარი სასამართლო კონტროლის დაწესება მნიშვნელოვნად ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი ფუნქციის შესრულებას, უკარგავს ოპერატიულობის და ეფექტიანობა ხასიათს. აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირების შედეგად, მაკონტროლებელ ორგანოთა მხრიდან არამართლზომიერი ქმედებების შემაკავებელი ფაქტორი სავსებით შეიძლება გახდეს თავად სახელისუფლო ვერტიკალში და საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანი განხორციელება.

მითითებული ნორმით განისაზღვრა შუამდგომლობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო, რის მიხედვით მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მეწარმის ადგილსამყოფელის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ, როგორც პროცესუალურმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მეწარმის ზუსტი მონაცემების დადგენა.

კანონის „მეწარმეთა შესახებ“, 5.1.1. მუხლის მიხედვით მეწარმის ადგილსამყოფელად ითვლება საწარმოს იურიდიული მისამართი, შესაბამისად შუამდგომლობის განხილვის და ბრძანების გაცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს შესამოწმებელი საწარმოს იურიდიული მისამართი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, /როდესაც საწარმო რეგისტრირებულია მისამართზე, მაგრამ ობიექტი, რომლის შემოწმებასაც აპირებს მაკონტროლებელი ორგანო, სხვა ტერიტორიაზე

(მისამართზე) მდებარეობს/ მაგ: საწარმოს რამდენიმე სავაჭრო ან სერვისული ობიექტი აქვს, მაკონტროლებელი ორგანო შუამდგომლობით შედის სასამართლოში არა მეწარმის ადგილსამყოფელის, არამედ, ამ საწარმოს რომელიმე ობიექტის ადგილსამყოფელის მიხედვით, მაშინ, როცა კანონით შემოწმების ობიექტია საწარმო და არა საწარმოს კუთვნილი ობიექტები.

ამდენად, სასამართლომ უპირველესად უნდა შეამოწმოს, წარმოადგენს თუ არა აღძრული შუამდგომლობის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ანუ, შესამოწმებელი მეწარმის ადგილსამყოფელი - იურიდიული მისამართი მდებარეობს თუ არა ამ სასამართლოს იურისდიქციის ტერიტორიაზე, ასეთის არდამთხვევის ვითარებაში სასამართლო ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლის მიხედვით შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს, რამდენადაც ამავე მუხლის პირველი პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ სარჩელი უნდა

წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე, ბუნებრივია ეს დებულება ასევე ვრცელდება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მიუხედავად სამართალწარმოების უკიდურესად შეზღუდული პროცესუალური ვადისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება არაკომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილად და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაექვემდებარება გაუქმებას, რამდენადაც სასკ 2 6.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული საქმის განხილვის და გადაწყვეტის უფლება მხოლოდ უფლებამოსილ სასამართლოს გააჩნია.

მუხლი 21². მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა

1. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემონმების დანყებამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემონმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემონმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. შუამდგომლობის წარდგენისას მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემონმების

გადაუდებელი აუცილებლობა.

3. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მენარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება იმ მენარმის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები. შუამდგომლობას დაერთვის აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი.

1. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, რომელიც მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყების საფუძველია. შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე.

2. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის 3.4. მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ სასამართლოს მხრიდან ბრძანების არ გაცემის შემთხვევაში, მეწარმის შემოწმება არ განხორციელდება.

მიუხედავად აღნიშნულის დადგენისა, კანონმდებელმა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²-2. მუხლით დაუშვა გამონაკლისი - სასამართლო ნებართვის გარეშე საწარმოს საქმიანობის შემოწმების დაწყების უფლება, მხოლოდ ამგვარ ნორმით მკაცრად ჩამოყალიბებულ შემთხვევაში, კერძოდ, „როდესაც შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს“. ეს ნიშნავს, რომ სახეზე უნდა იყოს ამგვარი საფრთხის ან მტკიცებულებების განადგურების, გადამადგვის საშიშროების რეალურობა. ასეთ პირობებში მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში (და არა საწარმოს სრულად პარალიზება, როგორც ამას აკეთებენ უმეტეს შემთხვევაში) და დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით. მეწარმის გადაუდებელი შემოწმების დაწყება დასაშვებია სამ შემთხვევაში:

1. საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია;
2. შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს;
3. შემოწმების დაწყებას მოითხოვს მეწარმე.

მაგ. თუკი საწარმოს საქმიანობის შეჩერება ნიშნავს უწყვეტი საწარმოო ციკლის შეწყვეტას, საწარმოს საქმიანობის შეჩერება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან მატერიალურ დანაკარგებთან, ამგვარ ვითარებაში, 24 საათის განმავლობაში უნდა აღიდრას შუამდგომლობა სასამართლოში, სადაც უნდა დასაბუთდეს, თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა, რაზეც სასამართლომ უნდა

იქონიოს მსჯელობა და მისცეს შეფასება.

სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას საწარმოში დაწყებული შემოწმება ლეგიტიმურ ხასიათს იძენს (დაკანონება), ხოლო, არდაკმაყოფილების შემთხვევაში, შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მეწარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსათვის, აგრეთვე, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა გადაცემული ქონება თუ დოკუმენტი.

ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მეწარმეს მიეცემა სათანადო და სრული ანაზღაურება. მეწარმეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს უკანონო შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლით; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა დადგენილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209 მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 997-ე, 1005-ე მუხლებით, ასევე, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, კანონის 4.4. მუხლით.

აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპული და მეწარმის უფლებების გარანტირებული უფრო კონკრეტულ ხასიათს იძენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³.6. მუხლში, რომლის მიხედვით, შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოს დადგენილებაში „მიეთითება შემოწმების შეწყვეტისა და მეწარმისათვის მიყენებული ზიანის (თუ ზიანი დადგა მაკონტროლებელი ორგანოს ბრალეული ქმედების შედეგად) ანაზღაურების შესახებ“.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან გაცნობიერებული არ არის ამ უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები, რომ მისი რეალიზაცია წარმოადგენს უკიდურესად მძიმე ზომას და იგი უცილებლად ადეკვატური უნდა იყოს საწარმოში არსებული ვითარების შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა, შესაბამისად, ორგანოს წარმოუშვება ვალდებულება დაასაბუთოს მმართველობითი ორგანოს მიერ ამგვარად მძიმე იძულებითი მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობა და ზომების სათანადობა.

აღნიშნულს რომ სწორედ ამ კონტექსტში განიხილავს კანონმდებელი, დასტურდება მეწარმის უფლების დადგენით - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რითიც კომპენსირდება სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი მექანიზმის არამართლზომიერი გამოყენებისას მეწარმის უფლებების და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეუხებლობის დარღვევა.

დღემდე, სასამართლოში დაფიქსირებული არ არის პრეცედენტი, როცა მეწარმემ სასარჩელო წესით მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ზემოთმითითებული ნორმების საფუძველზე მაკონტროლებელი ორგანოსაგან, ამდენად, ასეთი საფუძველით აღძრული სარჩელი სასამართლოს მიერ განხილული და გადაწყვეტილი არ ყოფილა.

განხილულ თემასთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, კანონის 3.5. მუხლის დებულება, რომლის მიხედვით კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების

შედგებად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. ანალოგიური შინაარსის ნორმა მოცემულია, როგორც სამოქალაქო სამართლის საპროცესო (1033. მუხლი), ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში (მუხლი 6) - „კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების ძალზედ არსებითი ხასიათის დებულება კანონმდებელმა გაიმეორა სამეწარმეო კონტროლის პროცედურაში, მისი მნიშვნელობის და დატვირთვის აბსოლუტური გათვალისწინებით. მითითებული ნორმა წარმოადგენს ერთ-ერთ შემაკავებელ ფაქტორს მაკონტროლებელი ორგანოს არამართლზომიერი მოქმედებისა, რამდენადაც ასეთი შემოწმების შედეგად მიღებული მტკიცებულებები ორგანომ ვერაფერში ვერ უნდა გამოიყენოს (საფუძვლად ვერ დაუდებს შემოწმების აქტს, დარღვევის კვალიფიკაციას და ა.შ.), ვინაიდან სასამართლო მას მიიხნევს რა იურიდიული ძალის არ მქონედ, მოპოვებული მტკიცებულების როლი ნულოვანი და შესაბამისად, აზრდაკარგულია.

3. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს (ფაქტობრივი მხარე) ბრძანების გასაცემად.

შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს:

1. შესამოწმებელი მეწარმის ზუსტი მონაცემები. აქ კანონმდებელი მოიაზრებს საწარმოს სახელწოდებას, მისამართს, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებელი ავალდებულებს თავად განსაზღვროს შემოწმების ვადა 1-15 დღემდე, ანუ, რა ვადაშია შესაძლებელი კონტროლის ოპტიმალური განხორციელება, შემოწმების ხასიათში უნდა განიმარტოს თუ ღონისძიებების რომელი სახით უნდა მოხდეს შემოწმება, მაგ. პროდუქციის ნიმუშის აღება გამოსაკვლევეად, აპარატურის დათვალიერება, საქონლის აღრიცხვა და სხვ. შემოწმების ფარგლებში იგულისხმება, როგორც კომპეტენციის სფერო, ასევე, საწარმოს შესამოწმებელი საქმიანობის პერიოდი.

ეს მონაცემები განეკუთვნება ფორმალურ მხარეს (იხ. ასკ 21-2. 3. მუხლი).

როგორ უნდა იქნას გაგებული კანონის ტექსტი „საკმარისი საფუძველი,“ ან რა უნდა მიიხნოს სასამართლომ ამგვარად?!

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ,“ კანონის 3.3. მუხლის იმპერატიული დებულებით „მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტრო-

ლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების შესახებ“.

ციტირებული ნორმით ნათელი ხდება მაკონტროლებელი ორგანოს დანიშნულება და ამოცანა, კერძოდ, კანონმდებლობით მინიჭებული კონტროლის ფუნქცია გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი მიზნით: მეწარმის საქმიანობაში კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრა, გარკვეულწილად პრევენციული ზომების მიღება, სამეწარმეო საქმიანობის კანონით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობაში და ფარგლებში მოყვანა, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი აქტის შედგენა, დაჯარიმება¹⁰, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების გამოვლენა და შესაბამისი ორგანოებისათვის საკითხის გამოსაკვლევადა გადაცემა¹¹, უკანონო ან უნებართვო სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვა და სხვ., და არა მეწარმის ჩასაფრების, გამოძღვის, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეშლის, კონკურენციის ჩახშობის და სხვა მსგავსი განზრახვებით.

მაკონტროლებელი ორგანოების პოლიტიკა მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებით თავისუფალი კონკურენციის განვითარების, და რაც ყველაზე პრინციპული და არსებითია - მომხმარებლის უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფით¹².

ამ პრინციპებით ხელმძღვანელობის პირობებში, მაკონტროლებელი ორგანოები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ფლობენ (უნდა ფლობდნენ) შესაბამის მექანიზმებს მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების შესახებ დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვის შემცველი ინფორმაციის მოსაპოვებლად და მისაღებად.

ბუნებრივია, რომ მეწარმის საქმიანობის შემოწმებისთვის ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად სასამართლომ არ შეიძლება მიიჩნიოს მაგ. შუამდგომლობაში წარმოდგენილი ამგვარი ინფორმაცია: „წარსულში შემოწმებების პრაქტიკის მიხედვით მეწარმეები არ არიან გათვითცნობიერებული შრომის დაცვის საკითხებში, რაც იწვევს მათი მხრიდან შრომის კანონმდებლობის და მასთან დაკავშირებულ შრომის დაცვის წესების დარღვევას, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მშრომელთა ჯანმრთელობის მოშლა ან დასახიჩრება შრომის პროცესში, ამდენად, საწარმოში შემოწმებას აქვს რეალური საფუძველი, რათა განუმარტონ და პროფილაქტიკური ღონისძიებები გაატარონ მშრომელთა სოციალური დაცვის საქმეში, რაც შრომის ინსპექციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.

¹⁰ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საგადასახადო კოდექსის და ა.შ. შესაბამისი ნორმების მიხედვით.

¹¹ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

¹² 1996 წ. 20 მარტის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.

სასამართლოს დადგენილების მოტივაცია მითითებულ შუამდგომლობაზე შემდეგია: შუამდგომლობა სრულებით არ შეიცავს ინფორმაციას მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით, იგი აგებულია ზოგადი პრაქტიკის განზოგადებაზე, და ნაცვლად, კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების დადგენისა, მიზნად ისახავს საწარმოში განმარტებების მიცემას და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რაც სცილდება სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ლეგალური დეფინიციის არსს,

შუამდგომლობა აგებულია ზოგადი ხასიათის ინფორმაციაზე, ტრაფარეტული და შაბლონურია და არ არის წარმოდგენილი არანაირი კონკრეტული საფუძველი, რის გამოც უნდა მოხდეს მეწარმის საქმიანობის შემოწმება¹³.

მუხლი 21³. მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში. (24.06.2005. 1800)

2. მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი და ის მეწარმე ან მისი წარმომადგენელი, რომლის საქმიანობის შემოწმებასაც ითხოვს მაკონტროლებელი ორგანო. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ამ კოდექსის 201 მუხლით განსაზღვრული წესით. (14.09.2001.1063)

3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადება შუამდგომლობის შემტან მაკონტროლებელ ორგანოს და მეწარმეს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

4. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, თუ რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც შუამდგომლობა შეიტანა, ასაბუთებს მას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლისა და მეწარმის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს

¹³ იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

5. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს მენარმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, მას ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საწინააღმდეგო მოსაზრებები.

6. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემონმების შემდეგ მოსამართლე გასცემს დასაბუთებულ ბრძანებას მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე. თუ არ არსებობს მენარმის საქმიანობის შემონმების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მენარმის საქმიანობის შემონმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მენარმის შემონმება უკვე დაწყებულია, დადგენილებაში მიეთითება შემონმების შეწყვეტისა და მენარმისათვის მიყენებული ზიანის (თუ ზიანი დადგა მაკონტროლებელი ორგანოს ბრალეული ქმედების შედეგად) ანაზღაურების შესახებ. (24.06.2005. 1800)

7. მენარმის საქმიანობის შემონმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;
- დ) განკარგულება მენარმის საქმიანობის შემონმების შესახებ, მისი არსი და მენარმე, რომლის შემონმებაც ხდება;
- ე) ბრძანების მოქმედებისა და მენარმის საქმიანობის შემონმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს;
- ვ) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;
- ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. მენარმის საქმიანობის შემონმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში აღინიშნება:

- ა) დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;
- დ) განკარგულება მენარმის საქმიანობის შემონმებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით და მენარმე, რომლის შემონმებაზე-დაც ითქვა უარი;
- ე) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს დადგენილება;
- ვ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება ან დადგენილება დგება სამ ცალად, აქედან ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ მაკონტროლებელ

ორგანოს, მეორე-შესაბამის მენარმეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე მენარმე ან მისი წარმომადგენელი 3 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოება, უფლებამოსილია მენარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლის ბრძანებითაც ხორციელდება მენარმის საქმიანობის შემოწმება. შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილება იწვევს მოსამართლის ბრძანების გაუქმებას. (14.09.2001. 1063)

11. ამოღებულია (24.06.2005. 1800)

12. ბრძანების მოქმედების და მენარმის საქმიანობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს, გამოწვევის შემთხვევებში დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 15 დღისა. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მენარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. (24.06.2005. 1800)

13. შუამდგომლობის შემტანი უფლებამოსილია სასამართლოში შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს იგი. იმავე საფუძველზე შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.

14. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. მოსამართლის ბრძანება ამ მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

15. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომცემ სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. საჩივრის და თანდართული მასალების ასლები ეგზავნება მეორე მხარეს. (24.06.2005. 1800)

16. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება არსებითად, კოლეგიური წესით, საჩივრის შესვლიდან 3 დღის განმავლობაში, ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

17. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ დადგენილებას – დადგენილებით.

18. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. (14.09.2001. 1063)

1. მითითებული მუხლი შეიცავს დებულებებს, თუ რა წესით უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სასამართლომ მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე აღძრული შუამდგომლობა.

მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში იღებს, სასკ-ი 21¹.1 მუხლი.

კანონმდებელი იყენებს რა ტერმინს „შუამდგომლობის წარდგენიდან„და სწორედ ამ მომენტიდან 72 საათის განმავლობაში ადგენს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას, აღნიშნული ავალდებულებს სასამართლოს ადმინისტრაციას, შუამდგომლობის რეგისტრაციის მომენტში სხვა რეკვიზიტებთან ერთად მიუთითონ (დააფიქსირონ) მისი წარდგენის დრო საათის მიხედვით, საიდანაც უნდა აითვალოს, მიღებული იქნა თუ არა გადაწყვეტილება კანონით დადგენილ (72 საათი) ვადაში.

შუამდგომლობა განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, რაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გულისხმობს მხარეთა - მაკონტროლებელი ორგანოს და მეწარმის სასამართლოში გამოძახების უზრუნველყოფას, რაც ქართულ (და არა მარტო) პირობებში 72 საათის ვადაში, უკიდურესად რთულია. 21⁴.4. მუხლის მიხედვით სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა შუამდგომლობის გადაწყვეტისთვის დადგენილი ვადის დაცვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა არ არის დამაბრკოლებელი გარემოება, მხარეებს სსსკ 70-78-ე მუხლების შესაბამისად, უფლება აქვთ ჩაიბარონ სასამართლო უწყება, რისი მიღწევაც 72 საათიან ვადაში, ასევე, უკიდურესად პრობლემატურია¹⁴, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ცვლილებამდე ეს ვადა მხოლოდ 24 საათით განისაზღვრებოდა, რაც წარმოუდგენელ სირთულეებს ქმნიდა სამართალწარმოების განხორციელებისას.

მოცემულ პროცედურაში ასევე, რთულია მეწარმისთვის მისი საპროცესო უფლებების რეალიზაცია, მას არა აქვს, ვადის სიმცირის გამო, საშუალება მოემზადოს სასამართლო განხილვისთვის, გაეცნოს შუამდგომლობის მოტივაციას, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, ამდენად, მეწარმე უღაოდ არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც პროცესუალური მხარე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადმინისტრაციული ორგანოს მაკონტროლებელი ფუნქციის სასამართლო კონტროლის არეალში მოხვედრა, გაცილებით უზრუნველყოფს მისი უფლებების დაცვას, ვიდრე, თუნდაც ამ პროცედურის სრული არარსებობა.

¹⁴ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სასამართლო უწყების ჩაუბარებლობა ხშირად ხდება საჩივრის ერთ-ერთი მოტივი, თუმცა, ეს არც ერთ შემთხვევაში, არ გამხდარა გასაჩივრებელი სასამართლო აქტის გაუქმების საფუძველი (როგორც ეს მოხდებოდა სხვა ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში), ვინაიდან კანონი თავად პროვოცირებს ასეთი შეზღუდული ვადის დადგენით.

2. მითითებულ პროცედურაში დაშვებულია გამონაკლისი. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის 5.4. მუხლის მიხედვით აღძრული შუამდგომლობა ექვემდებარება დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე განხილვას, რასაც საპროცესო კოდექსში უზრუნველყოფს 20¹ მუხლი. მითითებული მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების თაობაზე აღძრული სარჩელის დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე განხილვა, მხარეებს ეს ინფორმაცია გასაცნობად არ წარედგინება და ამ პროცედურით განხილულ საქმეზე დადგენილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას გამოიწვევს.

სას.კ-ის 20¹ მუხლის გამოყენება კანონის 5.4. მუხლის საფუძველზე აღძრული შუამდგომლობის განხილვისას უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული, სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვას, ასევე, სასამართლო აქტი იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ეს მოთხოვნა არ დაირღვეს.

რა თქმა უნდა, სასამართლოს მხრიდან ეს დიდ დაკვირვებას და სიფაქიხეს მოითხოვს სამოტივაციო ნაწილის აგებისას, ვფიქრობ, იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია სხვაგვარად სასამართლოს მსჯელობის გადმოცემა, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს თავისი დასკვნის სრულად დასაბუთებისაგან.

დამოუკიდებელი განხილვის საგანს წარმოადგენს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის 5.4. მუხლი, რომლის მიხედვით ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურა ანუ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ„კანონითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებაზე.

მითითებული კანონის 1.1. მუხლით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა დეფინირებულია, როგორც ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები, რომელთა შესასრულებლად კანონის 7.2. მუხლით დადგენილია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სახეები, კერძოდ: პირის გამოკითხვა; ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი; საკონტროლო შესყიდვა; კონტროლირებადი მიწოდება; საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა და ა.შ. (ა-ლ) პუნქტები), მე-12 მუხელში კი მოცემულია ამგვარი საქმიანობის

განმახორციელებელ ორგანოთა ნუსხა.

აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელების უფლებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნის საფუძველზე ასევე ესაჭიროება სასამართლოს ნებართვა, თუმცა, შუამდგომლობის აღმძვრელ მხარედ გვევლინება არა მაკონტროლებელი, არამედ, მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, რომლის საპროცესო მოვალეობას განეკუთვნება სასამართლოსათვის მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

ბუნებრივია, რომ შუამდგომლობის მოტივაცია უნდა ეყრდნობოდეს „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, რომლის დადასტურება ან გაქარწყლება უნდა უზრუნველყოს მაკონტროლებელმა ორგანომ განხორციელებული შემოწმების შედეგად.

მნიშვნელოვანია, რომ აქვე განისაზღვრა სასამართლო განხილვის წესი - დახურული სასამართლო სხდომა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე (ინ ვამერა). ასეთი პროცედურა მოცემულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლშიც, რომლის გამოყენების ვალდებულებას ადგენს ამავე კოდექსის 21². მუხლი. სასამართლო განხილვის ეს სპეციალური და განსაკუთრებული წესი უზრუნველყოფს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ„კანონის მე-5 მუხლის პირობების შესრულებას და ამ საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტების და წყაროების, როგორც საიდუმლო ინფორმაციის, გამხელის, გამჟღავნებისგან დაცვას.

სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების აღძრული შუამდგომლობების განხილვისას მუდმივი პრობლემაა ოპერატიული საქმიანობის ამსახველი მონაცემების სასამართლოში წარმოდგენა, ხოლო, წარმოდგენის შემთხვევაში, მისი ხარისხი; მეტად იშვიათ შემთხვევაში პასუხობს იგი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ„12.2. მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების ჩატარების კანონით დადგენილ წესს, ასევე პრობლემაა კანონის 12.7. მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარების ამსახველი ოქმის სასამართლოში წარმოდგენა.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე სრულიად გაურკვეველია, რას უნდა მისცეს შეფასება სასამართლომ, ეს გარემოება ყველა შემთხვევაში, შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ანუ ნებართვის არ გაცემის საფუძველია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცედურაში უკიდურესად შეზღუდულია მეწარმის, როგორც პროცესუალური მხარის, მიერ საპროცესო უფლებების რეალიზაცია თუმცა, სასამართლო კონტროლი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მისი კანონიერი უფლებების დაცვას, ვიდრე, ამ პროცედურის თუნდაც სრული არარსებობა.

უმეტესად, ამგვარი შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავდნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ორგანოები, და საგანგებო ლეგიონი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნებოდა ისეთ ეკონომიკურ დანაშაულს, როგორცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, აღურიცხავი საქონლის რეალიზაცია, ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოყენება და საგადასახადო ცნობების გაყალბება, ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა და სხვ. ყველა შემთხვევაში აღნიშნული ორგანოები ითხოვნენ შემოწმების ჩატარების ნებართვა გაცემულიყო საგადასახადო სამსახურებზე.

ამ პროცედურის საფუძველზე განსახორციელებელ შემოწმებაზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ„კანონის 4.1. მუხლით დადგენილი აკრძალვა უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შემოწმებული მეწარმის, საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით სხვა მაკონტროლებელი ორგანოს ან იმავე ორგანოს სხვა დანაყოფის მიერ შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით და ლოგიკურადაც, ვინაიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება დამოკიდებულია არა დაგეგმვაზე, არამედ, შექმნილ ვითარებაზე.

ფიქრობ, კანონის 5.4. მუხლის პროცედურა აუცილებლად საჭიროებს დაკონკრეტებას და დაზუსტებას, ასევე, საინტერესოა, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ„კანონში ამ ორგანოების უფლებამოსილება - აღძრან შუამდგომლობა სასამართლოში, გათვალისწინებული არ იყო, რაც ხარვეზით უნდა აიხსნას.

აუცილებელია აღვნიშნო, რომ 2004 წლის 24 თებერვლის კანონის „ფინანსური პოლიციის შესახებ„ამოქმედების შედეგად საფინანსო პოლიციის საქმიანობის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს: ა) ეკონომიკურ დანაშაულებათა სფეროში პრევენციული საქმიანობა, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე; ბ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მუხლი 7.1.

ამავე კანონის 7.2. მუხლით ფინანსური პოლიციის უფლებამოსილებას განეკუთვნება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში: ა) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, აწარმოოს მოკვლევა და წინასწარი გამოძიება; ბ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულზე აღძრას სისხლის სამართლის საქმე; გ) ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; დ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება რევიზიის ან ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, მოითხოვოს საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის

საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.

ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი განსაზღვრავენ სწორედ ამ კანონის მე-2 მუხლით ჩამოყალიბებულ „პოლიციის სამართლებრივ სტატუსს“. იგი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართლებრივი ორგანო, რომელიც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას ეკონომიკურ დანაშაულებათა სფეროში, აგრეთვე, კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა ფუნქციებს.

ამდენად, „ფინანსური პოლიციის შესახებ“ კანონის ამოქმედების მომენტიდან მხოლოდ ფინანსური პოლიციის კომპეტენციას წარმოადგენს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა და კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარება. აქედან გამომდინარე, ამ სფეროში ყველა სხვა სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობა ჩაითვლება უფლებამოსილების გადაშეცემად.

შესაბამისად, მხოლოდ საფინანსო პოლიცია შეიძლება მოგვევლინოს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ 5.4. მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის აღმძვრელ სუბიექტად. ვფიქრობ, მითითებული ნოვაცია უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ორგანოთა ფუნქციების გამოჯენას და გამორიცხავს პარალელიზმს მათ საქმიანობაში.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურება - სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება შენარჩუნებულია მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ პროცესში, გამოსატული 2¹³. მუხლში იმგვარად, რომ მოსამართლე აღჭურვილია უფლებით: გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადებები მხარეებს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

ეს უფლებამოსილება განსაკუთრებით აქტუალურია „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის 5.4. მუხლის მიხედვით აღძრულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში ჩვენებების მიღება სასამართლოს აძლევს საშუალებას გამოარკვიოს მთელი რიგი საკითხები და სწორად შეაფასოს საქმის მასალები.

საქართველოს კონსტიტუციის 85.1. მუხლის მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ.

1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“, 12.3. მუხლის მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ, მიუხედავად იმისა, საქმე განხილულ იქნა ღია თუ დახურულ სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ სამართალწარმოებაშიც, საქმის ღია და დახურულ სასამართლო

სხდომაზე განხილვის შემთხვევებში, სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო ბრძანება თუ დადგენილება, ექვემდებარება საქვეყნოდ გამოცხადებას. კანონის ამ იმპერატიული მოთხოვნის დარღვევას ადგილი აქვს სასამართლოებში, როცა 20¹ მუხლით საქმის განხილვისას არ ატყობინებენ მხარეებს სხდომის ჩატარების თაობაზე და სათათბირო ოთახიდან გამოსვლის შედეგად საჯაროდ არ აქვეყნებენ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც აუცილებლად უნდა აისახოს სხდომის ოქმში, საჯაროდ უნდა განიმარტოს მიღებული სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლება, ვადა და წესი, რის შემდეგაც სასამართლო უფლებამოსილია დახუროს სხდომა.

რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმში დაფიქსირებას ექვემდებარება სასამართლოს მიერ სხდომის დახურვის დრო, გამოხატული საათები.

3. ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურება - სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება შენარჩუნებულია მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ პროცესში, გამოხატული 213.3. მუხლში იმგვარად, რომ მოსამართლე აღჭურვილია უფლებით: გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადებები მხარეებს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

ეს უფლებამოსილება განსაკუთრებით აქტუალურია კანონის 54. მუხლის მიხედვით აღძრულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში ჩვენებების მიღება სასამართლოს აძლევს საშუალებას გამოარკვიოს მთელი რიგი საკითხები და სწორად შეაფასოს საქმის მასალები.

სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს შუამდგომლობაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს თუ არა მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დასაბუთებულ და საფუძვლიან ეჭვს, რომელიც ყურდნობა შესაბამის მტკიცებულებებს (ასეთის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მოიპოვოს ისინი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 და 21³. მუხლების საფუძველზე), და მათი გაანალიზების შედეგად დაადგინოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მითითებულ დებულებებში მოცემულია სამეწარმეო საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სასამართლო სხდომის ჩატარების წესი, პროცესის სტადიები, კერძოდ,

სხდომის თავმჯდომარე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს განსახილველ შუამდგომლობას, იგულისხმება შუამდგომლობის ავტორი მაკონტროლებელი ორგანოს და შესამოწმებელი მეწარმის დასახელება, შემოწმების საგნის განმარტება /მითითება/, სხდომის თავმჯდომარე შემდგომ აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას /მოსამართლე და სხდომის მდივნის

ვინაობას/ განუმარტავს მხარეებს სასამართლოს აცილების უფლებას, რის შემდეგ სასამართლო გადადის მხარეთა განმარტებების სტადიაზე. ჯერ შუამდგომლობის წარმდგენი მაკონტროლებელი ორგანო ასაბუთებს მეწარმის საქმიანობის შემოწმების აუცილებლობას, შემდეგ მეწარმე აძლევს განმარტებას და როგორც პროცესუალურ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გააქარწყლოს შუამდგომლობის მოტივები. მოცემულ პროცედურაში სრულად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 220-228 მუხლებით განსაზღვრული პროცესის სტადიები, რომლის დაცვაც სავალდებულოა.

კიდევ ერთხელ, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პროცედურაში ასევე, რთულია მეწარმისთვის მისი საპროცესო უფლებების რეალიზაცია, მას არა აქვს, ვადის სიმციროს გამო, საშუალება მოემზადოს სასამართლო განხილვისთვის, გაეცნოს შუამდგომლობის მოტივაციას, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, ამდენად, მეწარმე უდაოდ არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც პროცესუალური მხარე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადმინისტრაციული ორგანოს მაკონტროლებელი ფუნქციის სასამართლო კონტროლის არეალში მოხვედრა, გაცილებით უზრუნველყოფს მისი უფლებების დაცვას, ვიდრე, თუნდაც ამ პროცედურის სრული არარსებობა.

სასამართლო სხდომის ოქმი წარმოადგენს სამართალწარმოების აუცილებელ საპროცესო დოკუმენტს, რომელსაც მტკიცებულებითი ძალა გააჩნია.

სასამართლო სხდომაზე ოქმის შედგენა სავალდებულოა. სხდომის ოქმი ასევე უნდა შედგეს დახურულ სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვისას, სწორედ, სხდომის ოქმში ფიქსირდება შუამდგომლობის განხილვის დაწყების, გადაწყვეტილების გამოცხადების და სხდომის დახურვის დრო.

მოცემულ სამართალწარმოებაში დაშვებულია მხოლოდ 2 სახის სასამართლო აქტის მიღება. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის პოზიტიურად გადაწყვეტის - დაკმაყოფილების შემთხვევაში - სასამართლოს გამოაქვს ბრძანება, ხოლო, შუამდგომლობის ნეგატიურად გადაწყვეტის - არდაკმაყოფილების შემთხვევაში - დადგენილება, რის გამოც ამ პროცედურაში სხვა სახის სასამართლო აქტების (გადაწყვეტილება, განჩინება) გამოტანა საპროცესო ნორმების დარღვევას ნიშნავს.

კოდექსით ზუსტად განისაზღვრა მითითებული სასამართლო აქტების აუცილებელი რეკვიზიტები (მუხლი 21⁷, 8), ბრძანების (და დადგენილების) სამ ცალად შედგენის ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო აქტი დედნის სახით 3 ეგზემპლარად უნდა შედგეს, საინტერესოა, რომ სასამართლო ბრძანების აუცილებელ რეკვიზიტს წარმოადგენს მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის მითითება და აქვე განისაზღვრა, რომ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 15 დღეს; საგულისხმოა, რომ როგორც წესი,

ეველა მაკონტროლებელი ორგანო შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ითხოვს მეწარმის შემოწმებისთვის ვადის მაქსიმუმს - 15 დღეს, თუმცა, ვერ ასაბუთებს, რაში მდგომარეობს საწარმოს შემოწმების 15 დღიანი საჭიროება; ასევე, სასამართლოს ევადება განსაზღვროს ბრძანების მოქმედების ვადა, რისი მითითებაც აიოლებს და ამასთან, ავალდებულებს მეწარმეს მითითებული თარიღებისთვის ხელი შეუწყოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმების განხორციელებაში, ბრძანების მოქმედების კონკრეტული თარიღების მიუთითებლობის შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ მაკონტროლებელ ორგანოს შეეძლება ნებისმიერ დროს, პირობითად, 10 დღის ვადაში განახორციელოს შემოწმება, რაც მეწარმისთვის გაცილებით დიდ პრობლემას ქმნის.

რა პირობების არსებობისას შეიძლება დაკმაყოფილდეს მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა და მიეცეს ნებართვა მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის 3.3. მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მოსამართლე ბრძანებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების შესახებ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21.³6. მუხლის მიხედვით შუამდგომლობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არა მხოლოდ მაკონტროლებელ ორგანოებს უჭირთ კანონის ტექსტის - „დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით“ გაგება, არამედ, ეს პრობლემა თავს იჩენს სასამართლო ორგანოებშიც. საპროცესო კოდექსის 21.³6. მუხლის მიხედვით თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის შემოწმების

ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლო შუამდგომლობის განხილვისას უნდა გამოიკვლიოს შემოწმების საგანი განეკუთვნება თუ არა მაკონტროლებელი ორგანოს კომპეტენციას ანუ სფეროს, რომელზე კონტროლის განხორციელებაც მის უფლებამოსილებაში შედის, რაც გულისხმობს მოსამართლის მხრიდან შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისი ნორმების ცოდნას და მართებულად გაგების უნარს. ამ საკითხის გარკვევას სასამართლოს ავალდებულებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3. მუხლის და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის 1.3. მუხლის დებულებები.

სასამართლო უნდა გამოიკვლიოს შუამდგომლობაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს თუ არა მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების

შესახებ დასაბუთებულ და საფუძვლიან ეჭვს, რომელიც ეყრდნობა შესაბამის მტკიცებულებებს (ასეთის წარმოდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მოიპოვოს ისინი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 და 21.³³ მუხლების საფუძველზე), და შეფასების და მათი გაანალიზების შედეგად დაადგინოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს რომ ხშირია შემთხვევები რომ მაკონტროლებელი ორგანოების შუამდგომლობა ემყარება უკვე გამოვლენილ დაფიქსირებულ კანონდარღვევას, ნაცვლად იმისა, რომ შედეგს სამართალდარღვევის ოქმი, მომართავენ სასამართლოს; კანონის ტექსტი „ინფორმაცია დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვი მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ, გაგებულ უნდა იქნას, როგორც საშუალება შესაძლო კანონდარღვევის გამოსავლენად, რაც მაკონტროლებელი ფუნქციის პრევენციულ ელემენტს აძლიერებს და მიმართულია არა არსებული კანონდარღვევის გამოვლენის, არამედ, თავიდან აცილებისკენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა არ შეიცავს საკმარის საფუძველს ანუ მეწარმის საქმიანობის შემოწმების ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძველს, სასამართლო უარს ეუბნება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე.

საინტერესოა რომ მე-9 პუნქტის თავდაპირველი რედაქციით ხაზგასმული იყო სასამართლოს ვალდებულება გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის შესახებ. ამგვარი სპეციალური ხაზგასმა არ იყო ბრძანებასთან დაკავშირებით, რაც ხარვეზით უნდა აიხსნას და არავითარ შემთხვევაში, გაგებულ არ უნდა იქნას იმგვარად, რომ ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე დასაბუთებას არ საჭიროებს, რამდენადაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს სასამართლო აქტების (მით უფრო შემაჯამებელი) დასაბუთების ვალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა სააპელაციო სასამართლომ როგორ უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა, მითითებული საკანონმდებლო ხარვეზი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად აღმოფხვრილი იქნა და დადგინდა სასამართლოს მოვალეობა დასაბუთებული ბრძანების გამოტანის თაობაზე.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ, კანონის 5.4. მუხლის (ოპერატიულ მონაცემებზე) საფუძველზე აღძრულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით არის შემთხვევები, როცა სასამართლოები ნაცვლად სისხლის სამართალწარმოებისა, იყენებენ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ანუ როცა სახეზეა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული სასამართლოს ბრძანების გაცემის საფუძველი, სასამართლოები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹-21³ მუხლების საფუძველზე აწარმოებენ საქმეს.

აუცილებელია, სასამართლოებმა გამოიჯინონ ერთმანეთისგან საგამოძიებო

მოქმედებათა ჩატარების შესახებ და სამეწარმეო კონტროლის განხორციელებაზე აღძრული შუამდგომლობები და განახორციელონ სამართალწარმოების შესაბამისი სახე, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი საგამოძიებო მოქმედების, როგორცაა ამოღება, ჩხრეკა, ჩატარების უფლების სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვა, მით უფრო, რომ კანონის 5.4. მუხლის საფუძველზე, მართალია, მომკვლევო ორგანო აღძრავს შუამდგომლობას, მაგრამ საწარმოს შემოწმების ნებართვას მოიპოვებს მხოლოდ მაკონტროლებელი ორგანო.

აღსანიშნავია, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მომკვლევო ორგანო ითხოვდა მაკონტროლებელ ორგანოსთან ერთად მასაც მიეღო მონაწილეობა საწარმოს საქმიანობის შემოწმებაში, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება კანონის 3.1. მუხლით დადგენილ დებულებას, რომ მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ შეიძლება გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა. ასეთი სტატუსი კი სამართალდამცავ ორგანოებს, ბუნებრივია, არ გააჩნიათ. შესაბამისად, სრულიად არამართლზომიერია ის ფაქტიც, როცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ესწრებიან მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მეწარმის შემოწმების პროცედურას. კანონმდებლობით, მათ ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

სასამართლომ ყოველთვის უნდა გაიაზროს და გაითვალისწინოს, რომ ამ პროცედურაში ერთმანეთს უპირისპირდება საჯარო ინტერესი - მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ადმინისტრაციული ორგანოების უმნიშვნელოვანესი - მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება და კერძო ინტერესი - სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება, კონკურენციის შეუზღუდაობა, ხელშეუხებლობა და ა.შ.; სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური შეფასება უნდა მისცეს საქმის გარემოებებს, შინაგანი რწმენის საფუძველზე, რათა დაასკვნას, თუ რომლის - საჯარო ან კერძო ინტერესის რეალიზაციას გააჩნია აღმატებული ღირებულება; სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა, წარმოდგენილი ინფორმაცია მეწარმის შემოწმების დაშვებით დაექვემდებაროს თუ არა გადამოწმებას.

კანონმდებელმა მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცედურაში დაუშვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (ბრძანება, დადგენილება) გადასინჯვის შესაძლებლობა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე, ამ შესაძლებლობის რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ მეწარმეს (პ.10). კანონით განისაზღვრა სასამართლოსადმი საპროცესო მიმართვის ფორმა – შუამდგომლობა¹¹.

ტერმინის „ახლად აღმოჩენილი გარემოება„ დეფინიცია მოცემულია, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, ხოლო ტერმინის „ახლად გამოვლენილი გარემოება„ მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი 593.3). ასკ 2.1. მუხლიდან

გამომდინარე ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტისას სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სსსკ-ის ნორმები, როცა ასე განსხვავებულად არ აწესრიგებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას.

მოცემულ შემთხვევაში, ნორმა არ იძლევა ამ პროცედურაში რა შინაარს დებს კანონმდებელი ტერმინებში ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება¹⁵, პირველ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილი გარემოება დეფინირებულია სსსკ 423-ე მუხლში, რომლის გამოყენების უფლებაც ადმინისტრაციულ სასამართლოს შეუძლია, მაგრამ „ახლადგამოვლენილ გარემოებას, სსსკ არ იცნობს. არ არსებობს საპროცესო ნორმა, რომელიც სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას აძლევდეს.

ამდენად, აუცილებელია კანონმდებელმა განსაზღვროს ტერმინის დეფინიცია რათა მეწარმეთათვის გასაგები გახდეს რა შემთხვევაში, რა პირობათა არსებობისას შეუძლიათ საპროცესო უფლების რეალიზაცია, ასევე, სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა იმსჯელოს შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე, ანუ კანონით დადგენილ პირობებს შეესაბამება თუ არა აღძრული შუამდგომლობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში გაურკვეველია თუ რა იგულისხმება ახლადგამოვლენილ გარემოებაში, ბუნდოვანი ხდება მისი გამოყენების შესაძლებლობა.

ასევე, საკანონმდებლო ხარვეზი იყო, რომ მეწარმეს შუამდგომლობის აღძვრის საპროცესო ვადა განსაზღვრული აქვს 3 დღე იმ დროიდან, როცა ცნობილი გახდა გარემოება, ხოლო, მაკონტროლებელ ორგანოს ვადა საერთოდ არ ჰქონდა განსაზღვრული. პრაქტიკაში, სასამართლო მეწარმისათვის დადგენილ საპროცესო ვადას – 3 დღეს ავრცელებდა მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის მიმართაც, რაც პრინციპში არასწორია, ვინაიდან სასამართლოს არ აქვს კანონშემოქმედებითი საქმიანობის კომპეტენცია.

მითითებულთან დაკავშირებით, განსხვავებულად იყო მოწესრიგებული მაკონტროლებელი ორგანოს საპროცესო უფლება მე-11 პუნქტის მიხედვით მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოტანის შემდეგ, მაკონტროლებელი ორგანოს მხოლოდ განსაზღვრული პირობის შემთხვევაში შეეძლო შუამდგომლობის აღძვრა, კერძოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა დამატებითი გარემოება, რომელიც დადგენილების გამოტანისას მოსამართლისთვის ცნობილი არ

¹⁵ განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, სადაც სსსკ 421-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოში საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიტანება განცხადება, ხოლო სისხლის სამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 594-ე მუხლის მიხედვით – საჩივარი.

იყო და რომელიც მოითხოვს მეწარმის საქმიანობის შემოწმებას.

მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებელი იყენებდა არა ტერმინებს „ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი“, არამედ „დამატებითი გარემოება“, რომლის შინაარსი განსაზღვრულია მხოლოდ იმ ფაქტორით, რომ მისი შეფასების შედეგად აუცილებელი და შესაბამისად, დასაშვები უნდა იყოს მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე ნებართვის გაცემა, რაც ნიშნავს, რომ დამატებითაა გარემოება, რომელიც ობიექტურად მოითხოვს მის გადამოწმებას მაკონტროლებელი ორგანოს მიერ საწარმოს კონტროლის განხორციელების გზით. რასაკვირველია, ამგვარი განსაზღვრება სრულებით არ არის საკმარისი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს კანონის ტექსტი „რომელიც დადგენილების გამოტანისას მოსამართლისთვის ცნობილი არ იყო“, უნდა გამოიკვლიოს თუ არა სასამართლომ რა მიზეზით არ იყო ცნობილი მისთვის დადგენილების გამოტანისას ეს გარემოება, ემყარება თუ არა ეს გარემოება შემდგომში მოპოვებულ ან შექმნილ ინფორმაციას?!

ეს გაურკვეველობა კიდევ უფრო ბუნდოვანი იყო საპროცესო ვადის არდადგენით, ანუ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლიდან რა დროის განმავლობაში ჰქონდა მაკონტროლებელ ორგანოს შუამდგომლობის აღძვრის უფლება. ნორმის მიხედვით მაკონტროლებელი ორგანო ვადით შეზღუდული არ იყო.

მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ცვლილებით მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნა, სწორედ მითითებული ხარვეზების და შეუსაბამობების გათვალისწინებით, ამდენად, მაკონტროლებელ ორგანოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის გადასინჯვის მოთხოვნის შესაძლებლობა აღარ გააჩნია. ამგვარი საპროცესო უფლების განხორციელების სუბიექტს მხოლოდ მეწარმე წარმოადგენს. აღნიშნული განსხვავება მხარეთა საპროცესო უფლებებში განპირობებულია მოცემულ სამართალწარმოებაში მეწარმის ინტერესების მაქსიმალური უზრუნველყოფის მოტივით.

საპროცესო კოდექსით დასაშვებია სასამართლოს მიერ დადგენილი შემოწმების ვადის გაგრძელებაზე შუამდგომლობის შეტანა. რასაკვირველია, ამ ვადის გაგრძელებისათვის უნდა არსებობდეს ობიექტური საფუძვლები, მაგ. საწარმოს შესამოწმებელი პერიოდის სიდიდე, დოკუმენტა დიდი მოცულობა, საწარმოს მხრიდან ხელშეშლა და სხვ.; ასეთად არ უნდა იქნას მიჩნეული მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელის შეცვლა, თანამშრომლის ავადმყოფობა და სხვა ამგვარი სუბიექტური ფაქტორები.

სასამართლოს მხოლოდ 15 დღემდე ვადით შეუძლია მეწარმის საქმიანობის შემოწმების გაგრძელება. ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს იგივე სახის სასამართლო აქტი – ბრძანება, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რა გამოწვევისი შემთხვევაა სახეზე, რაში მდგომარეობს შემოწმების ვადის გაგრძელების კანონისმიერი წინაპირობა.

მითითებული შუამდგომლობის ამ მუხლით დადგენილი წესით

განხილვის დადგენა გულისხმობს იმავე პროცედურით საქმისწარმოებას, როგორც შუამდგომლობისა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე, შესაბამისად, მხარეთა მოწვევას, სასამართლო განხილვას, გასაჩივრების უფლებას და სხვ.

მითითებული ნორმა უშვებს შუამდგომლობის ავტორის მხრიდან შუამდგომლობის გამოთხოვის შესაძლებლობას, რაც პროცესუალური თვალსაზრისით შუამდგომლობაზე უარის თქმას ნიშნავს და სამართლებრივი შედეგით უტოლდება (ან იგივეა რაც) სარჩელზე უარის თქმის პროცესუალურ შედეგს. კანონმდებელმა მაკონტროლებელი ორგანოს ამ უფლების რეალიზაცია დასაშვებად მიიჩნია მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე. იგულისხმება რომ შუამდგომლობის განხილვის პროცესში მაკონტროლებელი ორგანო შესაძლოა დარწმუნდეს წარდგენილი ინფორმაციის უსაფუძვლობასა და დაუსაბუთებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი არ აკონკრეტებს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შუამდგომლობის გამოთხოვის შემთხვევაში რა საპროცესო გადაწყვეტას უნდა მიმართოს სასამართლომ. შესაბამისად ეს ხარვეზი სასამართლო პრაქტიკით უნდა შეივსოს.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სარჩელზე უარის თქმა იწვევს სსსკ 272 „გ. მუხლით გათვალისწინებულ შედეგს – საქმის წარმოების შეწყვეტას. ასე კ 1.2. მუხლიდან გამომდინარე სამეწარმეო საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სამართალწარმოების სპეციფიურობის გათვალისწინებით სასამართლომ უნდა გამოიტანოს დადგენილება შუამდგომლობაზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დადგენილების გასაჩივრების პროცედურა გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის სსსკ ნორმებთან.

კანონმდებლის დათქმა, რომ იმავე საფუძველით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება, უზრუნველყოფს ერთის მხრივ, მაკონტროლებელ ორგანოთა მხრიდან საპროცესო უფლების შუამდგომლობის აღძვრა, გონივრულ და ობიექტურ გამოყენებას და მეორეს მხრივ, მეწარმის უფლებების დაცვას. განმეორებით, შუამდგომლობის (იგივე მეწარმესთან დაკავშირებით) აღძვრისას მაკონტროლებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს სხვა საფუძველი მეწარმის საქმიანობაში კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმე განხილოს საჩივრის შესვლიდან 3 დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ვადა საათობრივად არ არის დადგენილი, იგი მაინც მცირეა, იმის გათვალისწინებით, რომ უწყების ჩაბარება მხარეებისათვის შესაბამის ქალაქებში, რაიონებში გაცილებით რთულია, ვიდრე რაიონული სასამართლოებისათვის.

სასამართლო განხილვის ეს უკიდურესად შემჭიდროებული ვადები გამომდინარეობს სამართალწარმოების ეფექტური და ოპერატიული

ხასიათიდან. ასევე, სპეციფიურია რაიონული სასამართლოს აქტის გასაჩივრების ვადა. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში, რაც წაგებულ მხარეს რთულ პროცესუალურ მდგომარეობაში აყენებს.

სამეწარმეო საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების უკიდურესად შეზღუდული ვადების გამო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილი სასამართლო აქტი ექვემდებარება გასაჩივრებას 48 საათის განმავლობაში ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან. გასაჩივრების ამგვარად მცირე საპროცესო ვადა უაღრესად მძიმე ვითარებაში აგდებს წაგებულ (ანუ გამსაჩივრებელ) მხარეს, თუმცა, ამავე დროს განაპირობებს პროცედურის უმოკლეს დროში დასრულებას.

სასამართლო აქტი საჩივრდება ასევე სპეციფიური ფორმით, არა აპელაციის, ანდა კერძო საჩივრით, არამედ, საჩივრით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში გამსაჩივრებელი მხარე სხდომის ოქმის მიხედვით დაფიქსირდება არა, როგორც აპელანტი, ან კერძო საჩივრის, არამედ, როგორც საჩივრის ავტორი.

მხარის საპროცესო უფლების – ბრძანების გასაჩივრების რეალიზაცია იწვევს პროცესუალურ შედეგს – გასაჩივრებული ბრძანების მოქმედების შეჩერებას, რაც ნიშნავს, რომ მაკონტროლებელ ორგანოს უფლება არა აქვს აღასრულოს სასამართლო აქტი: განახორციელოს მეწარმის საქმიანობის შემოწმება, სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის გადაწყვეტამდე.

საჩივრის გადაწყვეტილების გამოტან სასამართლოში შეტანის წესი შედარებით ამარტივებს საჩივრის ავტორის მდგომარეობას, ვინაიდან 48 საათის ვადაში გაცილებით შესაძლებელია შესაბამისი სასამართლოს ტერიტორიაზე საჩივრის შეტანა, ვიდრე სააპელაციო სასამართლოში.

ნორმის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, როგორც საქმის მასალების დაუყოვნებლივ სააპელაციო სასამართლოსათვის, ასევე, საჩივრის და თანდართული მასალების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაგზავნა. ეს ვალდებულება მნიშვნელოვნად ამცირებს სასამართლო ხარჯებს, ვინაიდან შესაბამისი სასამართლოს ტერიტორიაზე მხარეებისათვის მასალების გაგზავნა გაცილებით მოკლე დროში და ეკონომიურად ხდება, ვიდრე სააპელაციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ რაიონში მასალების დაგზავნა.

სააპელაციო სასამართლომ საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა გამოიკვლიოს საჩივარი შეტანილია თუ არა საპროცესო ვადის (გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში) დაცვით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა გულისხმობს გასაჩივრებული სასამართლო აქტის შემოწმებას, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო

სასამართლოში საქმე კოლეგიური წესით, ანუ სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილება და მის მიერ საქმის განხილვა ასკ 213 მუხლით გათვალისწინებული წესით ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო სრულად იყენებს იმ პროცედურას, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოთათვის.

სააპელაციო სასამართლოში საჩივრის გადაწყვეტისას სპეციფიურია მიღებული სასამართლო აქტის ფორმა, რაც გარკვეულ სირთულეს იწვევს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებულია სასამართლოს ბრძანება, რომლითაც მაკონტროლებელ ორგანოს ნებართვა ეძლევა მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე და სააპელაციო სასამართლოს დააკმაყოფილებს მეწარმის საჩივარს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული ბრძანება, ასევე ბრძანების მიღების გზით, ხოლო, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს დადგენილების მიღების გზით, ამდენად, სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია ერთი სახის სასამართლო აქტით გადაწყვიტოს საქმე, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს ერთი სახის სასამართლო აქტი გამოაქვს მხოლოდ საჩივრის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, ანუ ბრძანებით ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ ბრძანებას, ხოლო, დადგენილებით გასაჩივრებულ დადგენილებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ორი სახის სასამართლო აქტის მიღება საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში განპირობებულია ასკ 213. 6. მუხლით დადგენილი წესი, ვინაიდან იგი, როგორც საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო ვადლებულია შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას გამოსცეს ბრძანება, ხოლო, არდაკმაყოფილების პირობებში – დადგენილება.

მიუხედავად ამგვარი თავისებურებისა, საკანონმდებლო დაზუსტების გზით შესაძლებელია განისაზღვროს სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთი სახის სასამართლო აქტის მიღების შესაძლებლობა, შუამდგომლობის გადაწყვეტის შედეგის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანება ან დადგენილება მხოლოდ ერთხელ, სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს, საჩივრის შეტანის გზით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სააპელაციო სასამართლო საჩივარს იხილავს კოლეგიური შემადგენლობით, არსებითად, რითაც უზრუნველყოფილია საქმის ორი სასამართლო ინსტანციის მიერ არსებითი განხილვა.

საკასაციო სასამართლოს ამგვარ საქმეებზე იურისდიქცია არ გააჩნია.

თავი VII²

ადმინისტრაციული სამართალწარმოება თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

მუხლი 21⁴. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრა

1. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელი შეიძლება აღძრულ იქნეს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ.

2. სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. (13.02.2004. 3391)

2004 წლის 13 თებერვლის კანონით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა მითითებული VII² თავი, რომლითაც თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურა განეკუთვნა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

ეს საკანონმდებლო ნოვაცია განპირობებულია 2003 წლის შემოდგომაზე საქართველოში რეკლუციური მოვლენების შედეგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ნების რეალიზაციით, მასშტაბური ანტიკორუფციული ღონისძიებების გააქტიურებით, რაც აისახა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსებში შესაბამისი პროცედურების დადგენით.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ერთობ მწირია, 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებული იქნა კანონი 'საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ', რომლის ნორმებით დადგენილი იქნა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის, აღკვეთისა და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები. კანონით განსაზღვრული იქნა გამოყენებული ტერმინების დეფინიციები, რომელთაც კანონმდებელი ასევე იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII² თავში მოცემულ ნორმებში; თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები, თანამდებობის პირის მოქმედების შემზღვეველი გარემოებები, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, თანამდებობის პირის

პასუხისმგებლობა კორუფციული სამართალდარღვევისათვის. ასეთი პასუხისმგებლობის სახეები დადგენილი იქნა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს სასჯელის ისეთ სახეს, როგორცაა ქონების კონფისკაცია, აღნიშნულის ნაცვლად, სისხლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია დანაშაულის საგნის, ობიექტის ან პროდუქტის ამოღება, მაგრამ ეს ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო ზემოქმედების საშუალებას და სასჯელის ზომას, ამდენად, მას არ შეუძლია შეცვალოს ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელის სახე.

ქვეყანაში მოქმედი იურიდიული ნორმები კორუფციულ ქმედებათა წინააღმდეგ მიჩნეული იქნა რა არასაკმარისად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა დაუშვა შესაძლებლობა საპროცესო კანონის საფუძველზე პირს შეეზღუდოს [ჩამორთვას ქონება და სახელმწიფოს გადაეცეს] ერთ-ერთი ძირითადი მატერიალური უფლება-საკუთრების უფლება, ასევე, დასაშვებად იქნა მიჩნეული პირის მიმართ დაუსრულებელი სისხლის-სამართლებრივი პროცედურების სტადიაზე ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა.

ფიქრობ, მითითებული პროცედურა სერიოზულ წინააღმდეგობებს შეიცავს სამართლებრივი თვალსაზრისით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან მიმართებით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში შეტანილი ცვლილებების მიხედვით მოცემული დავის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს საოლქო სასამართლოები I ინსტანციის წესით, რაც ნიშნავს, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, იგი საჩივრდება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

მითითებული ნორმა განსაზღვრავს თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პროცესის მხარეებს. მონაწილე სუბიექტთა წრე კონკრეტულია, კერძოდ, ამგვარი სარჩელის შეტანის უფლებამოსილება მხოლოდ პროკურორს გააჩნია, ხოლო, მოთხოვნა მიმართული უნდა იქნას მხოლოდ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის წინააღმდეგ.

მოცემულ სამართალწარმოებაში სარჩელის აღძვრა შეუძლია მხოლოდ პროკურორს, ანუ პროკურორი სპეციალურ მოსარჩელეს წარმოადგენს უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ პროცესში.

პროკურორის ამგვარი უფლებამოსილება გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლის დებულებით, რომლის მიხედვით თუ პროკურორს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია მოპოვებული იყოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44.47 მუხლში მითითებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, იგი აღძრავს სარჩელს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44.47 მუხლის მიხედვით „თანამდებობის პირი„დეფინირებულია შემდეგნაირად: თანამდებობის პირის მიმართ უნდა ხორციელდებოდეს სისხლის სამართალწარმოება – ამ კანონის მიზნებისათვის ითვალისწინებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ„კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს, აგრეთვე, საწარმოში /რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის /აქციათა/ 50%-ს ან მეტს/ ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს, რომელსაც ბრალად ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, შესაბამისად, სამოხელეო ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისაგან თავის არიდება ან საბაჟო წესების დარღვევა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის მიერ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის თანამდებობის პირს უკვე უნდა გააჩნდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული საპროცესო, კერძოდ, ბრალდებულის სტატუსი.

პროკურორის სარჩელი შეიძლება აღძრული იქნას არა მხოლოდ თანამდებობის პირის, არამედ, ასევე, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ. ამდენად, მოცემულ პროცედურაში პროკურორის სარჩელი შეიძლება აღძვრას როგორც მოპასუხე თანამდებობის პირის, ასევე, თანამოპასუხეთა მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ ამ საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად აღმინსტრაციული სამართალწარმოების მხარედ – მოსარჩელედ გვევლინება პროკურორი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის და სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს და არა მმართველობით ფუნქციას, პროკურორისათვის ამ დამატებითი საპროცესო როლის – აღმინსტრაციული სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება – განპირობებულია სარჩელის მიზნით – თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა.

ΑΥΤΑΟΟΕ ΑΑΕ Ε ΔΑΕ ΕΟΟ×Ε ΑΑΕΟ ΟΤΑΥΕ ΑΟΕ Τ ΟΑΑΤ ΑΑΕ ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ
 ΑΑ ΙΑΕΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ ΑΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΙΕΤΕΟΟΟΕ ΑΑ ΙΕΟΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ Α;
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΕΑΤΥΑΕ ΑΟΕΕΟ Ο×ΟΙ ΟΕ ΑΑ ΙΕΟΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ Α;
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΑΔΑΘΟΟΑΙΤΟΕΟ ΕΑΑΤΔΑΤ ΙΑΟΑ, ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο
 ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΕΤΟΔΘΥΕΕΟ Ο×ΟΙ ΟΕ ΑΑ ΙΑΕΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ ΑΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο;
 ΟΑΤΕΤΕΟΟΙ Ο ΟΟΟΘΟΟΟΟΕ ΘΑΑΑΤΑΥΙ×Ε ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ Ε, ΑΑΟΑΕΑΑ ΙΑΘΕΑΤ
 ΑΑΕΑΤΑΑΟΑΑΟΕ Ε ΘΕΟΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΕΑΤΥΑΕ ΑΟΕΕΟ
 ΟΟΟΘΟΟΟΟΕ ΘΑΑΑΤΑΥΙ×Ε ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ Ε, ΑΑΟΑΕΑΑ ΙΑΘΕΑΤ ΑΑΕΑΤΑΑΟΑΑΟΕ Ε
 ΘΕΟΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΟΑΘΑΘΟΒΥΑΑΤ ΑΒΑΘΑΑΟΕ ΑΑΕΟ
 ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ Ε; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΘΕΤΑΑΑΤ ΟΑΘΙΑΕΑ, ΟΥΕΥΟΤ ΑΑΕΟΑ ΑΑ ΕΑΑΑΥΑΕΟ
 ΟΑΤΕΤΕΟΟΙ ΑΑΕΟ ΑΔΑΘΟΟΑΙΤΟΑΑΕΟ, ΑΕΟΟΙ ΑΑΕΟ, ΤΕΑΑΑΟΕ ΟΑΤΙΑΘΕΑΑΕ Τ ΑΑΕΟΑ
 ΑΑ ΟΑΤΙΑΘΕΑΑΕ Τ ΑΑΕΟ Ο×ΟΙ ΟΑΑΕ ΑΑ ΙΑΕΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ ΑΑΑΕ, ΑΑΟΑΕΑΑ ΙΑΕΕΑΤ
 ΑΑΕΑΤΑΑΟΑΑΟΕ Ε ΘΕΟΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΟΑΑΑΝΤ ΑΔΑΘΟΟΑΙΤΟΕΟ
 ΟΑΑΕΤ ΙΑΕ ΟΟΕ ΟΑΑΑΝΤ Ο, ΟΑΑΑΝΤ ΟΑΤΙΑΘΕΑΑΕ Τ Ο, ΟΑΑΑΝΤ Ο ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ;
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΟΑΑΑΑΟΑΔΑΑΤ ΑΔΑΘΟΟΑΙΤΟΕΟ Α×ΔΑΕΑΕΕΟΑ ΑΑ
 ΑΑΑΟΕΟ ΑΑΟΤ ΤΤ ΙΕΟΕ ΟΑΘΘΑΕ ΕΕΑΑΕΟ, ΟΑΕΤ ΙΕΟ, ΘΑΕΑΘΕΟ, ΘΑΕΑΘΕΟ ΟΑΕΤ ΙΕΟ
 ΑΑΔΕΕ Τ ΑΟΕΑΕ ΟΑΑΑΑΟΑΔΑΑΤ ΕΤΟΔΘΥΕΑΑΕΟ ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο
 ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΑΤΟΕΤ ΤΤ ΔΤ Ε ΕΟΘΕ ΟΑΤΟΑΘΟΕΟ Ο×ΟΙ ΟΕ ΑΑ ΙΕΟΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ Α;
 ΥΑΤΟΟΑΕ ΟΟΕ ΑΑΙΒΑΑΕ ΕΤ ΙΕΟΕΕΟ ΕΑΑΤΔΑΤ ΙΑΟΑ, ΑΑΙΒΑΑΕ ΕΤ ΙΕΟΕΕΟ ΟΑΕΤ ΙΕΟ
 ΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ (ΕΑΕΕ ΕΟΕ, ΑΑΕΟΤΕ, ΟΟΘΕΑΑΕ, ΟΤ ΔΟΤΕ, ×Τ ΕΕ, ΘΘΕΑΕΘΕ ΑΑ
 ΥαΕΤΑΑΕ Ε), ΑΑΟΑΕΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ ΟΑΕΤ ΙΕΟ ΟΑΤΔΑΘΟΤ ΕΤ ΙΕΟΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο
 ΕΤ ΤΟΟΤ ΕΕΘ ΘΑΕΑΘΕΟ ΕΑΑΤΔΑΤ ΙΑΟΑ, ΤΤ ΑΑΔΕΕ Α ΘΑΑΕΑΕΟΤΕΟ ΒΑΑΘΕ,
 ΑΔΑΘΟΟΑΙΤΟΕΟ, ΟΑΑΕΤ ΙΑΕ ΟΟΕ ΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ ΑΕΟΟΙ Ο ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ,
 Α×ΔΑΕΑΕΕΟΑ ΑΑ ΑΑΑΟΕΟ ΑΑΟΤ ΤΤ ΙΕΘΘΕ ΟΑΘΘΑΕ ΕΕΑΑΕΟ ΕΤ ΤΟΟΤ ΕΕΘ ΘΑΕΑΘΑΕΟ
 ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΑΟΤ ΑΤΟΕ Ε ΑΑΤΕΕΘ ΘΘΑΕΑΑΤΟΕ ΑΑ ΟΑΑΑΤ Ο
 ΒΑΑΘΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΘΘΑΕΑΑΤΟΕΟ ΘΑΕΑΕΑΕΘΟΤ Τ ΟΑΑΤ Ο ΒΑΑΘΕ;
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΑΤΑΘΑΘΕΕΕΟ ΙΑΘΑΘΕ ΕΘΑΑΕ Ε ΑΟΤ ΑΤΟΕ Ε ΕΤ ΙΕΘΘΕ ΒΑΑΘΕ;
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΟΑΑΑΟ ΤΤ ΑΕΕ Τ ΟΑΤΘΟΤ ΟΘΕΟ, ΟΑΘΕΕΤΑΕΤ ΟΑΤΘΟΤ ΟΘΕΟ,
 ΟΑΕΥΑΑΤ ΟΘΑΤΘΟΤ ΟΘΕΟΑ ΑΑ ΟΑΤΘ ΘΑΕΑΘΟΤ ΑΑΕΑΥΕΕΘ ΑΑΤΕΤΕΘΘΟΑΥΕΑΑΕΟ
 ΕΑΑΤΔΑΤ ΙΑΘΑΑΕ; (ΡΑΕΑΥΕΑ 2002 ΒΕΕΘ 1 ΕΑΤΑΘΕΑΑΤ 20.07.2001 Ν1014)
 ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΥΑΤΟΑΕ ΟΘΕ ΟΑΑΟΥΑΑΤ ΕΤ ΙΕΘΘΕ ΕΑΑΤΔΑΤ ΙΑΟΑ, ΤΤ ΑΑΔΕΕ Α
 ΑΑ ΙΑΕΑΑΤΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΘΘΑΕΑΑΤΟΕΟ ΟΑΔΑΕ ΙΒΕ×Ι ΟΒΙΟΤΑΑΘΕ Ε ΑΑ
 ΙΕΟΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ Α; ΟΑΕΤ ΙΕΟ ΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ (ΕΑΕΕ ΕΟΕ, ΑΑΕΟΤΕ, ΟΟΘΕΑΑΕ, ΟΤ ΔΟΤΕ,
 ×Τ ΕΕ, ΘΘΕΑΕΘΕ ΑΑ ΥαΕΤΑΑΕ Ε), ΑΑΔΕΕ Τ ΑΟΕΑΕ ΒΑΟΤΤ ΙΑΑΑΑΤ Ε Τ ΑΕΕΕ
 Τ ΟΑΑΤ ΑΑΕΟ ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ; ΟΑΕΤ ΙΕΟ ΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ (ΕΑΕΕ ΕΟΕ, ΑΑΕΟΤΕ,
 ΟΟΘΕΑΑΕ, ΟΤ ΔΟΤΕ, ×Τ ΕΕ, ΘΘΕΑΕΘΕ ΑΑ ΥαΕΤΑΑΕ Ε), ΑΑΟΑΕΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ ΟΑΕΤ ΙΕΟ
 ΑΑΔΕΕ Τ ΑΟΕΑΕ ΑΥΤΑΟΟΕ ΑΑΑΕ Τ ΟΑΑΤ ΑΑΕΟ ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ ΑΑ ΙΑΕΕ
 ΘΕΟΑΑΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ ΑΑΑΕ; ΤΤ ΟΑΤΑΘΕ Α; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΑΑΤΑΘΕ ΟΘΕ ΔΟΤ
 ΔΟΤ ΕΘΟΤ ΔΕ ΑΑ ΙΕΟΕ ΤΤ ΑΑΔΕΕ Α; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΑΑΤΑΘΕ ΟΘΕ ΔΟΤ ΕΘΑΟΟΘΕΟ
 ΟΑΤΙΑΘΕΑΑΕ Τ Ο, ΟΑΤΟΑΘΟΕ ΔΑΕ ΤΡΥΑΑΤΑΕ ΑΑΕ ΑΑ ΙΑΕΕΑΤ ΑΑΕΑΤΑΑΟΑΑΟΕ Ε
 ΘΕΟΑΑΕ, ΟΑΑΕΤ ΤΟΕ Ε ΟΑΤΘΟΤ ΟΘΕΘ ΔΟΤ ΕΘΟΤ ΟΕ, ΟΑΑΕΤ ΤΟΕ Ε ΟΑΤΔΑΘΟΤ
 ΔΟΤ ΕΘΟΤ ΟΕ, ΟΑΘΔΑΕ ΕΑ ΑΥΘΘΘΕ ΑΑΑΑΕΘΑΘ ΕΑΤΤ ΓΑΑΕΘ ΑΥΑΑΑΕ
 ΑΑΑΑΤΑΑΑΑΕ Τ ΑΕΘ ΔΟΤ ΕΘΟΤ ΟΕ, ΟΑΤ ΕΘΤ, ΟΑΕΤ ΙΕΟ ΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ (ΕΑΕΕ ΕΟΕ,
 ΑΑΕΟΤΕ, ΟΟΘΕΑΑΕ, ΟΤ ΔΟΤΕ, ×Τ ΕΕ, ΘΘΕΑΕΘΕ ΑΑ ΥαΕΤΑΑΕ Ε), ΑΑΟΑΕΑΑ ΘΑΕΑΘΕΟ
 ΟΑΕΤ ΙΕΟ ΔΟΤ ΕΘΟΤ ΔΑΕ; ΟΑΘΑΟΕΑΑΕ Τ Ο ΕΤ ΤΟΘΕΘΘΥΕΕΘ ΘΕΘΔΑΘΕΘΕ ΤΕΕΕΕΑΑΕΘ
 ΟΑ×ΘΡΑΑΕ ΑΑ ΑΟΥΑΘΕ Ε, ΑΑΤΕΥΤΟΕ Ε ΑΤ ΑΑΤΘΕΥΑΑΘΕ Ε ΟΑΑΑ ΘΕΘΕ-.

მითითებული ნორმით თანამდებობის პირის დეფინიცია პერსონიფიცირებულია სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს უმაღლესი თანამდებობის პირების – ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების და საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი თანამდებობის პირების ჩამონათვალით.

დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში თანამდებობის პირის ტერმინში მოაზრებულია აგრეთვე, საწარმოს ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე¹⁶ უფლებამოსილი პირი, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

მოცემულ კანონში თანამდებობის პირის დეფინიცია იდენტურია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44.47 მუხლში ჩამოყალიბებულ თანამდებობის პირის დეფინიციასთან.

კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის თანამდებობის პირად მიჩნევა, თუკი ამ საწარმოში სახელმწიფო წილის ნახევარს ან მეტს ფლობს, /ძირითადად, შპს, სს, / სცილდება თანამდებობის პირის კლასიფიკაციას და გამომდინარეობს მოცემული კანონის მიზნებიდან, რის გამო სახეზეა სახელმწიფოს, როგორც სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტის/პარტნიორი, აქციონერი/ ინტერესების საწარმოში წარმომადგენლობით აღჭურვილი პირის სტატუსის გათანაბრება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმხორციელებელ თანამდებობის პირთან.

აღნიშნული დეფინიციის მიხედვით პროკურორის მიერ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მნიშვნელობა არა აქვს პირი გათავისუფლებულია თუ არა თანამდებობიდან.

ბ) ოჯახის წევრის ტერმინის მნიშვნელობა ძირითადად შეეხებაამება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობას და კორუფციის შესახებ“, კანონის 4 ა) მუხლით განაზღვრულ დეფინიციას.

იგივე შეიძლება ითქვას ტერმინ „ახლო ნათესავთან, დაკავშირებით, თუმცა, სუბიექტთა წრე გაზრდილია და მოიცავს მეუღლის დას, ძმას და მშობლებს.

დ) დაკავშირებული პირი – სუბიექტთა წრე ძალიან ფართოა, ამ ტერმინის მნიშვნელობიდან გამომდინარე. პირის ამ სტატუსში მოქცევა მთლიანად შეფასების სფეროს წარმოადგენს და მტკიცების საგანია, ვინაიდან პირი იურიდიულად წარმოადგენს ამა თუ იმ ქონების მესაკუთრეს, მის მიმართ უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოპოვებულია თანამდებობის პირის არაკანონიერ ქმედებათა შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს, განკარგავს /ან განკარგა/ თანამდებობის პირი, ამდენად, პირის იურიდიულად საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში

¹⁶ „მენარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

სახეზე უნდა იყოს პირობათა ერთობლიობა, რომლითაც დასტურდება დაკავშირებული პირის, როგორც ფიქტიური მესაკუთრეობის ფაქტი.

საგულისხმოა, რომ კანონმდებლის მიერ ცალ-ცალკე არის დეფინირებული ტერმინები „უკანონო ქონება“, „დაუსაბუთებელი ქონება“, I შემთხვევაში ასეთია ქონება, აგრეთვე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები, წილი, რომელიც ამავე მუხლის ა) – დ) პუნქტებში მითითებულ სუბიექტებს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ხოლო, დაუსაბუთებელია ქონება, რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები ა) – გ) პუნქტებში მითითებულ სუბიექტებს არ გააჩნიათ ან იგი შექმნილია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ტერმინი „დაუსაბუთებელი ქონება“, 2004წ. 13.02. ცვლილებით აისახა კანონის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ 3.4 მუხლში, იგივე რედაქციით.

საგულისხმოა, რომ დაუსაბუთებელი ქონება, დეფინიციიდან გამომდინარე, ვერ იქნება გავრცელებული დაკავშირებული პირის მიმართ, იგი ამ ნორმის სუბიექტს არ წარმოადგენს, ვინაიდან თავად ტერმინ „დაკავშირებული პირის“, დეფინიციის მიხედვით პირის ამგვარ სუბიექტად მიწვევის ერთ-ერთ ელემენტს, მისი, როგორც ქონების იურიდიული მესაკუთრეობა წარმოადგენს.

მუხლი 21⁶. ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობა

1. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ქონებას მოსამართლე ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შექმნისთვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესაბამისად.

2. მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შექმნისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. (13.02.2004. N3391)

მითითებული ნორმით კანონმდებელი ადგენს სარჩელის დაკმაყოფილების ანუ ქონების უკანონოდ ცნობის შემთხვევებს.

სასამართლომ სათანადო მტკიცებულების შეფასების საფუძველზე უნდა გამოარკვიოს, რომ სადაო ქონება ან მისი შეძენისთვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია თუ არა კანონის მოთხოვნათა დარღვევის საფუძველზე. კანონის მოთხოვნათა დარღვევა გულისხმობს ქვეყანაში მოქმედ, როგორც საჯარო სამართლის, ისე კერძო სამართლის კანონმდებლობის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილ დარღვევას.

საგულისხმოა, რომ მტკიცების ტვირთი მხარეებზე გადანაწილებულია შემდეგნაირად: პროკურორი /მოსარჩელე/ ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე, პირობითად, ამგვარი მტკიცებულებები შესაძლოა იყოს: თანამდებობის პირის მიერ შევსებული დეკლარაცია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, კანონის საფუძველზე; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სახელფასო უწყისები, აუდიტის დასკვნა სადაო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით, თანამდებობის პირის თანამდებობაზე ყოფნის /დანიშნის/ ბრძანება, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, მოწმეთა ჩვენებები და სხვა.

სასამართლო ამ მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ქონებას ცნობს დაუსაბუთებლად თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ – /ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁵ ა) – დ) პუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტი/ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან მისი შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, პირობითად, ამგვარი შეიძლება იყოს: ანდერძი, ჩუქების ხელშეკრულება, კანონისმიერიმემკვიდრეობის დამადასტურებელი სამკვიდრო მოწმობა, ჯილდო, საკრედიტო ხელშეკრულება, ფასიანი ქაღალდები, საგადასახადო დოკუმენტაცია, შემოსავლის ლეგალური წყაროს დამადასტურებელი მტკიცებულებები და სხვა.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურების მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება, ერთი შეხედვით, უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლითაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები სრულად სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ფიქრობ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეს სპეციფიკა ვრცელდება დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის

გადაცემასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ თვალსაზრისით ვითარდება, იგი თავისი ინიციატივით მოიპოვებს მტკიცებულებებს ან საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 21⁷. ქონების დაყადაღება

1. თუ არის მონაცემები, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს განცხადებით ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების დაყადაღების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება ამ კოდექსის VII² თავის დებულებები. (13.02.2004. N3391)

მოცემულ სამართალწარმოებაში პროკურორს გააჩნია საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულება, კერძოდ, სადაო ქონების დაყადაღების მოთხოვნით განცხადებით მიმართვისა, თუ კი არსებობს შესაბამისი მონაცემები ქონების გასხვისების ან დახარჯვის შესაძლებლობაზე.

კანონის ტექსტიდან გამომდინარე, პროკურორმა თავის განცხადებაში უნდა დაასაბუთოს იმ მონაცემების რეალურობა, რომელიც სადაო ქონების გადამალვის, დახარჯვის ან გასხვისების შესაძლებლობაზე მეტყველებს. წერილობითი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში /მაგ. საჯარო განცხადებები უძრავი ქონების გაყიდვის თაობაზე/, ისინი წარდგენილ უნდა იქნას სასამართლოში.

პროკურორის მიერ ამ საპროცესო უფლების გამოყენების შემთხვევაში, სავალდებულოა თანამდებობის პირის ბრალდებულის სტატუსში ყოფნის პირობა, რაც ქმნის შესაძლებლობას სარჩელის აღძვრამდე ამგვარი შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის პრინციპიდან გამომდინარე, კანონმდებელმა არ განსაზღვრა თუ რა სახის გადაწყვეტას მიმართავს სასამართლო, რომელი სასამართლო აქტის ფორმით, რაც ხარვეზით უნდა აიხსნას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლიდან გამომდინარე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა, რომ ამგვარი შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება VII² თავის დებულებები, ადასტურებს, რომ შუამდგომლობა სარჩელის აღძვრაზე არ არის დამოკიდებული. იგი სარჩელისგან დამოუკიდებელი საპროცესო მოქმედებაა და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ამავე თავის ნორმები.

სასამართლომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი, რამდენადაც პროკურორის მიერ მოთხოვნილი

საპროცესო მოქმედება თავისი შინაარსით წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

მუხლი 21⁸. ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები

1. თუ სასამართლომ ამ თავის 216 მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონება ცნო უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, მოპასუხის ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში — სახელმწიფოს.

2. თუ მოპასუხის ქონების შეძენის წყარო ან მისი კანონიერება ან დასაბუთებულობა ნაწილობრივ დასტურდება, სახელმწიფოს უზრუნდება მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის კანონიერებას ან დასაბუთებულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

3. თუ შეუძლებელია მოპასუხის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით სახელმწიფოსთვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის დაუსაბუთებელი ან უკანონო ქონების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მითითებული ნორმით განსაზღვრულია პროკურორის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგები, რომელშიც გათვალისწინებულია მესამე პირის კანონიერი ინტერესები, შემდეგი ფორმით, რომ მოპასუხის ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა, მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო, ასეთის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

რამდენადაც კანონმდებელი მესამე პირის კანონიერი ინტერესის რეალიზაციას უკავშირებს სასამართლოს მიერ სადაო ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის ფაქტს (რაც ნიშნავს, რომ სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე), და არა სამართალწარმოების დაწყებას სადაო ქონებაზე, ამდენად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი და მით უფრო, ვალდებული საქმის განხილვის პროცესში არკვიოს პოტენციური მესამე პირების არსებობა, ან მათი კანონიერი ინტერესების საფუძვლიანობა, ისევე, როგორც კანონიერი მესაკუთრის დადგენის საკითხი.

აღნიშნული წარმოდგენედ პროცესუალურ სირთულეებს შეუქმნიდა სასამართლოს, ვინაიდან:

1. დავის საგანს წარმოადგენს ქონების კანონიერება და დასაბუთებულობა, ხოლო სასამართლო შეზღუდულია წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებით.

2. მესამე პირის კანონიერი ინტერესების დადგენა დამოუკიდებელი დავის საგანია და ექვემდებარება მტკიცებას, ისევე, როგორც კანონიერი მესაკუთრის დადგენის საკითხი. ამდენად, მესამე პირების ან კანონიერი მესაკუთრის პრეტენზიები თანამდებობის პირის ქონებასთან დაკავშირებით წარმოადგენს დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის მეშვეობით, რისი განხორციელება დასაშვებია არა პროკურორის სარჩელის განხილვის სტადიაზე არამედ, მისი დაკმაყოფილების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღსრულების სტადიაზე¹⁷.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების მოწვევა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, გამოიწვევდა კონსტიტუციური უფლების „ყველას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“, საპროცესო კანონმდებლობაში რეალიზებული იმგვარად, რომ მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებების განკარგვა /დისპოზიციურობის პრინციპი/ ანუ უფლების დასაცავად სასამართლოში მიმართვის თაობაზე ნების გამოხატვა, დამოკიდებული იქნებოდა არა პირის სურვილზე, არამედ, პროკურორის სარჩელზე, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის დისპოზიციურობის პრინციპზე აგებულ სამოქალაქო საპროცესო სამართალთან.

მითითებულ ნორმაში განისაზღვრა არა სამართალწარმოების პროცესში მესამე პირთა ინტერესების დაკმაყოფილების საკითხი, არამედ, მართლმსაჯულების განხორციელების შემდეგ, ქონების გადაცემის წესი, რაც მოცემულ შემთხვევაში, განისაზღვრა რიგითობით:

1. მესამე პირთა კანონიერი ინტერესი;
2. კანონიერი მესაკუთრე;
3. სახელმწიფო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე...“, კანონის სიტყვასიტყვით გაგებით შეიცავს იმ აზრს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ქონება ან კანონიერ მესაკუთრეს ან სახელმწიფოს გადაეცემა, რაც წინააღმდეგობაში

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 02.11 განჩინებით საქმე №ბს-1132-915კ-04 №9 კ-ძის მიმართ, დაბრუნდა ხელახლა განსახილველად მესამე პირის სავალდებულო ჩაბმის მითითებით.

მოდის დავის საგანთან, რომლის მიხედვით სასამართლო არკვევს და ადგენს სადაო ქონება არის თუ არა უკანონო და დაუსაბუთებელი და არა იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს ამ ქონების მართლზომიერი მფლობელი.

მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მოპასუხის ქონების კანონიერების და დასაბუთებულობის ნაწილობრივ დადასტურების შემთხვევებს, რომლის პროცესუალური შედეგი იქნება პროკურორის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, შესაბამისად, დაკმაყოფილებულ (დასაბუთებულ) ნაწილში შესული ქონება ექვემდებარება სახელმწიფოსათვის გადაცემას, რამდენადაც ამ ნაწილზე მოპასუხემ ვერ დაადასტურა ქონების კანონიერება და დასაბუთებულობა.

მუხლი 21⁹. თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში იმყოფება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება და სასამართლო პროცესის მსვლელობისას თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას მის წინააღმდეგ. (20.04.2005. N1352)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალწარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების – თანამდებობის პირის მფლობელობაში უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ფლობის დადასტურების შემთხვევაში და პროცესის სტადიებზე თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისას, პროკურორი ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული საპროცესო მოქმედებაა, რის გამოც სრულიად გაუგებარია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებში ამ დებულების შემოტანა, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის შესაბამისად, ეს კოდექსი ადგენს საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

პროკურორის ამ უფლებამოსილების – აღძრას სისხლის სამართლის საქმე არავითარი შემსებლობა მითითებულთან არა აქვს და იგი ისევე, როგორც სხვა მოქმედება შესაძლოა წარმოადგენდეს სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგს.

მოცემული ნორმა არ შეიცავს არც პროცესის მონაწილეთა და არც სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პროცესისათვის დამახასიათებელ და საჭირო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელების წესს, პირიქით, ეს სწორედ რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცედურა და იგი სისხლისსამართალწარმოებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს.

მუხლი 21¹⁰. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შედეგები

თუ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმავე ქონებასთან დაკავშირებით განმეორებითი სარჩელის წარდგენა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოვლინდა ახალადმოჩენილი გარემოებები. (13.02.2004. N3391)

პროკურორის სარჩელის სასამართლოს მიერ არდაკმაყოფილების შემთხვევაში კანონმდებელი კრძალავს იმავე ქონებასთან დაკავშირებით განმეორებითი სარჩელის წარდგენას.

ამგვარი შესაძლებლობა მოქმედი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობით არცერთ სამართალწარმოებაში დაშვებული არ არის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალის და საბოლოობის პრინციპიდან გამომდინარე.

თუმცა, მოცემულ სამართალწარმოებაში დაშვებულია გამონაკლისი, რამდენადაც კანონის ტექსტში გამოყენებულია სიტყვები: გარდა იმ შემთხვევებისა. ანუ, როდესაც სახეზე იქნება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოვლენილი ახლადადმოჩენილი გარემოებები, განმეორებით სარჩელის წარდგენა იმავე ქონებაზე დასაშვებია, რამდენადაც კანონმდებელმა არ დააზუსტა თუ რა ფორმით წარედგინება სასამართლოს ახლადადმოჩენილი გარემოებები, ლოგიკურად, ეს უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის II თავის 421-432-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურა საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ამდენად, პრაქტიკულად დაშვებულია პრეცედენტი, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის მიუხედავად, ახლადადმოჩენილი გარემოებები წარმოადგენს იმავე ქონებაზე განმეორებით სარჩელის აღძვრის საფუძველს, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი მატერიალური და საპროცესო სამართლის დადგენილ ნორმებთან.

საგულისხმოა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ახლადადმოჩენილი გარემოებების საფუძველზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს და დაკავშირებულ პირს განსაზღვრული არა აქვს, აღნიშნულით კი

სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 85.3 მუხლით აღიარებული პრინციპის „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“, ხელყოფა. მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, აღიარებულ და გარანტირებულ ძირითად უფლებას წარმოადგენს.

გარდა აღნიშნულისა, ნორმა არ შეიცავს დათქმას, რომელი პროცესუალური ნორმების საფუძველზე იხილავს სასამართლო „განმეორებით სარჩელს“, რა ვადაშია დასაშვები მისი წარდგენა, რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს გამოტანილი გადაწყვეტილება და ა.შ.

მუხლი 21¹¹. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას, როდესაც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

2. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყობინების) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავით დადგენილი წესი. (13.02.2004. #3391)

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სუბიექტების მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა საფუძველზე გამოცხადებულია ძებნა, არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233.2 „გ“ ქვეპუნქტი, საგულისხმოა, რომ სავარაუდოდ ადგილი აქვს კორექტურულ შეცდომას, ვინაიდან მითითებული მუხლის მე-2 ნაწილს საერთოდ ქვეპუნქტები, მათ შორის „გ“ ქვეპუნქტი არა აქვს. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ეკრძალება თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ამ ნორმის გამოუყენებლობაზე მითითება გულისხმობს, რომ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოება.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების მოცემულ პროცედურაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის დაშვება წინააღმდეგობაში

მოდის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლთან, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის „დაუსწრებელი გადაწყვეტილება„დეზულებები. კანონმდებელს აღნიშნულის გამოსარიცხად უნდა მოეხდინა დათქმა, რომ მოცემულ პროცედურაში არ გამოიყენება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლი.

სასამართლოს მიერ გამოუცხადებელ მხარისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში გადაზახვის ვალდებულება იგივე შინაარსით დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლით. ვინაიდან კანონმდებელს არ განუხაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების განსხვავებული ვადა და წესი, გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის ნორმებით დადგენილი პროცედურა.

ძებნილის სტატუსში მყოფი მოპასუხისათვის სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის (შეტყობინების) გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VI II თავით დადგენილი წესი. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლები არ ითვალისწინებს თუ სად უნდა იქნას ჩაბარებული (დატოვებული) ძებნილი პირისათვის განკუთვნილი სასამართლო უწყება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შემთხვევაში უწყების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან იმ ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის გაგზავნას, საიდანაც სათანადო წარწერით, რომელიც ადასტურებს უწყების ამ დაწესებულებების მიერ მიღებას. უწყების დაბრუნების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვას შეუდგეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1 მუხლით დადგენილი პირობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.¹⁸

¹⁸ სასამართლო პრაქტიკაში, ფაქტიურად, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პრეცედენტი, სასამართლოებს გამოჰქონდათ არსებითი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის საფუძველზე, თუმცა 2004წ. 29.12. განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-2 პუნქტი გაუქმებულია.

თავი VIII ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში — უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება ისეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ეხება თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებას და მიღებულია (გამოცემულია) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. (24.06.2005. #1800)

მატერიალური მიზნის განსახორციელებლად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მოსარჩელეს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს სარჩელის სხვადასხვა ფორმები და საპროცესო მოქმედებები.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ პირთა ქმედითი სამართლებრივი დაცვა, შეიქმნა სამართლებრივი დაცვის სხვადასხვა ფორმები, როგორც ადეკვატური პროცესუალური საშუალებები.

რა ფორმის სარჩელი უნდა იქნას აღძრული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნისათვის იღწვის მოსარჩელე. პირმა, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, პირველ რიგში, თვითონ უნდა შეაჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც ესაჭიროება მიზნის განსახორციელებლად. ამავედროულად, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია გააწვიოს ამ პირს სათანადო მხარდაჭერა. ფორმალური პროცესუალური უფლებების ან მატერიალური მიზნების განხორციელებამ მარცხი არ უნდა განიცადოს მოსარჩელის გამოუცდებლობის ან უმწეობის გამო. ამასთან, დავის საგნის განსაზღვრა მთლიანად მოსარჩელის

კომპეტენციაა. მოსარჩელე განსაზღვრავს სარჩელის შინაარსსა და მოცულობას. სასამართლო შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სარჩელის სხვადასხვა ფორმები არ არის მთლიანობაში და საბოლოოდ რეგლამენტირებული. საკანონმდებლო ხელისუფლებამ ისარგებლა მოცემული ფორმებით, როგორც აღნიშნული კოდექსის წინაპირობებით და სწორედ ისინი დაუდო მას საფუძვლად. ამდენად, ადმინისტრაციული პროცესი ძირითადად განასხვავებს შეცდომების, მავალდებულებებ და აღიარებით სარჩელებს.

1.1. შეცდომების სარჩელზე საუბარია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლში. ეს არის სარჩელი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. შეცდომების სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მიადწიოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

1.2. არსებობს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ არის სასამართლოს ფუნქცია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ არ არსებობს საჭიროება ამ აქტით დარღვეული უფლებების სასამართლო დაცვისა, რადგან იგი გამოცემულ იქნა, როგორც მართლზომიერი (კანონიერი) აქტი და მისი ძალადაკარგულად გამოცხადება დაკავშირებულია მხოლოდ ისეთ გარემოებებთან, რაც მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში და არ უკავშირდება ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, ანუ თავისთავად აღნიშნული აქტი არამართლზომიერი (უკანონო) არ არის.

ამ მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ფუნქციაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება, მისი შესაბამისობის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობასთან, რაზეც მიუთითებს კიდევ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა„ქვეპუნქტი, მე-6 და 32-ე მუხლები და რაც გულისხმობს იმის დადგენას, მართლზომიერია თუ არა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ აქტი არამართლზომიერია, იგი ყოველთვის ბათილად იქნება ცნობილი იმ გარემოებების საფუძველზე, რაც მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში. გამონაკლისს წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მხოლოდ 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუნდაც არამართლზომიერი, ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის

ნაცვლად შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

ამასთან, ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რომელიც კანონით არ არის რეგლამენტირებული.

1.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ„ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. „დ„და „ე„ქვეპუნქტების მიხედვით კი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოსცეს ორი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ნორმატიული ადმი ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, ორივე მათგანი შეიძლება იყოს აღმჭურველი ხასიათის.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი უშვებს ორივე სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საერთო სასარჩელო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.

2.1. როგორც წესი, შეცვლების სარჩელი, ისევე როგორც მავალ-დებულებული სარჩელი (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების თაობაზე) შეიძლება წარდგენილ იქნას მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეული იქნა ამ აქტით, ან მის მიღებაზე უარის თქმით, ან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით, ე.ი. ასეთი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს სარჩელის წარდგენის უფლებაზე დაყრდნობის საშუალება.

2.2. დაინტერესებული მხარის ცნება უმნიშვნელოვანესია ადმინისტრაციულ სამართალში. მისი განმარტება მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარში¹⁹. იგი უკავშირდება პირის უფლებას - წარმოდგენილ იქნას მხარედ სასამართლოში. დაინტერესებულ მხარედ ითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც მიღებულია (ან მისაღებია) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განსახორციელებელია რაიმე ქმედება. აგრეთვე, ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესებზეც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული (ან მისაღები) გადაწყვეტილება ან ქმედება.

ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ ან თეორიულ ინტერესს. თუკი

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კომენტარი, გვ. 34-35

პირი მოხსენიებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, ყველაფერი ნათელია, ვინაიდან, თუ გამოიცა აქტი შპს „მირაჟისთვის“, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, შპს „მირაჟი“ ავტომატურად წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

საგულისხმოა, რომ მოსარჩელის უფლება ან ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნას დაცული. სიტყვა კანონი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს. ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება, ასევე, უკანონოდ ზღუდავდეს მოსარჩელის უფლებას.

2.3. სარჩელის წარდგენის უფლების არსებობის შესახებ მოთხოვნა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი პირის მიერ შემოტანილი სარჩელები, ანუ ხელი შეეშალოს იმას, რომ ნებისმიერ პირს, ვისი უშუალო კანონიერი ინტერესიც არ შელახულა, არ შეეძლოს სარჩელის აღძვრა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ, ან მის მიღებაზე უარის თქმის ან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის შემთხვევაში.

მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით, ან მის მიღებაზე უარის თქმით, ან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით მისი უფლებები იქნა დარღვეული. სარჩელის დასაშვებად მინწევსათვის მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ მტკიცებულებებს დარღვეული უფლების შესახებ არ უნდა წაეყენოს განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები. ამ შემთხვევაში საკმარისია, თუ მოსარჩელე, მის მიერ ფაქტების გადმოცემით სასამართლოს დააჯერებს უშუალოდ მისი უფლებების შესაძლო დარღვევაში. ადგილი ჰქონდა თუ არა სინამდვილეში მოსარჩელის უფლებების დარღვევას, ე.ი. სინამდვილეში დაირღვა თუ არა მისი უფლებები - არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სარჩელის დასაშვებობის განხილვის დროს, რადგან ეს სარჩელის დასაბუთებულობის საკითხია.

2.4. გამონაკლისი ამ წესიდან დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი.

ასევე გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვითი აქტები. 2000 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ორჰუსის 1998 წლის კონვენციას „გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება მიეცათ ამ საკითხებზე

სარჩელით მიმართონ სასამართლოს.

3.1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი აწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საერთო სასამართლოში გასაჩივრების (სასარჩელო ხანდაზმულობის) ერთთვიან ვადას (2005 წლის 24 ივნისის ცვლილებები და დამატებები).

ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის თარიღიდან.

3.2. ამ მუხლის მე-3 ნაწილში შეტანილი ცვლილების თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. აქამდე მოქმედი ექსთენიანი ვადა ერთი თვით შეიცვალა. კანონმდებელმა ამ ცვლილებით პრიმატი აღმკურნელი ადმინისტრაციული აქტის ადრესატს მიანიჭა. ამასთან, იმ პირთა უფლებების დაცვას, რომელთა მიმართ შეიძლება ამკრძალავი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს, ამ აქტის გასაჩივრების ვადის სიმცირის გამო, შეიძლება საფრთხე შეექმნეს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებით უნდა იქნეს დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნა, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა აქტის გამოცემიდან კი არა, არამედ პირისათვის მისი გაცნობის დღიდან დაიწყოს.

3.3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის ამ ნორმის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის სხვა ვადაა დადგენილი. კერძოდ, სამთვიანი ვადა უშუალო ზიანის მიყენებიდან.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ეს არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსი მდგომარეობს საყოველთაო აბსტრაქტულ-გენერალურ მოწესრიგებაში, ე.ი., ის მოიცავს მოფიქრებულ შემთხვევებს და მიმართულია პირთა განუსაზღვრელ წრეზე²⁰.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ჩაღებულია

²⁰ ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 153-161.

საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“, და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. შესაძლებელია ამ აქტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ამასთან, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ ფორმალურ მოთხოვნებს: გამოცემული უნდა იყოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი გამოცემისას დაცული უნდა იყოს ადმინისტრაციული წარმოების წესები, გამოცემული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, რეგისტრირებული და გამოქვეყნებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რაც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი პირობაა.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკანონოა და ბათილად შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ აკმაყოფილებს აქ ჩამოთვლილიდან რომელიმე ერთ მოთხოვნას.

ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით ისევე მოქმედებს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის მოთხოვნა, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. ამასთან, საგულისხმოა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა აითვლება ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. ზიანი უნდა იყოს უშუალო და რეალური, არა სავარაუდო.

3.4. ამასთან, მიზანშეწილი იქნება, თუ ამ კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატება შემდეგი წინადადება: „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სპეციალური კანონით დაწესებულია სარჩელის წარდგენის (სასარჩელო ხანდაზმულობის) სხვა ვადა, მაშინ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება. მაგალითად, საგადასახადო დავების განხილვისას გამოიყენება საგადასახადო კოდექსით დადგენილი სარჩელის წარდგენის ვადები და არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

4. იხ. ამ კოდექსის VII² თავის კომენტარი

მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. (24.06.2005. 1800)

1.1. სარჩელის ფორმებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მავალდებულებელი სარჩელი. მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთი სახეა სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ამ სახის სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსაგან ითხოვს მის სასარგებლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ მოსარჩელე მოიგებს პროცესს და სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი საფუძვლიანია, იგი სასამართლო აქტით (გადაწყვეტილებით) ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს - გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მანამდე მოპასუხის მიერ არ იქნა გამოცემული. აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება იძულებითი წესითაც აღსრულდეს.

1.2. ამ სახის სარჩელები მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ ძირითადად აღიძვრის მაშინ, როდესაც მათ თავიანთი პროექტების განსახორციელებლად ესაჭიროებათ ნებართვა ან ლიცენზია, ან თუ მათი მოთხოვნები უკავშირდება ვალდებულებითი ადმინისტრაციული მმართველობის სფეროს, როცა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

1.3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ყოველ დაინტერესებულ პირს უფლებას ანიჭებს, მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის ახალი რედაქცია დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს სარჩელი აღძვრას არა მარტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, არამედ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ამასთან, საინტერესოა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 211-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად: „ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად შეიძლება დაიწყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

ამდენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონი ზოგჯერ იძლევა იმის

შესაძლებლობას ან ვალდებულებას, რომ მომზადდეს და გამოიცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მიუხედავად ამისა, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს ხშირად არ სურს ამის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა კანონი მესამე მხარეს ანიჭებდეს შესაძლებლობას, მოითხოვოს აქტის გამოცემა როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე სამართალწარმოების გზით.

2. იხ. ამ კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი.

მაგალითად:

დ.გ. 2004 წლის 2 მარტს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: თბილისის გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ სარჩელი აღძრა და საგადასახადო ინსპექციის მიერ გამართულ სპეციალიზებულ ღია აუქციონზე შექნილ ქონებაზე (რომლის ღირებულება სრულად გადაიხადა) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის გაცემა მოითხოვა, რადგან საგადასახადო ინსპექციამ ამ დოკუმენტის გაცემაზე უარი განაცხადა.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის ახალი რედაქციით 23-ე მუხლს დაემატა ასევე მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული ცვლილება, გარდა სასარჩელო ხანდაზმულობაზე მითითებისა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთი სარჩელის აღძვრამდე, მოსარჩელეს ჯერ ადმინისტრაციული ორგანოსადმი უნდა ჰქონდეს მიმართული ანალოგიური მოთხოვნით და უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005. N1800)

2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორ-

ციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

1.1. სარჩელი მოქმედების განხორციელების თაობაზე მავალ-დებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმაა, რომლითაც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ზომების განხორციელება, რაც არ არის დაფუძნებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე. შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება უმოქმედობაშიც გამოიხატოს.

ასეთი სარჩელების განხილვისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს საჯარო უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გააჩნია თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი მოქმედების განხორციელების კომპეტენცია.

1.2. სარჩელის აღძვრის უფლება აქვს ადმინისტრაციულ ორგანოსაც სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 თავი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთ-დახმარების ვალდებულებას, დახმარების პირობებსა და ფარგლებს, სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას და სხვა საკითხებს.

ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-18 მუხლი ადგენს ამ ორგანოთა შორის წამოჭრილ დავათა გადაწყვეტის წესს და პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც მოითხოვა სამართლებრივი დახმარების გაწევა, არ გაიზიარებს დახმარებაზე უარის თქმის არგუმენტებს, დავა მათ შორის შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთო ხელმძღვანელი ორგანო, სწორედ მას ენიჭება დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, დავებს გადაჭრის სასამართლო²¹.

2. იხ. 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი.

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევეხოთ შეცილებისა და მავალ-დებულებელი სარჩელის დასაშვებად მიჩნევის ერთ-ერთ პირობას, რომელიც დამახასიათებელია გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვის და არ არის გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

შეცილებისა და მავალდებულებელი სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის გერმანული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ზოგჯერ აწესებს წინასწარი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას (§.

²¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კომენტარი, ს.ფ. 68

68-73, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი)²².

წინასწარი წარმოება არის დავის სასამართლო განხილვის წინამდებარე ადმინისტრაციული წარმოება. იგი ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლს, რომელსაც განმეორებითი შემოწმების შემთხვევაში შეუძლია თავადვე გააუქმოს მიღებული გადაწყვეტილება, თუ იგი არის არასწორი და თავად დაიცვას ადმინისტრაციული ხელისუფლების კანონიერების პრინციპი.

წინასწარი წარმოება ასევე ემსახურება მოქალაქის სამართლებრივი დაცვის მიზანს, რადგან მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელახლა განიხილება მთელი მოცულობით, მოწმდება სრულად, რაც ხანდახან სასამართლო წარმოების წესით შეუძლებელია.

წინასწარი წარმოების არცთუ ურიგო მიზანია სასამართლოთა საქმიანობის გაადვილება, რადგან ამ პირობის არსებობისას, შესაძლებელია სასამართლოთა განტვირთვა. ამას კი განსაკუთრებულად საჭიროებს ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რადგან ადმინისტრაციულ სარჩელთა რიცხვი გეომეტრიული სისწრაფით იზრდება, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითკონტროლი სუსტდება.

მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი

1. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. (24.06.2005. 1800)

2. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

1.1. აღიარებითი სარჩელი სარჩელის ერთ-ერთი ფორმაა, რომლითაც დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეებისაგან განსხვავებით აღიარებითი სარჩელი ყოველთვის გულისხმობს მოდავე მხარეებს - მოსარჩელეს და მოპასუხეს.

აღიარებით სარჩელს წაყენება დამატებითი წინაპირობა - კანონიერი ინტერესი, კერძოდ: სახეზე უნდა იყოს პირის უფლების დარღვევის რეალური საშიშროება; ან მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობაში (ან არ არსებობაში); ამასთან, აღიარებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება შედეგიანი უნდა იყოს მოსარჩელისათვის. მოსარჩელემ თავად უნდა მიუთითოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომლის დადგომის კანონით დაცულ ინტერესს შეეხება.

²² გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, §68-73

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი აღიარებითი სარჩელი შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-სამართალურთიერთობათა აღიარების სფეროს, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან და სხვა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

მაგალითად:

1. ა... უ ..., თ... ბ..., და ი... ხ... სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ და მოითხოვეს:

ა) ისინი აღიარებულ ყოფილიყვნენ ეროვნების, მრწამსისა და აზრის გამო დევნის მსხვერპლად;

ბ) საქართველოს პრეზიდენტს გამოეცა ადმინისტრაციული აქტი მათ მიმართ ეროვნების, მრწამსისა და აზრის გამო დევნისათვის თავშესაფრის მიცემის თაობაზე;

სარჩელი სასამართლოს მიერ დასაშვებად იქნა მიჩნეული, თუმცა საქმის განხილვა დღეისათვის არ არის დამთავრებული.

2. ე...მ... და ლ... ქ... თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს აღიარებითი სარჩელით მიმართეს და 2000 წლის 1 აგვისტოს ე... მ... და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის გაფორმებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებისა და 2001 წლის 15 ივნისს ე...მ... და ლ...ქ... შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერად ცნობა მოითხოვეს. მოსარჩელებმა მოპასუხედ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ხოლო მესამე პირად ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი დაასახელეს.

აღიარებითი სარჩელის წარდგენას საფუძვლად ის გარემოება დაედო, რომ ლ... ქ... შეძენილი ქონების გაყიდვისას პრობლემა შეექმნა, კერძოდ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ სადავო გახდა ის ფაქტი, რომ ხსენებული შენობა რაიონული მნიშვნელობის აქტიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა.

აღიარებითი სარჩელი მიმართული იყო იმისაკენ, რომ სასამართლოს ზემოხსენებული ქონების პრივატიზებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების მართლზომიერება და კანონიერება დაედასტურებინა იმ საფუძვლით, რომ სადავო ქონება არქიტექტურულ ძეგლს არ წარმოადგენდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა აღიარებითი სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხესა და მესამე პირს არ გაუსახივრებიათ.

მაგალითები გერმანიის ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკიდან:

1. შპს „.....“ აქვს პურ-ფუნთუშეულის მაღაზია, რომელიც შეამოწმა სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ და გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც შპს „.....“ დაავალა 14 დღის ვადაში აღმოეფხვრა არსებული დარღვევები. ორი დღის შემდეგ მას ზეპირინსტიციურად მოსთხოვეს შეეწყვიტა მუშაობა.

შპს „...“ დირექტორმა აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, რომ სასამართლოს ელიარებინა მისი უფლება საქმიანობის გაგრძელების თაობაზე და ის ფაქტი, რომ მას მაღაზიის დახურვა არ ევალებოდა, მოპასუხედ დასახელებულ იქნა სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია.

სასამართლომ აღიარებითი სარჩელი დააკმაყოფილა.

2. დაბალალკოჰოლიანი ლუდი კანონით განთავისუფლებული იქნა საბაჟო გადასახადისაგან.

შპს „...“ აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს, მიუთითა, რომ უცხოელ პარტნიორთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მას გასაყიდად უნდა შემოეტანა დაბალალკოჰოლიანი ლუდის პარტია, რისთვისაც სასამართლო გადაწყვეტილებით ითხოვდა უფლების აღიარებას, რომ საბაჟო გადასახადის გარეშე შეეძლო დაბალალკოჰოლიანი ლუდის შემოტანა. მოსარჩელე აღიარებითი სარჩელის საფუძველად მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს (საბაჟო დეპარტამენტის) მხრიდან ამ უფლების შესაძლო დარღვევის რეალურ საშიშროებაზე მიუთითებდა.

სასამართლომ აღიარებითი სარჩელი დააკმაყოფილა.

3. მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აკრძალა დემონსტრაციის გამართვა, რადგან იგი აფერხებდა მოძრაობას.

მოქალაქეთა ჯგუფმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამ აქტის ბათილად ცნობა. ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად ცნო ბათილად გასაჩივრებული აქტი.

მოსარჩელეებმა შეცილების სარჩელის აღიარებით სარჩელად გარდაქმნით მოითხოვეს სასამართლოს ელიარებინა მათი უფლება დემონსტრაციის თავისუფლად გამართვის თაობაზე იმ საფუძველით, რომ არსებობდა ამ უფლების შემდგომშიც დარღვევის რეალური საშიშროება ადმინისტრაციულ ორგანოს მხრიდან ახალი ამკრძალავი აქტის გამოცემით.

12. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილება „აქტის არარად აღიარების, თაობაზე ეფუძნება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილ ცვლილებას, კერძოდ სზაკ-ის მე-60 მუხლი აღგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აქტად აღიარების საფუძველებს, ხოლო ასკ-ის 25-ე მუხლი დაინტერესებულ მხარეს

აძლევს შესაძლებლობას, აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების მოთხოვნით. ამასთან, აღიარებითი სარჩელისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა დადგენილი არ არის.

სზაკ-ის მე-60 მუხლის თანახმად: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

- ა) შეუძლებელია მისი გამოცემა ორგანოს დადგენა;
- ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;
- დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

3. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“.

2. აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღძრას შეცილების ან მაგალდებულებელი სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

კოდექსის ეს მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის დასაშვებად მიჩნევის კიდევ ერთი წინაპირობაა, რომელიც მკვეთრად გამოიხატავს შეცილების, მაგალდებულებელი და აღიარებითი სარჩელის ფორმებს.

მუხლი 25¹. სახელშეკრულებო დავები

1. სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს. (24.06.2005. #1800)

1. ზოგადი

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2005 წლის 24 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგია ახალი 25¹ მუხლი,

რომელიც ადგენს სახელშეკრულებო დავების განხილვის წესს.

საქართველოს თითქმის ხუთწლიანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობის შედეგად უარი ითქვა „ადმინისტრაციული გარიგების, ინსტიტუტზე. სზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის „ზ, ქვეპუნქტის ძველი რედაქცია ადმინისტრაციულ გარიგებად მიიხედავდა ყველა სახის სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, რომელშიც ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობდა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ გარიგებასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამაც გამოიწვია ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გადატვირთვა. ასევე პრობლემას ქმნიდა ცალმხრივი ადმინისტრაციული გარიგების ინსტიტუტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა იმდენად ფართო ინტერპრეტაციას აძლევდა ცალმხრივი გარიგების ცნებას, რომ მასში ექცეოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განტვირთვისა და სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით ახლებურად ჩამოყალიბდა სზაკ-ის V თავი. ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი საჯარო სამართლებრივი ფორმის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. იგი აყალიბებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას (სზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის „ზ, ქვეპუნქტის ახალი რედაქცია) და ახდენს მისი მარეგულირებელი სპეციალური ნორმების კოდექსის V თავში (მუხლები 65 – 71) თავმოყრას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65 II მუხლი).

II. სახელშეკრულებო დავების გადანყვეტა საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

სასკ-ს 25¹ მუხლი ადგენს სახელშეკრულებო დავების განხილვის წესს. აღნიშნული მუხლის I ნაწილი ახდენს ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის სამართლებრივ გაფორმებას: სახელშეკრულებო დავებთან დაკავშირებით დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა. ის შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის გზით.

ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. იმ შემთხვევაში, როდესაც ის აირჩევს საქმიანობის სამართლებრივ ფორმას ადმინისტრაციული ხელშეკრულების სახით ის ვალდებულია ბოლომდე დარჩეს სამართლებრივი ურთიერთობის ამ საფეხურზე. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. თუ სახეზე არ არის ორმხრივი ნება, შესაბამისად არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ცალმხრივად მოაწესრიგოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ის ვალდებულია ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს და როგორც ხელშეკრულების თანასწორუფლებიანმა პარტნიორმა მოითხოვოს მისი უფლებების დაცვა. ხელშეკრულების მეორე მხარეც – მოქალაქეც – არ არის უფლებამოსილი საჩივარი შეიტანოს ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით მისი უფლებების დაცვა. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას აქვს მთელი რიგი თავისებურებები, რომელიც ვერ გავრცელდება სახელშეკრულებო დავების განხილვასა და გადაწყვეტაზე. ამ შემთხვევაში ერთად-ერთი გზაა თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის დავის სასამართლოსათვის მიმართვის გზით გადაწყვეტა.

III. ადმინისტრაციული და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება

სასკ-ის 25¹ მუხლის II ნაწილი მიჯნავს ადმინისტრაციული და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებს და განსაზღვრავს საერთო სასამართლოების მიერ მათი შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის ვალდებულებას.

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები. სზაკ 65 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. გამომდინარე აქედან იბადება შეკითხვა, თუ რა შემთხვევაში იძენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას აქვს საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავენ და წყვეტენ საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ II მუხლი).

ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამოჯენას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციის მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი სტატუსი; ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ის მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად. შესაძლებელია, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას ორ კერძო-სამართლებრივ სუბიექტს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულების მიზანი უნდა განვსაზღვროთ მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე მაგ.,

- როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება;

- როდესაც ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს;

- როდესაც ის მოქალაქის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის მიზნით საერთო სასამართლოების განხორციელებულ სამართალწარმოების პროცესს ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები. საქმის წარმოების გახსნის საფუძველია დაინტერესებული მხარის სასამართლოში წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება, რომელიც უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ განცხადება აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღების შესახებ, ხოლო როდესაც სარჩელი არაა შედგენილი სსსკ-ის 178-ე და 179-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შევსების შესახებ და მოსარჩელეს აძლევს ვადას

მის შესავსებად. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს სსსკ-ის 186-ე მუხლის რომელიმე პუნქტი.

სახელშეკრულებო დავის გადაწყვეტის მოთხოვნით სასამართლოში შეტანილი განცხადების მიმართ მოქმედებს სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ხუთდღიანი ვადა, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 183-ე მუხლით, ხოლო გამწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია სასკ-ის 26 მუხლით და ემსახურება სარჩელის დასაშვებობის საკითხის გარკვევას, არ გამოიყენება სახელშეკრულებო დავებზე სარჩელის დასაშვებობის დადგენის შემთხვევაში.

IV. სახელშეკრულებო დავის განხილვა კერძო არბიტრაჟის მიერ

სასკ-ის 25¹ მუხლის III ნაწილი უშვებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის მხარეთა შეთანხმებით განსახილველად კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემას.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადება უშუალოდ არ ემსახურება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების შესრულებას. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება იდება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. მის შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტაც ხდება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე და ბუნებრივია ადმინისტრაციული ორგანო არ შეიძლება იყოს შეზღუდული გამოიყენოს კერძო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა კერძო არბიტრაჟი.

კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა შორის შეთანხმება დავა განიხილოს კერძო არბიტრაჟმა. შესაძლებელია ეს შეთანხმება წინასწარ ჩაიდოს ხელშეკრულებაში, ან კიდევ დავის წარმოშობის შემდეგ იქნას მიღწეული ასეთი შეთანხმება.

მუხლი 26. სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში

1. სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

3. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. (24.06.2005. 1800)

1.1. საპროცესო კანონმდებლობაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხვაზე: განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა საერთო სასამართლოების უფლებამოსილებაში (იურისდიქციაში).

განსჯადობა კი აწესრიგებს სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით, მათი უფლებამოსილების გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ, ორგანული კანონის მე-15, 21-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად. საერთო სასამართლოთა შორის უფლებამოსილებათა გამოჯვნა წესრიგდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 და მე-6 მუხლებით. საქმეთა ასეთ გამოჯვნას საგნობრივ ანუ გვარეობით (ინსტანციურ) გამოჯვნას უწოდებენ, რაც აბსოლუტურ საკანონმდებლო დონეზეა გადაწყვეტილი, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო პროცესში.

1.2. საგნობრივი განსჯადობისაგან განსხვავდება ტერიტორიული განსჯადობა, რაც ადმინისტრაციულ პროცესში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად ხორციელდება. ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ - მათი ადგილსამყოფელის მიხედვით.

1.3. საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობისაგან განსხვავდება დარგობრივი განსჯადობა, რომელიც მოცემულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში. აღნიშნული საპროცესო ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციულ საქმეთა ჩამონათვალს, რომელიც განხილულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენისას დაცული უნდა იქნას საგნობრივი, ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები. შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც ზემოთ დასახელებული საპროცესო ნორმების შესაბამისად უფლებამოსილია გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2.1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით (სსსკ 186-ე მუხლი) არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ამ სასამართლოსაგან მოითხოვს სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში გადაგზავნას.

2.2. განსჯად სასამართლოში საქმის გადაგზავნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა გაეგზავნოს (გადაეცეს) მოსარჩელესაც. სასამართლოს განჩინება განსჯად სასამართლოში საქმის წარმართვის შესახებ არ საჩივრდება.

3.1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას. მაშინ, როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად განსჯადობის შესახებ დავა არ დაიშვება.

ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის შემთხვევაში საკითხს (ამ ნაწილის ახალი რედაქციით) წყვეტს საკასაციო სასამართლო განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ წამოჭრილი დავები ძირითადად ეხება საგნობრივ და დარგობრივ განსჯადობას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს მეტი შესაძლებლობა აქვს განსჯადი სასამართლოსათვის საქმის გადასაცემად.

მუხლი 26¹. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები.

2. ამოღებულია (29.12.2004. #932)

3. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. (25.03.2005. #1174)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 229-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს

შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოება დასაშვებად მიიჩნევს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შეფასებისა და სამართლებრივი დასაბუთების გარეშე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ მისი გამოუცხადებლობის გამო.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს ასეთი უფლება სასამართლოს არ გააჩნია. სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება გააფუძნოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი სასამართლო სხდომაზე. სასამართლო ყველა შემთხვევაში ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, მხარის (მხარეთა) დასწრების გარეშე. ამის უფლება სასამართლოს გააჩნია თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა პირველივე სასამართლო მთავარ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს არსებობს თუ არა სასამართლოს მთავარი სხდომის დროის შესახებ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით შეტყობინების ჩაბარებისა და სასამართლოში მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის განხილვის მომენტისათვის. აგრეთვე, მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვის დროს, სასამართლო იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კანონით მინიჭებულ უფლებას საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და გამოიტანოს გადაწყვეტილება მხოლოდ მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ამასთან, ვფიქრობთ რომ ასკ-ს 26¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გამორიცხავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას და არ გამორიცხავს სსსკ-ს 275-ე მუხლის “გ” პუნქტის საფუძველზე საქმის განუხილველად დატოვებას, როდესაც სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის განუხილველად დატოვებისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება არსებითად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად მიიღება მხოლოდ დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება, ამიტომაც კანონმდებელმა ამ ინსტიტუტის ადმინისტრაციულ სამართალწარმოების დროს გამოყენებაზე სწორად თქვა უარი. რაც შეეხება სარჩელის განუხილველად დატოვებას, ეს არ არის საქმის არც განხილვა და არც გადაწყვეტა. სარჩელის განუხილველად დატოვება სსსკ-ს 29-ე თავით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრებას წარმოადგენს, ამდენად, მისი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოყენება არ ეწინააღმდეგება ამ წარმოების პრინციპებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა პოზიცია გააჩნია საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის პალატამ 2002 წლის 1 ოქტომბრის ¹ 3გ/ად-43-კ-ს-02 განჩინებაში განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება დაუშვებელია. თავისი მოსაზრება სასამართლომ დაასაბუთა შემდეგი გარემოებებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმები სსსკ 275-ე მუხლისაგან განსხვავებულად აწესრიგებენ მხარეთა გამოუცხადებლობას. ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში გამოუცხადებლობა ადმინისტრაციული დავის მხარისათვის განსხვავებულ შედეგს იწვევს, კერძოდ სასკ 26¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია მხარის ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში. მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

(საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეცა პალატის 2002 წლის 21 ნოემბრის ¹ 3გ-ად-43-კ-ს-02 განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2002 წელი, ¹12, გვ.2177)

მუხლი 26². განმწესრიგებელი სხდომა

1. სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო, მხარეთა მონაწილეობით, განიხილავს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას.

2. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

3. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საჩივრდება კერძო საჩივრით ზემდგომ სასამართლოში.

4. ზემდგომი სასამართლო განჩინების გაუქმების ან არსებითი განხილვისას წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში საქმეს განსახილველად დაუბრუნებს განსჯად სასამართლოს. (24.06.2005. 1800)

ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მთავარ სხდომაზე მისი საფუძვლიანობის შემოწმებამდე და საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტამდე, სასამართლო იხილავს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

26² მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით დანიშნოს განმწესრიგებელი სხდომა და მხარეთა მონაწილეობით განიხილოს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხი. თუ განმწესრიგებელ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოწვეული მხარეები, მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. ამ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია ჩაატაროს განმწესრიგებელი სხდომა, მაშინაც კი თუ სარჩელის დასაშვებობა სადავო არ არის. ვფიქრობთ, რომ ნორმის ამგვარი განმარტება არ ემსახურება იმ მიზანს, რა მიზნითაც იგი იქნა მიღებული. კერძოდ, სასამართლო არსებითად არ უნდა იხილავდეს დაუშვებელ სარჩელს, დაუშვებელ სარჩელზე არ უნდა ხდებოდეს მართლმსაჯულების პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურება. ვფიქრობთ, ამ მიზნის მისაღწევად და სარჩელის დასაშვებობის საკითხის განსახილველად, სასამართლო ვალდებულია დანიშნოს განმწესრიგებელი სხდომა მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე. ყველა სხვა შემთხვაში, სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 2 კვირის გასვლის შემდეგ 26²-მ მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205 მუხლის შესაბამისად, სასამართლო

უფლებამოსილია სარჩელის დასაშვებობის საკითხი განიხილოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის წარმოების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამდენად, თუ სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლები გამოვლინდა სარჩელის მიღებიდან 2 კვირის შემდეგ, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. ამ საკითხის განხილვა შეიძლება მოხდეს როგორც მთავარ, ისე მოსამზადებელ სხდომაზეც.

მაგალითი: მოსარჩელემ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოში წარადგინა 2005 წლის 15 სექტემბერს. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოსაგან გადმოეგზავნა 2005 წლის 1 სექტემბერს ფაქსით და წარუდგინა სასამართლოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასკ-ის 26² მუხლის 1 ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად სასამართლომ დანიშნა განმწესრიგებელი სხდომა და სხდომის შესახებ აცნობა მხარეებს. მხარეები არ გამოცხადდნენ განმწესრიგებელ სხდომაზე. სასამართლომ სარჩელი დასაშვებად მიიჩნია და განსაზღვრა მთავარი სხდომის დრო 2005 წლის 27 დეკემბერი. ამის შემდეგ მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სასკ-ის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი 1 თვიანი ვადა. მოპასუხემ წარუდგინა სასამართლოს იმის მტკიცებულება, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეს ჩაბარდა პირადად 2005 წლის 1 აგვისტოს და არა 1 სექტემბერს, ანუ სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე ერთი თვითა და 15 დღით ადრე. ასეთ ვითარებაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-2 ნაწილით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით, დანიშნოს საქმეზე მოსამზადებელი სხდომა და გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო სარჩელის დასაშვებობის საკითხს, მაგალითად წვევტს შუალედური გადაწყვეტილებით (მუხლი 109) და არა განჩინებით. ჩემი აზრით, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელის დაუშვებლობის საფუძველით მხარისათვის სარჩელზე უარის თქმის ტოლფასია და ასეთი შედეგი გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა დგებოდეს. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით არჩეული პროცედურა პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებადაც უნდა განვიხილოთ, რადგან იგი ორიენტირებულია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ოთხი სახის ადმინისტრაციული სარჩელი: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (მუხლი 22), სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (მუხლი 23), სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (მუხლი 24) და აღიარებითი სარჩელი (მუხლი 25).

ადმინისტრაციული-საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. აგრეთვე, თუ სარჩელი სასამართლოს წარედგინა შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებია:

1. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა.

2. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება. კერძოდ, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აყენებდეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას.

3. მოსარჩელის მიერ დაცული უნდა იყოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დასაშვებია თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. აგრეთვე, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი დასაშვებია თუ იგი სასამართლოს წარედგინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

ასკ-ს 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებია:

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა, თუ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მოსარჩელის განცხადება ან კანონით დაკისრებული ვალდებულება).

2. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის უფლება. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა უნდა აყენებდეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას.

3. მოსარჩელის მიერ დაცული უნდა იყოს სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. აღნიშნული ნორმა დასაშვებობის წინაპირობად არ ადგენს სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადას.

სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებია:

1. არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების (მოქმედება თუ უმოქმედობა) განხორციელების ვალდებულება და მან უარი განუცხადა მოსარჩელეს ამ ვალდებულების შესრულებაზე.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ სარჩელს, იგი დასაშვებია თუ მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებას, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას და, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

ამასთან, სარჩელი დასაშვებია თუ მოსარჩელეს არ შეუძლია ადრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

სასკ-ის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის

წინაპირობებია:

1. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა.
2. მოსარჩელე ითხოვს უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას და მას აქვს ამის კანონიერი ინტერესი.
3. შეუძლებელია სარჩელის 22-24-ე მუხლების საფუძველზე აღძვრა.

სასამართლო განიხილა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით ზემდგომ სასამართლოში. კერძო საჩივრის წარდგენის ვადები და პროცედურა დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლებით. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ ზემდგომი სასამართლო განიხილოს გაუქმების ან არსებითი განხილვისას, წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენის შემთხვევაში, საქმეს განსახილველად დაუბრუნებს განსჯად სასამართლოს. ამ ნორმის თანახმად, ზემდგომი სასამართლო არ წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს და ყველა შემთხვევაში საქმეს ამ საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

მუხლი 27. გამარტივებული სამართალწარმოება

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

გამარტივებული სამართალწარმოება სასამართლოს მიერ გამოიყენება მხოლოდ მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, როგორც წესი მარტივი კატეგორიის საქმეებზე. მხარეთა წერილობით მოთხოვნაში იგულისხმება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის წერილობითი მოთხოვნა, აგრეთვე ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნა და მეორე მხარის წერილობითი თანხმობა საქმის გამარტივებული წესით განხილვაზე. მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობა მისი დასწრების გარეშე საქმის განხილვის თაობაზე სასამართლოს არ აძლევს უფლებას განიხილოს საქმე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად, ამ წესით საქმის განხილვა სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება, ანუ სასამართლო წყვეტს რამდენად მიზანშეწონილია მხარეთა დაუსწრებლად და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენის გარეშე კონკრეტული ადმინისტრაციული საქმის განხილვა და გადაწყვეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია არ დაეთანხმოს მხარეებს და არ დაადგინოს საქმის გამარტივებული წესით განხილვა, თუ სასამართლო სხდომაზე მათ მოწვევასა და ზეპირ მოსმენაში მონაწილეობას საგადასმად დაუფლად ჩათვლის. სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა

წერილობითი შუამდგომლობებით.

ადმინისტრაციული საქმის გამარტივებული სამართალწარმოება არ იწვევს საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს მოტივირებული, დასაბუთებული ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

კითხვაზე, დასაშვებია თუ არა ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დათვალისწინებული გამარტივებული წესით განხილვა პასუხი, ჩვენი აზრით უარყოფითი უნდა იყოს, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც.

ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამარტივებული წესით განხილვის დაუშვებლობაზე მიუთითებენ შემდეგი გარემოებები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-309-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმის განხილვის გამარტივებული წესი არის საქმეთა განხილვის სპეციალური პროცედურა ფულადი დავალიანების გადახდევინების თაობაზე. აღნიშნული წესით საქმის განხილვის საფუძველი ყოველთვის არის განცხადება და არა სარჩელი. განცხადების განხილვა მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებისა და არა გადაწყვეტილების მიღებას. გადახდის ბრძანებაში სასამართლო უთითებს, რომ მას არ შეუმოწმებია, აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთება. თუ მოპასუხე გადახდის შესახებ მიღებული ბრძანების წინააღმდეგ შესაგებელს (პროტესტს) არ შეიტანს, სასამართლო მიიღებს სააღსრულებო განკარგულებას. ხოლო, თუ მოპასუხე თავის შესაგებელს დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლოში დროულად შეიტანს, აღძრული მოთხოვნა განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასარჩელო წარმოების საერთო წესით. ამდენად, წარმოების ეს წესი საერთოდ გამორიცხავს სასამართლოს ინიციატივას და ადმინისტრაციული ორგანოს საპროცესო მოქმედებათა კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმებას.

რაც შეეხება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულების განსაკუთრებულ წესს, მას განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 175-ე მუხლი. ამ წესის თანახმად, ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულებას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო სასამართლოში მიმართვის გარეშე. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის საჭიროა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს და არა სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. თუ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ვალდებული პირი

უარს აცხადებს გადაიხადოს ფულადი თანხა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი პირი მოვალეს დააკისრებს ვალდებულებას, რომ მისთვის გადასაცემი ფულადი თანხა ჩარიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე. და ბოლოს, პირისაგან თანხის იძულებითი ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ამდენად, აშკარაა რომ ფულადი დავალიანების გადახდევინების საკითხზე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია სასამართლოში სამართლებრივი დაცვის საჭიროება და ადმინისტრაციულ ორგანოს სასარჩელო მიზნის დამოუკიდებლად მიღწევა შეუძლია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2001 წლის 11 მაისის ¹ 3ვ/ად-26-კს განჩინებით განიმარტა: “სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის წესი ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული დავის განხილვის პროცესუალურ წესრიგს, ინკვიზიციურობის საწყისს, რომლის თანახმადაც სასამართლო საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებათა წარმოსადგენად, თავად მოიპოვებს მათ. ამდენად, სსკ-ის 302-309-ე მუხლები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება”. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე 2001 წ.,¹ 5, გვ.344-347)

მუხლი 28. დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს

გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

2. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:

ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;

ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;

გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

დ) შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა აღმინტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა. თუ კანონით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს მხოლოდ საგადასახდო საქმეების განხილვის განსხვავებულ ვადას, კერძოდ კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად საგადასახადო საქმეების განხილვის ვადა სასამართლოში სარჩელის შეტანიდან მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემამდე არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას.

გარკვეული კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია განხილვის სპეციალური ვადები. კერძოდ, ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 77-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო დავებისათვის დადგენილია 2 და 3 დღიანი განხილვის ვადები.

ამასთან, ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნით სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ. თავის განჩინებაში სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ასეთი გადაწყვეტილება და მიუთითოს ვადა, რა ვადაშიც უნდა მოხდეს საქმის განხილვა. სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მოთხოვნით და უფლებამოსილია დასაბუთებული უარი უთხრას მას საქმის დაჩქარებული სამართალწარმოების წესით განხილვაზე, თუ ამის აუცილებლობა მხარემ არ დაასაბუთა ან როდესაც ასეთი აუცილებლობა არ არსებობს.

მუხლი 29. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოინვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზი-

1. სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან მის განხილვამდე და სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე საკმაოდ დიდი დროა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობამ შესაძლოა გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიუხედავად რეალურად ვერ განხორციელდება დარღვეული უფლების დაცვა.

2000 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 15 ივლისამდე პერიოდში ადმინისტრაციულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი არ იყო სრულყოფილად მოწესრიგებული. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლები არ განსაზღვრავდა დეტალურად ამ ღონისძიების ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

ჩვენი აზრით აუცილებელი იყო საკანონმდებლო ცვლილებები და ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის სასამართლოში განხილვა-გადაწყვეტის წესისა და პირობების დეტალურად და ნათლად განსაზღვრა.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ „საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის შესაბამისად, 29-ე და 30-ე მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კოდექსს დაემატა ახალი 30^ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხები. ამ ნორმებით უფრო სრულყოფილად მოწესრიგდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხები. მიუხედავად ამგვარი ცვლილებებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დღესაც არსებობს 198-ე მუხლის “ვ” პუნქტი, რომელიც ჩვენი აზრით ამოსადებია.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. აღნიშნული ნორმა გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების ან არარად აღიარების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე. სასკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას ავტომატურად (ადმინისტრაციული აქტის კანონისმიერი შეჩერება ან სუსპენზიური ეფექტი).

სამოქალაქო საპროცესო კანონით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და არ შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს ინიციატივით. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას მხარის შუამდგომლობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ, გასაჩივრებული

ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება სარჩელის სასამართლოს მიერ მიღებით, ავტომატურად და ეს არ არის დამოკიდებული სასამართლოს ან მხარის ნებაზე. ასეთი ნორმის არსებობა მიუთითებს ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის მაღალ ხარისხზე. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატური შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უზრუნველს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე.

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება დაკავშირებულია ისეთ საპროცესო მოქმედებასთან, როგორცაა სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას (სსსკ 186-ე მუხლი), სარჩელის უმოძრაოდ დატოვებას (სსსკ 185-ე მუხლი) და ამ შემთხვევებზე არ უნდა ვრცელდებოდეს სასკ-ს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედება. მაგალითად, თუ დაინტერესებულმა პირმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყების მიზნით სსსკ 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით სასამართლოს წარუდგინა განცხადება და არა სარჩელი, ამ განცხადების სასამართლოს კანცელარიაში წარდგენა არ უნდა იწვევდეს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატურ რეჟიმში შეჩერებას.

ამდენად, ადმინისტრაციული აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერება ხდება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ადმინისტრაციული აქტის შეჩერება სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება. ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება კანონით, ავტომატურ რეჟიმში და არა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებული პირების ინფორმირება ადმინისტრაციული აქტის კანონისმიერი (ავტომატური) შეჩერების თაობაზე.

მოსამართლეთა ერთი ნაწილი სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან სასკ-ს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება და ამ განჩინებას უგზავნის მხარეებს. სასამართლოს განჩინება ემსახურება მიზანს უშუალოდ აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს, იმის თაობაზე რომ სასამართლოში წარდგენილია სასკ-ს 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი და რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება, სასკ-ს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე შეჩერებულია.

მოსამართლეთა მეორე ნაწილი საერთოდ არ მიუთითებს სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში ადმინისტრაციული აქტის მოქმედების

შეჩერების თაობაზე. მათი აზრით, რადგან ადმინისტრაციული აქტის შეჩერების საკითხი გადაწყვეტილია კანონით, სასამართლო არ არის არც ვალდებული და არც უფლებამოსილი დამატებით მიუთითოს ამის თაობაზე თავის განხილვაში.

ფორმალურად, კანონი მართალაც არ ავალდებულებს მოსამართლეს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატური შეჩერების თაობაზე განხილვის გამოტანას ან სარჩელის წარმოებაში მიღების განხილვაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება თუ მოსამართლეები წერილობით, განხილვაში დააფიქსირებენ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის სასკ-ს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მოქმედების შეჩერების, რითაც უშუალოდ ყველა დაინტერესებულ პირს აცნობებენ სარჩელის სასამართლოში წარდგენისა და ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატურ რეჟიმში შეჩერების თაობაზე.

2. სასკ-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევების ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების (განხილების) საფუძველზე. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც არსებობს საჯარო წესრიგის დაცვის განსაკუთრებული ინტერესი ან, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კონკრეტული კანონით.

ა) კერძოდ, სასკ-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ ჩერდება ავტომატურად, თუ ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან.

მაგალითად, გადასახადებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას ავტომატურად ვერ შეაჩერებს სარჩელის სასამართლოში მიღება. მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის შეჩერების მოთხოვნით. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის 13გ-ად-25-კ-ს-02 განჩინებით განიმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს

ბრძანებით გათვალისწინებული “...საჯარიმო თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” ქვეპუნქტში გათვალისწინებულ “სხვა გადასახდელების” კატეგორიაში, მიხედავად იქნა რომ მისი მოქმედება ჩერდება სარჩელის წარდგენით, ავტომატურად. საკაცო სასამართლოს აზრით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ “სხვა გადასახდელებში” იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელები, რომელთა გადახდა სავალდებულოა და არ არის დამოკიდებული სამართალდარღვევაზე” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2002 წელი №8, გვ. 1273-1277)

ვერ დავეთანხმებით უზენაესი სასამართლოს ამ მოსაზრებას და შემოგთავაზებთ ამ ნორმის განსხვავებულ განმარტებას. გადასახადის ცნებას განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი და ამ კოდექსის მე-9 მუხლი ადგენს გადასახადებისა და მოსაკრებლების ამომწურავ ჩამონათვალს. რაც შეეხება სხვა გადასახდელების დეფინიციას, იგი არ არის განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. ვფიქრობთ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სხვა გადასახდელებად მიიჩნევა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ განსახორციელებელი ყველა სხვა გადასახდელი, რომლის წარმოშობის საფუძველია გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სას.კ-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტი უნდა გავრცელდეს ყველა იმ ადმინისტრაციული აქტის მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ შესასრულებელი ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების შესრულებასთან. თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას პირის დაჯარიმების თაობაზე, მისი მოქმედება, როგორც ამას უზენაესი სასამართლო განმარტავს არ ჩერდება ავტომატურად სას.კ-ს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე და შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ მხარის მოთხოვნით და სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით სას.კ-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე, რადგან ჯარიმა არის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შესასრულებელი ფულადი ვალდებულება.

ბ) 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ ჩერდება ავტომატურად, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას. კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანში და საზოგადოებრივი წესრიგისათვის

ან უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნაში. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს მოსალოდნელი მატერიალური ზიანის და საზოგადოებრივი წესრიგისა თუ უსაფრთხოებისათვის მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა და ისე გადაწყვიტოს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხი. ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

გ). 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ ჩერდება სარჩელის მიღებით ავტომატურად, თუ იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ქვეყანაში საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების საფუძველებსა და წესებს. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, როგორც წესი სახეზეა ქვეყნის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებული საფრთხე. ადმინისტრაციული ორგანოები აღჭურვილები არიან განსაკუთრებული უფლებამოსილებებით. ასეთ ვითარებაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებისმიერ საკითხზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი არ შეიძლება სარჩელის სასამართლოში წარდგენით ჩერდებოდეს ავტომატურად და მისი მოქმედების შეჩერება დაიშვება მხოლოდ მხარის მოთხოვნისა და სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე.

დ). 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ასევე არ ჩერდება სარჩელის წარმოებაში მიღებით, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა.

კანონი არ განმარტავს, თუ რა ითვლება ადმინისტრაციული აქტის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობად. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 თავი ადგენს ადმინისტრაციული აქტის აღსრულების წესებს და 166-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი ფორმის დაუცველად, ზეპირად გამოცემას გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ჯერ-ჯერობით, შეიძლება ვიფიქროთ კანონის ანალოგიაზე და სზაკ-ის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დეფინიციის - “გადაუდებელი შემთხვევის” გამოყენებაზე.

თუმცა არც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული ნორმა გამოიჩნევა სრულყოფილებით და კარგი იქნება თუ განიმარტება ტერმინები “დაუყოვნებლივი აღსრულება” და “გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა”, დადგენილი იქნება ადმინისტრაციული აქტის დაუყოვნებელი აღსრულების საფუძვლები და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 26 მარტის 13გ/ად-12-კ-ს-03-ი და 2003 წლის 27 მარტის 13გ/ად-5-კ-ს-03-ი განჩინებებით სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებელი ადმინისტრაციული აქტის არც გამოცემისას და არც მოგვიანებით არ მიუღია წერილობითი დასაბუთება მისი დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, მასზე უნდა გავრცელდეს სასკ-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” პუნქტი. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2003 წელი 15, გვ.1150-1152, 1182-1184). გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ დასაბუთებული იქნა ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობით.

ვერ დავეთანხმებით ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) პუნქტის შესაბამისად, ცალსახად აუცილებელია ერთდროულად ორივე პირობის არსებობა: ადმინისტრაციული აქტის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა და ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ. ნორმის იმპერატიული ხასიათი არ იძლევა მისი სხვაგვარი განმარტების საშუალებას. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს მიანჩნია რომ ადმინისტრაციული აქტი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მან ამის თაობაზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება შეიცავდეს ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

ე) 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ე” პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურ რეჟიმში სარცელის მიღებით არ ჩერდება თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკვე აღსრულებულია შეუძლებელიც არის მისი მოქმედების შეჩერება, ასეთ შემთხვევაში დარღვეული უფლების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებით. ასევე, ავტომატურ რეჟიმში არ შეჩერდება ინდივიდუალური აღჭურველი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის უფლებას ან ინტერესს.

ყოველი ცალკეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, რადგან კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტულად რა შეიძლება ჩაითავლოს მნიშვნელოვან ზიანად. როგორც წესი, სასამართლო აფასებს თუ რამდენად გამოსწორებადია ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიაყენოს მხარეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებამ და შესაბამისად, რამდენად აუცილებელია ამ აქტის შეჩერება.

ვ) 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ვ” პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული აქტის

მოქმედება ავტომატურ რეჟიმში არ ჩერდება თუ ეს გათვალისწინებულია კანონით.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევები პირდაპირ კანონით არის დადგენილი.

მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონის “საარჩევნო კოდექსის” 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის სასამართლოში შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას ავტომატურად.

“საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების შემთხვევაში, დაუშვებელია ამ აქტის მოქმედების შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ ეროვნული ბანკი არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს და სასამართლო საერთოდ არ არის უფლებამოსილი დაადგინოს მისი მოქმედების შეჩერება.

“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მე-18 , 33-ე მუხლების შესაბამისად, ზოგიერთი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ლიცენზიის (ნებართვის) გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება არ შეჩერდება (ავტომატურად), თუ ლიცენზიის (ნებართვის) გამცემი ან საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ანდა სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას. გამონაკლისია საქმიანობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ნავთობისა და გაზის ოპერაციები, ნავთობის გადამამუშავება, გაზის

დამუშავება, ნავთობის, გაზის ან/და ნავთობგაზ პროდუქტების ტრანსპორტირება, რომელსაც 'ნავთობისა და გაზის შესახებ', საქართველოს კანონის შესაბამისად არეგულირებს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, საქმიანობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუაშაფლო საქმიანობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, აუდიტორული საქმიანობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

მაგალითად, თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას სააფთიაქო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე, სარჩელის სასამართლოში წარდგენა არ აჩერებს მის მოქმედებას ავტომატურად. მაგარამ, თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) გადაწყვეტილებას სარჩელის სასამართლოში წარდგენა ავტომატურად შეაჩერებს მის მოქმედებას.

3. 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

კანონის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა და შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის მოქმედება იმ შემთხვევაში თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

მაგალითად, თუ აშკარაა რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოიცა არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სასამართლო უფლებამოსილია მისი მოქმედების შეჩერება დაასაბუთოს იმ გარემოებით, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნაცვლად ადმინისტრაციული

აქტი ერთპიროვნულად გამოსცა ამ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელმა.

ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების თვითოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნათელი უნდა იყოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. მხარის მოთხოვნა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეჩერების თაობაზე უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტორზე გარემოებებზე, რომელთა გამოც მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მას ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას, აგრეთვე ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე ეჭვის დასაბუთებას.

4. ვფიქრობთ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადმინისტრაციული სამართლის სფეროში 1999 წელს განხორციელებული რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის ეს ღონისძიება არ უკავშირდება არც მხარის ნებას და არც სასამართლოს გადაწყვეტილებას. 2005 წლის 24 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით და კერძოდ, კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციით მხარის მოთხოვნით, სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით, კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ასეთი საკანონმდებლო ცვლილება ფაქტიურად აუქმებს 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასამართლოში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონისმიერი, სუსპენსიური შეჩერების ეფექტს.

29-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებით ავტომატურად შეჩერდება იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მხარე უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამ შეჩერების გაუქმების მოთხოვნით. სარჩელის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული შუამდგომლობა და მიიღოს გადაწყვეტილება შეჩერების გაუქმების თაობაზე. ანუ, სასამართლო უფლებამოსილია კანონით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სუსპენზიური შეჩერება გააუქმოს თავის გადაწყვეტილებით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმის შემოღებას არ ვეთანხმებით, მიგვაჩნია, რომ სასამართლოები უარს ვერ განაცხადებენ მის გამოყენებაზე და მისი გამოყენების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმებისას ნათელი უნდა იყოს მისი აუცილებლობა. მხარის მოთხოვნა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების გაუქმების თაობაზე უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა გამოც მისი აღსრულების შეჩერება არსებით ზიანს მიაყენებს მას ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც. როგორც წესი სარჩელის ჩამოყალიბება და სასამართლოში მისი წარდგენა დაკავშირებულია გარკვეულ მოსამზადებელ პერიოდთან, დროსთან. უკანონო ადმინისტრაციული აქტის მოქმედებით გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით კანონმა მხარეს მიანიჭა უფლება იშუამდგომლოს ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე სარჩელის სასამართლოში აღძვრამდეც. კოდექსის 29-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ამ საკითხზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს 3 დღის ვადაში და გადაწყვეტილების ასლს 1 დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

6. თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანის დღესვე, მოპასუხის შეუტყობინებლად.

29-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის განხილვის სხვა ვადას. კერძოდ, ამ ნორმის შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებას ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს. ამასთან, ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, თუ რომელი სასამართლო არის უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის ეს ღონისძიება. ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

7. 29-ე მუხლის მე-7 ნაწილის თაობაზე კომენტარი ნაწილობრივ მოცემულია ამ მუხლის მე-2 ნაწილის “ე” პუნქტში. თუმცა ამ კონკრეტულ

ღონისძიების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოიყენება სასამართლოს მიერ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების შექმნევაში.

კერძოდ, თუ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების ღონისძიების გამოყენების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო აღასრულებს შეჩერებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან შუამდგომლობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

8. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ. ამ ნორმის შესაბამიად დასაშვებია უკვე ერთხელ მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა და გაუქმება. ამისათვის უნდა არსებობდეს ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამ ტერმინის განმარტება მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში და ვფიქრობთ, რომ ეს განმარტება გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმების ან შეცვლის საკითხი თუ: აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

9. 29-ე მუხლის მე-9 ნაწილით განისაზღვრა, რომ გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. მიუხედავად კანონში ასეთი ჩანაწერის არარსებობისა სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევა ამგვარ საჩივარს. თუმცა მეტად აქტუალური და დროულია

კანონში ამ ცვლილების შეტანა და საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება. ამასთან, კანონი არაფერს ამბობს გასაჩივრების ვადებზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან. ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სხვაგვარად განსაზღვრავს კერძო საჩივრის შეტანის ვადასა და წესს. კერძოდ, 416-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. ხოლო თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. ვფიქრობთ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინების გასაჩივრებისათვის 12 დღიანი ვადის გაგრძელება არ იქნება ადეკვატური და შესაბამისი ამ დონისძიების მნიშვნელობისა. კარგი იქნება თუ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს ამ ვადას, თუ არა და სამართლის ანალოგიის გამოყენებით ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ 5 დღიან ვადას.

მუხლი 30. განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს:

ა) მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას;

ბ) სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში. (24.06.2005. N1800)

სასამართლო არ არის ვადლებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების განჩინებაში განსაზღვროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების ვადა, რადგან ეს საკითხები სრულყოფილად მოწესრიგდა კოდექსის 30-ე მუხლის ახალი რედაქციით. აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილებაზე იმის

და მიუხედავად მიღებულია იგი სასამართლოში აღძრულ სარჩელზე, თუ სარჩელის აღძვრამდე კანონის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება ძალაშია მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე. (საქმის წარმოების შეწყვეტა, განუხილველად დატოვება). თუ სასამართლომ შეაჩერა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება სარჩელის აღძვრამდე და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარემ არ წარმოადგინა სარჩელი, სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას დაკარგავს, რადგან ამ დროიდან მოცემულ საკითხზე საქმის წარმოება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

მუხლი 30¹. განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

2. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

3. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. (24.06.2005. N1800)

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონს დაემატა ახალი 30¹ მუხლი, რომლითაც განისაზღვრა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საკითხები. აქამდე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში საერთოდ არ აწესრიგებდა ამ საკითხს და ეს სერიოზულ საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენდა.

კოდექსის 30¹ მუხლით ცალსახად დადგენილია სასამართლოს უფლება შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საერთო სასამართლოს უფლება აქვს შეამოწმოს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნებისმიერი ნორმატიული

აქტის კანონთან შესაბამისობა და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების შემთხვევაში უფლებამოსილია შეაჩეროს მისი მოქმედება საქმის განხილვამდე. შეჩერების საკითხის განხილვა ხდება მხოლოდ მხარის შუამდგომლობით. სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით განიხილოს და გადაწყვიტოს ეს საკითხი. მხარის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა არსებობდეს ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების გადაუდებელი აუცილებლობა. მიუხედავად კანონში ასეთი ჩანაწერის არ არსებობისა, ვფიქრობთ, ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის განხილვის დროს სასამართლომ ფაქტიურად ამ ეტაპზე წინასწარ უნდა შეაფასოს მხარის შანსები საქმის შესაძლო მოგების თაობაზე და ისე მიიღოს გადაწყვეტილება დავის საგნის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 თებერვლის 13გ/ ად-71-კ-ს-01-ი განჩინება, რომლითაც განიმარტა, რომ ნორმატიული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და შესაბამისად, მისი სოციალური დატვირთვაც უფრო დიდია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის სახით ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ნათელი უნდა იყოს ამ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი ნორმატიული აქტის კანონიერების თაობაზე ან უზრუნველყოფის გამოყენებლობა არსებით ზიანს უნდა აყენებდეს მხარეს ან შეუძლებელს ხდიდეს მისი კანონიერი უფლებების დაცვას ან გადაწყვეტილების აღსრულებას. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2002 წელი 13, გვ. 390-395)

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების და მისი მოქმედების შეჩერების ასეთი ფართო იურისდიქცია არ გააჩნიათ გერმანიის სასამართლოებს. კერძოდ, გერმანული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, მხოლოდ მშენებლობის კოდექსის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მიწების (ლანდების) კანონებით დადგენილი სამართლის სხვა ნორმატიული აქტები, თუ ასეთი პირდაპირ გათვალისწინებულია მიწის კანონმდებლობით. ანუ მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების გარდა სხვა ნორმატიული აქტების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ამგვარი შეზღუდვა

ფვიქრობთ, გამართლებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება სასამართლო იქცეს აღმასრულებელი ხელისუფლების ზემდგომ, მაკონტროლებელ ორგანოდ. საქართველოს საერთო სასამართლოს ფაქტიურად გააჩნია ამგვარი ფართო იურისდიქცია, რადგან იგი უფლებამოსილია გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნებისმიერი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობა და შეაჩეროს ე.ი. გადადოს მისი აღსრულება. კონტროლის ასეთი მექანიზმი მმართველობის სფეროში საკმაოდ დიდი ქაოსისა და ამ ხელისუფლების უუნარობის გამოქვეყნის მიზეზი შეიძლება გახდეს. ჩვენი აზრით, კანონებით უნდა განისაზღვროს ის პრიორიტეტული სფეროები და საკითხები, რომელთანაც დაკავშირებით მიღებული ნორმატიული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოში და შეჩერდეს ამისათვის სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

2. კანონი მხარეს აძლევს უფლებას მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას.

აღნიშნული საკითხის განმარტება ფაქტიურად მოცემულია კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის კომენტარში.

3. ისე, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების განჩინებაზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების განჩინებაზეც კოდექსის 30¹ მუხლის მე-3 ნაწილი დაიშვება კერძო საჩივარი. აღნიშნული საკითხის განმარტება ფაქტიურად მოცემულია კოდექსის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილის კომენტარში.

მუხლი 31. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ

1. განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგებისათვის, თუ ეს მონესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის

შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

2. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო. (24.06.2005. 1800)

I. ზოგადი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას საჯარო ხელისუფლებასთან მიმართებაში მისი უფლების ეფექტიან დაცვაზე. ეფექტიანი მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო **რეპრესიულ** დაცვას, ანუ დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ **დროებით** დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებამდე საჯარო ხელისუფლებამ არ დააყენოს პირი რეალური ფაქტების წინაშე. უფლების დროებითი დაცვა ასევე გულისხმობს უფლების **პრევენციულ** დაცვას, ანუ მოსალოდნელი ღონისძიებების შედეგების თავიდან აცილებას.

სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ემსახურება ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას. 29-ე მუხლში განსაზღვრული სარჩელის სუსპენსიური ეფექტი სწორედ უფლების დროებით დაცვას ემსახურება, რომლის მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა ეს მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც დავის საგანია უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო როდესაც საქმე ეხება მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან მოქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას – და აქედან გამომდინარე პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პირის უფლების პრევენციული დაცვის მექანიზმი, რომელიც ჩაიდო სასკ-ის 31-ე მუხლში. აღნიშნული მუხლი მხარეს აძლევს შესაძლებლობას სარჩელის აღძვრამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინება გამოიყენება ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს

მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან სხვა საფუძვლების გამო. ორივე შემთხვევაში დროებითი განჩინების მიზანი ერთია - დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისეთი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს მიზნის მიღწევის საშუალებებში - პირველ შემთხვევაში სასამართლოს დროებითი განჩინების მიზანია შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა დაინტერესებული პირის უფლებების დაცვის მიზნით (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება), ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება არსებული მდგომარეობის შეცვლა დაინტერესებული პირის უფლებების დაცვის მიზნით (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის II წინადადება).

სასკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება უფლების დროებითი დაცვა კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, ანუ როდესაც ჯერ კიდევ შეუძლებელია ამკრძალავი (შემზღუდველი) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანა სასამართლოში.

სასკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინების ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებლებია შემდეგი:

- მაშინ როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით საჩივრის ან სარჩელის მიღება ავტომატურად აჩერებს ამ აქტის მოქმედებას, დროებითი განჩინების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. დროებით განჩინებას სასამართლო იღებს დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე.

- სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით დადგენილ უფლების დროებითი დაცვის საშუალებებს ის საერთო აქვთ, რომ ორივე შემთხვევაში შესაძლებელი ხდება არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, რომლის მიზანია დაიცვას პირი მმართველობის დონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე.

- სასკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლების დაცვის საშუალებას შეუძლია უფრო მეტი ვიდრე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება შესაძლებელია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის ანუ მას შეუძლია არსებული მდგომარეობის შეცვლა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსალოდნელი გადაწყვეტილების თავიდან აცილების მიზნით, როცა ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

II. დასაშვებობა

სასკ-ის 31-ე მუხლის საფუძველზე სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ განცხადების საფუძველზე. პროცესუალური თვალსაზრისით ის წარმოადგენს დამოუკიდებელ პროცესუალურ მოქმედებას. აქედან გამომდინარე აუცილებელია სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება მართლმსაჯულების პრაქტიკაში დამკვიდრებული სქემის მიხედვით, მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებით.

1. განსჯადობა. სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა, ანუ უნდა დადგინდეს შედის თუ არა საქმის განხილვა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში. ამის შემდეგ ვარკვევთ სასამართლოს საგნობრივ და ტერიტორიულ განსჯადობას სასკ-ის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე. განსჯადობის საკითხს აწესრიგებს ასევე სასკ-ის 31-ე მუხლის II ნაწილი, რომლის თანახმადაც დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო. იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით სასამართლოში შემოდის სარჩელის აღძვრამდე, უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ის სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს სადავო საკითხი. განცხადების არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

2. სარჩელის სახე. დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით შემოსული სასარჩელო განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას მოწმდება სადავო საქმეზე დასაშვები სარჩელის სახე. მნიშვნელოვანია იმის დადგენა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია თუ არა უფლების დაცვა სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე. თუ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ამ შემთხვევაში დაუშვებელია უფლების დაცვის იმ სამართლებრივი საშუალების გამოყენება, რომელიც გათვალისწინებულია სასკ-ის 31-ე მუხლით. თუ დავის საგანია უკვე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მისგან თავის დასაცავად დროებითი განჩინების მიღება არ არის საჭირო, რამდენადაც სარჩელი სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე აჩერებს ამ აქტის მოქმედებას. დაინტერესებული მხარის უფლება მოითხოვოს დროებითი განჩინების მიღება, გამომდინარეობს მისი უფლებებიდან აღძრას სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ქმედების განხორციელების მოთხოვნით ან აღძრას აღიარებითი სარჩელი. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლებების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად.

მას შემდეგ რაც გაირკვევა სასარჩელო განცხადების დასაშვებობა, უცილებელია სასკ-ის 31-ე მუხლის ტექსტის თანახმად და იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს აქ არის მოცემული გაირკვეს, თუ რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს: სურს მას დროებითი განჩინების მიღებით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება) თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის II წინადადება).

განცხადების დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობა არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოქმედების განხორციელება, დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნა დაიშვება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უმოქმედობის შემთხვევაშიც. აუცილებელია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანა. ადმინისტრაციულ ორგანოში მოთხოვნის დაყენების (განცხადების შეტანის) შემდეგ იხსნება გზა სასამართლოსკენ. დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნის უფლების წარმოშობის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს ასევე დავის საგანზე სასამართლოში სარჩელის აღძვრა.

3. სარჩელის აღძვრის უფლების შემოწმება. სარჩელი დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით არის დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის საპროცესო საშუალება. ამ საშუალებით შეუძლია ისარგებლოს პირმა, ვისაც სურს სუბიექტური უფლების სასამართლოს მეშვეობით დაცვა. დაუშვებელია სარჩელის შეტანა სხვისი უფლებების დასაცავად. მოსარჩელეს უნდა შეეძლოს საკუთარი უფლების მითითება, რომელიც დარღვეულია ან რომელსაც ემუქრება ხელყოფა; სარჩელის აღძვრამდე დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებაში ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი ის საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებს. როდესაც მოსარჩელის მიზანია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება, მან ნათლად უნდა წარმოაჩინოს, რომ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

4. უფლებადამცავი ინტერესის არსებობის შემოწმება. სარჩელის აღძვრის უფლების შემოწმებასთან ერთად უნდა შემოწმდეს დროებითი განჩინების მიმართ მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესი. განცხადებით მოთხოვნილი დროებითი განჩინება უნდა იყოს აუცილებელი საშუალება მოსარჩელის

უფლების დროებითი დაცვისათვის. ასეთ აუცილებლობასთან არა გვაქვს საქმე, როდესაც მოსარჩელეს სხვა უფრო იოლი გზით შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა ან როდესაც სარჩელის უშედეგობა ან მისი განზრახ არამიზნობრივი გამოყენება აშკარაა.

მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესი არ არის, როდესაც მოსარჩელის მიერ დასმული საკითხი ჯერ არ გამხდარა ადმინისტრაციული ორგანოს განსჯის საგანი (მაგ. პირი ითხოვს მისი უფლების დროებით დაცვას მოსალოდნელი პრივატიზაციის თავიდან ასაცილებლად. სინამდვილეში ამ შენობის პრივატიზება ჯერ კიდევ არ გამხდარა ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგანი. პირის ვარაუდი მოსალოდნელ საფრთხეზე არ არის საკმარისი. საფრთხე უნდა იყოს რეალური).

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში მისი უფლებადამცავი ინტერესი არ არსებობს, როდესაც ის უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით მოაწესრიგოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა და შესაბამისად, თავიდან აიცილოს ეს მოსალოდნელი საშიშროება (მაგ., ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დროებითი განჩინებით აკრძალოს ხელფასით უკმაყოფილო სკოლის მასწავლებლების მოსალოდნელი გაფიცვები. ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად უნდა მოაწესრიგოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა.)

უფლებადამცავი ინტერესის გამომრიცხავი გარემოება შეიძლება იყოს ასევე დასახული მიზნის მიუღწევლობა, როდესაც სადავო საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან როდესაც შეუძლებელია არსებული მდგომარეობის დროებითი განჩინების მიღების გზით შეცვლა ან კიდევ, როდესაც არსებული მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია დროებითი განჩინების მიღების გარეშე ნებისმიერ დროს.

უფლებადამცავი ინტერესის გამომრიცხავი გარემოების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს თვით განმცხადებლის ქცევა. როდესაც განმცხადებელი საკუთარი მოქმედებით (უმოქმედობით) ჩაიყენებს თავს წამგებიან მდგომარეობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენების საპროცესო ვადების დაუცველობაში, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მტკიცებულებების წარმოდგენლობაში ან წარმოების პროცესში მონაწილეობისაგან თავის არიდებაში.

5. განცხადების ფორმა და შინაარსი, განცხადების მიღება. სასამართლოს დროებითი განჩინების მიღების საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ უფლებამოსილ სასამართლოში წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება, რომელიც უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ განცხადება აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მაშინ სასამართლო

გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღების შესახებ, ხოლო როდესაც სარჩელი არაა შედგენილი სსსკ-ის 178-ე და 179-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შევსების შესახებ და მოსარჩელეს აძლევს ვადას მის შესავსებად. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს სსსკ-ის 186-ე მუხლის რომელიმე პუნქტი.

დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით სასამართლოში შეტანილი განცხადების მიღებისა და განხილვის ვადების მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული წესები; სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ხუთდღიანი ვადა, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 183-ე მუხლით, ასევე განმწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 26-ე მუხლით და ემსახურება სარჩელის დასაშვებობის საკითხის გარკვევას, არ გამოიყენება დროებითი განჩინების დასაშვებობის დადგენის შემთხვევაში. განცხადებას დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ გადაწყვეტს დავის საგანთან დაკავშირებით სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანის დღესვე, მოპასუხის შეუტყობინებლად. ამ შემთხვევაში ანალოგიურად გამოიყენება სსსკ-ის 193-ე მუხლი.

III. დასაბუთებულობა

დროებითი განჩინების გამოცემასთან დაკავშირებით შემოსული განცხადების დასაშვებობის შემოწმების შემდეგ სასამართლო ამოწმებს განცხადების დასაბუთებულობას ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე.

განცხადება დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით არის დასაბუთებული, ანუ სასამართლო დააკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას, როდესაც დადგინდება, რომ არსებობს რეალური საფრთხე, არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლებების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. ე.ი. დროებითი განჩინება არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად გამოიცემა, როდესაც საქმე ეხება არსებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას. მაგ., შენობის პრივატიზაციის აკრძალვა, კონკურსში გამარჯვებულის სამსახურში დანიშვნის აკრძალვა, სკოლის დახურვის აკრძალვა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე და ა.შ.

მაგ. დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შენობის პრივატიზაციის გზით გასხვისების შემთხვევაში შეიზღუდება მისი სუბიექტური უფლება, შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს დროებითი განჩინებით მოსალოდნელი პრივატიზაციის შეჩერება, რამდენადაც სადავო საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ადმინისტრაციული ორგანო მას დააყენებს ფაქტის წინაშე და სასამართლოს

გადაწყვეტილება აზრს დაკარგავს ან მისი აღსრულება გართულდება.

განცხადება დროებითი განჩინების სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების მიზნით გამოცემის მოთხოვნით ასევე არის დასაბუთებული, ანუ სასამართლო მიიღებს დროებით განჩინებას, თუ დადგინდება, რომ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგ., აუქციონში, კონკურსში, მისაღებ გამოცდებზე, ლექციებზე დაშვება, ფულადი დახმარების (პენსია, სტიპენდია) გაცემა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მაგ., მოქალაქეს, რომელიც არ დაუშვებს აუქციონზე შეეძინა მისთვის სასურველი შენობა შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს დროებითი განჩინებით აუქციონზე დაშვება, რამდენადაც სადავო საკითხზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუქციონი უკვე ჩატარდება და სასამართლოს გადაწყვეტილებაც აზრს კარგავს.

IV. განჩინება დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ

დაინტერესებული მხარის განცხადების დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ, რომელიც უნდა პასუხობდეს განჩინებისათვის სსსკ-ის 285-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. დროებითი განჩინების გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც ვერ შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

განცხადების საფუძველზე სასამართლო მიერ სარჩელის აღძვრამდე დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების მიღების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას მის მიერ მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ.

V. სასამართლოს დროებითი განჩინებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თუ სასამართლო მიერ მიღებული დროებითი განჩინება გაუმართლებელი გამოდგება, იმის გამო რომ დავის საგანთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა და დადასტურდება, რომ თავიდანვე არ ჰქონდა მას ამის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მაშინ მხარე რომლის მოთხოვნის საფუძველზეც გამოიცა დროებითი განჩინება, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას

მიადგა დროებითი განჩინების გამოცემის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია განსხვავება უფლების დროებითი დაცვის იმ საშუალებებს შორის, რომელიც განსაზღვრულია სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით. დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნა შეიცავს გარკვეულ რისკს, რაც არ ახასიათებს სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრულ უფლების დაცვის დროებით საშუალებას სარჩელის სუსპენსიური ეფექტის სახით.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება შესაძლებელია დავის საგანთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ზიანის ანაზღაურების საკითხს წყვეტს საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მუხლი 32. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი

ინტერესი. (24.06.2005. 1800)

5. სასამართლოს გადაწყვეტილებას ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

6. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი.

1. ეს მუხლი აწესრიგებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხებს კოდექსის 22-ე მუხლით აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით. სასამართლო ამოწმებს როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობას და თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგაოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი ბათილად ცნობის შესახებ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის კონკრეტულ საფუძვლებს განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამოცემა ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

კოდექსის 32-ე მუხლის და მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის “ა” პუნქტის შესაბამისად, სასამართლო დავის სასამართლოს საგანია ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

რაც შეეხება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ამის უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს და არა სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზანია სასამართლო კონტროლის განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერებაზე, რაც გამორიცხავს მართლზომიერი ადმინისტრაციული აქტის სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და ეს მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს სასარჩელო დავის საგანს სასამართლოში. დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (სასკ-ს 23-ე მუხლი) და სარჩელი შეიძლება აღიძრას მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. კერძოდ, თუ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები და ადმინისტრაციული ორგანო არ იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, სასამართლო უფლებამოსილია დაავალოს მას ასეთი აქტის გამოცემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, დაუშვებელია სასამართლოში აღიძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის მოთხოვნით. სწორი იქნება თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 32-ე მუხლების სათაურებიდან ამოღებულ იქნება სიტყვები „ან ძალადაკარგულად გამოცხადების“.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გათვალისწინებულია სასკ-ს 32-ე მუხლის მე-5 ნაწილით, როდესაც დავის საგანია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და სასარჩელო მოთხოვნაა მისი ბათილად ცნობა. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია (და არა ვალდებული) ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული საქმის სასამართლოში განხილვის ნებისმიერ სტადიაზე

მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების გაუქმება. სასამართლო ვადლებულია განიხილოს ასეთი შუამდგომლობა როგორც საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, ისე საქმეზე მოსამზადებელი სტადიის დამთავრების შემდეგაც, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ნიშნავს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, მაგრამ მხოლოდ ამ ნორმის არსებობა საკმარისი არ არის ამ უფლების რეალიზაციისათვის. როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ არის შეჩერებული, იგი აგრძელებს თავის მოქმედებას და როგორც წესი ხდება მისი აღსრულება. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა არ არის საკმარისი ამ აღსრულების იძულებითი გაუქმებისათვის და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის.

მაგალითად, თუ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ მოახდინა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული თანხების მოსარჩელისაგან იძულების საშუალებებით ამოღება, მოსარჩელემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობასთან ერთად უნდა იშუამდგომლოს გადახდილი თანხების მისთვის დაბრუნების თაობაზე. ასეთი მოთხოვნა არ წარმოადგენს სარჩელის გაზრდას, შესაბამისად, მას არ სჭირდება ახალი სარჩელის წარდგენა, მოპასუხის თანხმობა განხილვაზე და იგი განიხილება წარმოებაში მიღებულ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად.

3. მას შემდეგ, რაც სასამართლოში აღიძვრება სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი მიიღოს და განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182- მუხლის 1-ლი ნაწილის ბ პუნქტი). სარჩელის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კრძალავს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის რომელიმე სხვა სასამართლოს ან ორგანოს მიერ განხილვას. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. მიუხედავად ამისა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალურ,

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ბათილად გამოაცხადებს მისი გამოცემა ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, განიხილოს სარჩელი და ბათილად ცნოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი. კერძოდ, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში საქმის დასრულებამდე ბათილად ცნობის მიუხედავად, სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით.

მხარის კანონიერი ინტერესი არსებობს თუ სასამართლო დაადგენს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და მისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად გამოცხადება არ არის საკმარისი მხარის დარღვეული უფლების აღსადგენად და თუ ამისათვის აუცილებელია უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი ყველა შედეგის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმება.

ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების და არა მისი ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილი იყო მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ეცნო ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმის არსებობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან და არ ნიშნავს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება დააკმაყოფილება მხარის ინტერესს და იგი აღარ მოითხოვდა ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის გ) პუნქტის საფუძველზე სასამართლო შეწყვეტდა საქმის წარმოებას. თუ მხარე უარს არ იტყოდა სარჩელზე და იშუამდგომლებდა საქმის განხილვის გაგრძელებაზე, სასამართლო განიხილავდა საქმეს და მხარის კანონიერი ინტერესის არსებობის შემთხვევაში ბათილად სცნობდა გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ვფიქრობთ, სამართლებრივი დაცვის ამ მექანიზმის გაუქმება უბრალოდ შეცდომაა და იგი უნდა გასწორეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების კანონში შეტანით.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია

სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი, სასამართლო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად სცნობს ასეთ ადმინისტრაციულ აქტს თუ აშკარაა, რომ კანონის ამ დარღვევის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკითხის გადაწყვეტლად ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის დროს სასამართლო არ იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლით მინიჭებულ უფლებას საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამ ნორმის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

თუ რამდენად წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა მხარის გადაუდებელი ინტერესს, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტია. ეს ის შემთხვევებია, როდესაც საქმის განხილვის გაჭიანურებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მხარეს და შეუძლებელი გახადოს დარღვეული უფლების აღდგენა. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება კონკრეტული ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოსცეს ისეთივე ან განსხვავებული ადმინისტრაციული აქტი.

სასამართლოები იშვიათად იყენებენ ასკ-ს 32-ე მუხლის მე-4 მუხლს. ვვიქრობთ, კარგი იქნება თუ დამკვიდრდება ამ ნორმის გამოყენება ყველა

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ გამოიკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და გარემოებებს და მხარე დაასაბუთებს ასეთი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელ კანონიერ ინტერესს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ გამოიყენა სას.კ-ს 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 2002 წლის 5 აგვისტოს¹ ჰგ-ათ-281-კ-02 გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად სცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის² 91/2002 და № 103/2002 განკარგულებები, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაავალა გონივრულ ვადაში საქმის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

(საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2002 წ.¹ №რ გვ 1532) .

5. თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად. ეს ის ერთად ერთი შემთხვევაა, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია არამართლზომიერი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

მაგალითად, თუ გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს გამგეობის გადაწყვეტილებას ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც მოქმედებდა გარკვეული დროის განმავლობაში და სასამართლო დაადგენს, რომ ეს ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ის ბათილად უნდა გამოცხადდეს და მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი ყველა სამართლებრივი შედეგი უნდა გაუქმდეს. ბუნებრივია, ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სას.კ-ს 32-ე მუხლის მე-5 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება და გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად ძალადაკარგულად გამოაცხადოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო კი არ სცნობს ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტს ძალადაკარგულად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით, არამედ ადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი კანონსაწინააღმდეგოა და არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ ნაცვლად ამისა იყენებს მისი ძალადაკარგულად გამოცხადების

უფლებას. ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს არ ხდება კონკრეტული მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ან უფლების დაცვა, რადგან არ ხდება კანონსაწინააღმდეგო ნორმატიული აქტის ბათილად ცნობა და შესაბამისად, არ ხდება ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. ამიტომ, სასამართლოები ამ ნორმას უნდა იყენებდნენ მხოლოდ თუ აშკარაა, რომ გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას. სხვა შემთხვევებში სასამართლომ არამართლზომიერი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა ცნოს.

6. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესარულება სავალდებულოა ყველასათვის და არა მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. ეს გასაგებია, რადგან დავის საგანია სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. კანონი არაფერს ამბობს სასამართლოს იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რომლითაც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცხადდება ძალადაკარგულად. ვფიქრობთ, სას.კ-ს 32-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესი უნდა გავრცელდეს ასეთ გადაწყვეტილებაზეც.

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება "საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში", შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს ამ ჟურნალში.

მუხლი 33. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

2. სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მიერ გამოტანილ ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი. (24.06.2005. N1800)

I. ზოგადი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის საკითხს აწესრიგებს სასკ-ის 23-ე მუხლი, ხოლო მისი დასაბუთებულობის დადგენის საფუძველია სასკ-ის 33-ე მუხლი.

სასკ-ის 33-ე მუხლის თანახმად სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით არის დასაბუთებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერებისა თუ უკანონობის დადგენისას უნდა შემოწმდეს:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და

2. ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური უფლებამოსილება;

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები, არამედ აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემაზე უარი ან მისი გამოცემის ვადის დარღვევა არის უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქვს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება ან ინტერესი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობის დადგენის შემთხვევაში ფაქტობრივად დადგენილია მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფის ფაქტი, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულების, ასევე მოსარჩელის სუბიექტური უფლების წარმოშობის საფუძველი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევა კი აუცილებლად არ იწვევს პირის სუბიექტური უფლების ხელყოფას და ამდენად, ის განსაკუთრებულ შემოწმებას საჭიროებს.

II. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების შემოწმებისას მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება. არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე არის უკანონო, მაგრამ ეს სარჩელს არ ხდის დასაბუთებულს, რამდენადაც სასამართლოს შეუძლია გააუქმოს არაუფლებამოსილი ორგანოს უარი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), მაგრამ არ შეუძლია დაავალოს მას (არაუფლებამოსილ ორგანოს) გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. როდესაც დაინტერესებულ პირს განცხადება შეაქვს არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და ეს უკანასკნელი არ გამოსცემს მოთხოვნილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ის აქტის არგამოცემით არ არღვევს კანონს. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ ის არღვევს მის მიმართ სზაკ-ის 85-ე მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობას და სზაკ-ის მე-80 მუხლით დადგენილ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის ვალდებულებას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ აქტის გამოცემაზე უარის ან უმოქმედობის სუბიექტი იყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

III. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი

მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის არსებობას ვადგენთ მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე. კანონიერი უფლებისა და ინტერესის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

მარტივია მოსარჩელის კანონიერი უფლების დადგენა, როდესაც კანონი ზუსტად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის (უფლების წარმოშობის) სამართლებრივ საფუძვლებს და პირი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ამ მოთხოვნებს. მაგ., კანონი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, სადაც მოცემულია საპენსიო დახმარების მიღების წინაპირობები.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე უფრო მეტად დაკავშირებულია ნებართვების მოპოვებასთან, რომელიც გამოიცემა ადრესატის განცხადების საფუძველზე და ახდენს კონკრეტული საკანონმდებლო აკრძალვის მოხსნასა და კონკრეტულ საქმიანობაზე უფლებამოსილების დადგენას. ტრადიციულად ხდება ნებართვის გაცემის შესაძლებლობის დადგენის ორი ფორმის გამოყოფა:

- პრევენციული აკრძალვა ნებართვის გაცემის შესაძლებლობით და
- რეპრესიული აკრძალვა, აკრძალვის მოხსნის შესაძლებლობით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების წარმოება საჭიროებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას. სამშენებლო საქმიანობის პრევენციული აკრძალვის მიზანია, არა კონკრეტული მოქმედების, მშენებლობის აკრძალვა, არამედ ის აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს პრევენციული შემოწმების საშუალებას: ხომ არ ეწინააღმდეგება განზრახული მოქმედება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. მაგ., განზრახული მშენებლობა კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე ხომ არ ეწინააღმდეგება ქალაქმშენებლობის გეგმას ან მეზობლის ინტერესებს და სხვა სამშენებლო-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მშენებლობის უფლება, ეს არის ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. მშენებლობის უფლების რეალიზაციის შეზღუდვა, მასზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან წინასწარი ნებართვის გაცემის აუცილებლობის დადგენით, მიზნად ისახავს არა ამ უფლების შეზღუდვას, არამედ ახდენს ამ უფლების რეალიზაციის პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას. პრევენციული აკრძალვის მასობრივი გამოყენება აიხსნება იმ უბრალო მიზეზით, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი თანამედროვე ტექნიკიდან გამომდინარე საშიშროების თავიდან აცილება. ბუნებისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციაში შესვლამდე მასზე ნებართვის აუცილებლობა ანუ მისი ექსპლუატაციის აკრძალვა მასზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობით იძლევა ეფექტიანი კონტროლის საშუალებას.

ამის საწინააღმდეგოდ, რეპრესიული აკრძალვის მიზანია კონკრეტული მოქმედების (საქმიანობის) აკრძალვა და მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ შეიძლება მასზე განსაკუთრებული ნებართვის გაცემა. ასეთ რეპრესიულ აკრძალვასთან გვაქვს საქმე, როდესაც

აკრძალულია გარკვეული სახეობის საბრძოლო იარაღების დამზადება და შესაძლებელია, გამონაკლისის სახით გაიცეს ნებართვა ასეთი იარაღების დამზადებაზე.

როგორც ვხედავთ, ნებართვის მოპოვების პროცესში შეუძლებელია ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მოსარჩელის კანონიერი უფლების დადგენა.

IV. შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების საკითხს. თუ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ეს ზღუდავს სასამართლოს მხრიდან მისი გადაამოწმების შესაძლებლობებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა ანუ მისი დისკრეციის განხორციელების მართლზომიერება. ყოველივე ეს არ იწვევს სარჩელის დაუსაბუთებლობას, არამედ მოსარჩელეს აქვს უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენება. სასამართლოს აქვს შესაძლებლობა გადაამოწმოს არის თუ არა სახეზე შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

1. დისკრეციული უფლებამოსილების ცნება და არსი

აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალგამოყენებითი, ნორმათშეფარდებითი საქმიანობა. მმართველობის ორგანოების კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ფარგლებს ქმნის ის ნორმატიული აქტი, რომლის აღსრულებასაც ეს ქმედება ისახავს მიზნათ. სამართლის ნორმის სტრუქტურაც ამ პრინციპით არის აგებული. სამართლის ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან: ნორმის ამოქმედების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები.

სამართლის შეფარდება მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- ფაქტის დადგენა: რა მოხდა ფაქტიურად, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

- სამართლის სათანადო ნორმის მოძიება; ფაქტობრივი შემადგენლობის გარკვევა, რაც გულისხმობს რეალობის მოვლენის ნორმატიულ აღწერას, რომელსაც უკავშირდება იურიდიული შედეგის დადგენა;

- იმის დადგენა შეესაბამება თუ არა ფაქტი ფაქტობრივ შემადგენლობას;

- სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას რჩება შესაძლებლობა აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს ადჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები, იმდენად რამდენადაც ორ ან რამოდენიმე შესაძლო სამართლებრივ შედეგს ადგენს და აძლევს შესაძლებლობას აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება, ან კიდევ მისაღები ღონისძიებებიდან რომელი ღონისძიება გამოიყენოს. მაგ.: პოლიცია უფლებამოსილია დაშალოს უნებართვო დემონსტრაცია. ეს უფლებამოსილება მოიცავს პოლიციის არჩევანს დაშალოს აქცია თუ უარი თქვას მის დაშლაზე. მაგრამ ვინაიდან საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებას, ის ვალდებულია მიიღოს სათანადო ღონისძიება. ამ შემთხვევაში მისი არჩევანის თავისუფლება მოიცავს მისაღები ღონისძიების ერთ-ერთი სახის არჩევის შესაძლებლობას. არჩევანის თავისუფლებასთან გვაქვს ასევე საქმე, როდესაც კანონი ადგენს დამრღვევის მიმართ ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას 50-დან 100 ლარამდე. კანონით დადგენილ ამ ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ჯარიმის ოდენობაზე.

2. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა. კანონის ტექსტში უშუალოდ არ არის გამოყენებული ტერმინი „დისკრეციული უფლებამოსილება“, არამედ გამოიხატება სიტყვებით – ადმინისტრაციულ ორგანოს „შეუძლია“, „უფლება აქვს“, ან „უფლებამოსილია“. მთელ რიგ შემთხვევებში ეს გამომდინარეობს ნორმის შინაარსიდან. ამის საპირისპიროდ, როდესაც კანონმდებელი უთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო „ვალდებულია“, „უნდა განახორციელოს“, „უფლება არა აქვს“, „უნდა აიკრძალოს“, და ა.შ. ასეთ შემთხვევებში აშკარაა კანონმდებლის ნება: ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს დისკრეციული უფლებამოსილება მინიჭებული.

3. დისკრეციული უფლებამოსილების დანიშნულება

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. ის ემსახურება, პირველ რიგში, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებით ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გაიაზროს, თუ რა მიზნის მისაღწევად აქვს მას მინიჭებული ეს უფლებამოსილება და რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნას გათვალისწინებული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოახდინოს შემთხვევის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.

მაგ., უნებართვო შეკრებების აკრძალვა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვას, ასევე წინასწარი ნებართვის მოპოვების მოთხოვნის დაცვას. თუ კი იმართება ასეთი უნებართვო შეკრება, პოლიციელი ვალდებულია შეამოწმოს:

- თუ რა უარყოფით შედეგებს იწვევს ეს ფეხით მოსიარულეებისთვის, ავტო ტრანსპორტისათვის და თვით შეკრების მონაწილეებისთვის;
- რა მასშტაბებს იღებს ის და იზრდება თუ არა მონაწილეთა რაოდენობა;
- შესაძლებელია თუ არა მისი ეფექტიანად დაშლა, რაც დამოკიდებულია მონაწილეთა ოდენობაზე, მათ აგრესიულობაზე, ასევე პოლიციელთა რაოდენობაზე.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. შეუძლებელია ცალკე აღებული რომელიმე საჯარო ან კერძო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ურთიერთშეჯერება. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს საჯარო ინტერესებისათვის მიყენებულ სიკეთეს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეულმა და ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა ანუ მიზნის მიღწევის საშუალება მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მის ხელთ არსებული რამდენიმე საშუალებიდან იყენებს იმას, რომელიც ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებებისათვის.

4. შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და მისი სამართლებრივი შედეგები

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა სრული თავისუფლების მინიჭებას, არამედ გარკვეული უფლებამოსილების დაკისრებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ღონისძიება არის უკანონო. შესაძლებელია 3 შემთხვევის გამოყოფა, როდესაც ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე:

1. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, ის უშვებს შეცდომას და მის მიერ განხორციელებული ღონისძიება ხდება უკანონო;

2. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სცილდება მის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს (მაგ.; ის კონკრეტული ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ადგენს ჯარიმას 60 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც კანონი ამ კონკრეტული სამართალდარღვევისათვის ითვალისწინებს დაჯარიმებას 10-დან 50 ლარამდე) და ახორციელებს ისეთ ღონისძიებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით. ასეთ შემთხვევაში სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და შესაბამისად უკანონო მმართველობითი ღონისძიება;

3. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონის ნორმის მიზნებს და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას კანონმდებლის მიერ განსაზღვრული მიზნისათვის, ასეთ შემთხვევაში ასევე სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და შესაბამისად, უკანონო მმართველობითი ღონისძიება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას სასამართლო ამოწმებს სახეზეა თუ არა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

V. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას მოწმდება დაპირების სუბ-ის მე-9 მუხლთან შესაბამისობა. დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს

წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება (ამ შემთხვევაში – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა), რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. უფლების დაცვის თვალსაზრისით უნდა დაეადგინოთ, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმასთან გვაქვს საქმე. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ეს არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც არ არსებობს აქტის ცნების ელემენტი: „აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს“. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არ ახდენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწვევრიგებას, იგი შეიცავს მომავალში ასეთი მოწვევრიგების განხორციელების დაპირებას. გამომდინარე აქედან, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ჯერ კიდევ არ ქცეულა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. მიუხედავად ამისა, სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ის განიხილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის ადრესატს ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახეზე იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან წარმოშობილი დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა, ანუ არ უნდა გვქონდეს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები, რომელიც მოცემულია სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში.

VI. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმა. თუმცა ეს უფრო იშვიათობაა ვიდრე ნორმალური შემთხვევა, გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუციით გარანტირებული მოქმედების თავისუფლება არ საჭიროებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელით მოპოვებას, არამედ დავის შემთხვევაში ამ უფლების დასადგენად საკმარისია აღიარებითი სარჩელი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ადგენს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის სამართლებრივ ჩარჩოებს, მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის სამართლებრივ საფუძველს ქმნის ეს კანონი და არა კონსტიტუციის ნორმა. ამის საპირისპიროდ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი შეიძლება იყოს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე სუბიექტური უფლების წარმოშობის საფუძველი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელი შეიძლება იყოს დასაბუთებული, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო

თვითნებურად უხვევს ჩამოყალიბებულ მრავალწლიან პრაქტიკას და იღებს დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას, ან კიდევ როდესაც დაუსაბუთებლად უარს ამბობს ამ პრაქტიკის შეცვლაზე. სამართლებრივი ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხდის უკანონოს, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის საფუძველი.

VII. სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

თუ სასამართლო სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების საფუძველზე დაადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი ან გამოცემის ვადის დარღვევა არის უკანონო და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ის გამოიტანს გადაწყვეტილებას მოსარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან (სასკ-ის 23-ე მუხლი) დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ორი სახის:

1. სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მხარის მოთხოვნით ადგენს აქტის გამოცემის ვადას,

ან 2. სასამართლო თვითონ აწესრიგებს სადავო საკითხს.

1. რას გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება?

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით დაინტერესებული მხარის განცხადებაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი წინაპირობების შემოწმება. სწორედ ამ შემოწმების შედეგებს ეყრდნობა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე. მთელ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბოლომდე არ არის შესწავლილი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები ანუ საკითხი არ არის იმ დონემდე შესწავლილი (ადმინისტრაციული წარმოების ნაყოფი არ არის მომწიფებული), რომ შესაძლებელი იყოს მასზე გადაწყვეტილების მიღება.

მითუმეტეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაინტერესებული პირის განცხადებაზე უმოქმედობის შემთხვევაში აშკარაა, რომ ორგანოს არა აქვს შესწავლილი აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი საფუძველები.

ეს ორი შემთხვევა, ანუ ის რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად ან საერთოდ არა აქვს შესწავლილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ წარმოშობს სასამართლოს უფლებამოსილებას, დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან დაავალოს მას, რომ შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები და ამის საფუძველზე გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ ორივე შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია თვითონ შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე, ანუ საქმე უნდა გახადოს იმდენად მომწიფებული, რომ შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების მიღება – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თუმცა ეს არც თუ ისე იოლია. მთელ რიგ შემთხვევებში აუცილებელია საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევა, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია განახორციელოს. ეს მიგვიყვანდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევამდე, თუ სასამართლო სრულიად შეცვლიდა ადმინისტრაციულ ორგანოს და გადაწყვეტილების მომზადებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაიკავებდა მის ადგილს. გამომდინარე აქიდან, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის - პრეროგატივას.

სასამართლო ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობასა და მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფას ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში (ამაზე ზემოთ გვაქვს საუბარი), რამდენადაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოსადმი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

სასამართლოს ასევე არ შეუძლია თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასება. მაგ., გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური მხარე, მაგრამ ის ვერ აიღებს თავის თავზე გამომცდელის ფუნქციას და ვერ შეაფასებს მოსარჩელის სპეციალურ ცოდნას.

2. სასამართლო რა შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი?

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ სასამართლო ამზადებს საქმეს მასზე გადაწყვეტილების მისაღებად. მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი ფუნქციების განხორციელების სამართლებრივი ფორმა. როგორც წესი, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მმართველობითი ფუნქციების განხორციელებაზე, ის ვერ შეითვისებს ამ ფუნქციებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გამონაკლისის სახით უშვებს სადავოდ ქცეული მმართველობითი ფუნქციების სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობას, მთელი რიგი წინაპირობების დაცვით. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამ წინაპირობებს უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო მოთხოვნა: სასამართლო თავისი განჩინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწესრიგებს სადავო საკითხს, როდესაც საქმის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია გადაწყვეტილების სწრაფი მიღება და მისი გადაგზავნა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაუმართლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება ღონისძიების სამართლებრივ ფორმას სასამართლოს მიერ სადავო საკითხი წესრიგდება არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ განჩინების სახით. რაც ზღუდავს მესამე პირების შესაძლებლობას გამოიყენონ სასკ-ით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები. სწორედ ეს თავისებურებაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის განჩინებით მოწესრიგების საგამონაკლისო ხასიათზე.

მუხლი 33¹. სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელები-საგან. (24.06.2005. N1800)

I. ზოგადი

მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობის საკითხს აწესრიგებს სასკ-ის 24-ე მუხლი, ხოლო სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმები მოცემულია სასკ-ის 33¹-ე მუხლში, რომლის თანახმადაც სარჩელი დასაბუთებულია, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან აუარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა.

დაინტერესებული მხარის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს რაიმე ქმედების განხორციელება შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის ნორმიდან, კონკრეტული კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ან ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან.

II. უფლების სამართლებრივი საფუძვლები

ქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა. მაგ., კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. კონსტიტუციის ეს ნორმა დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს მასზე გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა. კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. კონსტიტუციის ეს ნორმა შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარკვეული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის საფუძველი და ა.შ.

მოქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ძირითადად ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სწორედ ინდივიდუალური აქტი განსაზღვრავს პირის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას განახორციელოს გარკვეული მოქმედება. მოქმედების განხორციელების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან რაიმე მოქმედების განხორციელების შედეგად დამღვარი ზიანის შემთხვევაშიც.

მოქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიძლება ქმნიდეს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება რეალაქტის განხორციელებაზე. რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არ არის მიმართული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებას ქმნის

სასკ-ის 24-ე და 33'-ე მუხლები. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაპირებული მოქმედების განხორციელებაზე არის დასაბუთებული, თუ

(1) ის გაცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ,

(2) ის გაცემულია წერილობითი ფორმით,

(3) ის გამოხატავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებას, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება,

(4) სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობის გამომრიცხველი ერთ-ერთი სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული წინაპირობა.

ასევე შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ვალდებულება ჩაიდოს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში. მაგ., როდესაც რომელიმე კერძო ფირმა თანახმაა, ნაკლებად განვითარებულ რაიონში გახსნას ფაბრიკა იქ მცხოვრებთა დასაქმებისა და რეგიონის სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით და ამ საწარმოსა და რაიონის გამგეობას შორის იდება ხელშეკრულება, სადაც ჩადებულია გამგეობის ვალდებულება გაიყვანოს ფაბრიკამდე მისასვლელი გზა.

უფლების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე მოქმედების განხორციელებაზე ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე. უფლების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ უფლების მატარებლის კანონიერი უფლებების ან ინტერესის ხელყოფაზე, ამდენად, როდესაც დავადგენთ დაინტერესებულ მხარის უფლებას მოითხოვოს რაიმე ქმედების განხორციელება ეს მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან განხორციელებაზე უარის უკანონობაზე და შესაბამისად დაინტერესებული მხარის კანონიერი უფლებისა და ინტერესის ხელყოფაზე.

სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს გადაწყვეტილებაში მოცემული სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

თავი IX აკელაცია და კასაცია

მუხლი 34. სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობა

1. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. (24.06.2005. N1800 ამოქმედდეს 2005 წლის 1 ნოემბრიდან)

4. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვის ვადა შეადგენს ექვს თვეს. (24.06.2005. N1800)

I. ზოგადი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას მისი უფლების ეფექტიან დაცვაზე. ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება უფლების დაცვის სამსაფეხურიანი სისტემა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ დავების პირველი ინსტანციით, აპელაციისა და კასაციის წესით განხილვის გზით. უფლების დაცვის სამსაფეხუროვანი სისტემის მიმართ არსებობს მართებული კრიტიკა. ეს განპირობებულია იმ უარყოფითი მხარეებით, რაც ამ სისტემას

ახასიათებს. სახელმწიფოს ფინანსური პრობლემების და სასამართლო პროცესზე მზარდი მოთხოვნების ფონზე სახელმწიფოს არ ძალუძს უზრუნველყოს დავაზე სამჯერადი სასამართლო პროცესი. საკასაციო სასამართლოს მიმართ მზარდი მოთხოვნლება იწვევს მის გადატვირთვას, რაც აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე. სამსაფეხუროვანი მართლმსაჯულების უარყოფითი მხარე ვლინდება ასევე უფლების დაცვის თვალსაზრისითაც. დავის განხილვა სამ ინსტანციაში იწვევს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის გაჭიანურებას მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ. თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საკასაციო მართლმსაჯულების მიზანია როგორც პიროვნების დარღვეული უფლებების დაცვა კონკრეტულ სადავო საკითხებთან მიმართებაში, ასევე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის ხელშეწყობა, ამ ამოცანების ჯერონად შესრულების უზრუნველყოფა შეუძლებელი ხდება, თუ არ მოხდება საკასაციო სარჩელის დასაშვებობის შეზღუდვა. ამ მიზნით სასკ-ის IX თავში შეტანილი იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები.

II. სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების დასაშვებობა

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I-ლი მუხლის II ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. გამომდინარე აქიდან, სასამართლოს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას სააპელაციო და საკასაციო წესით აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9 კარი, იმ შეზღუდვებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სასკ-ის 34-ე მუხლით.

სასკ-ის 34-ე მუხლის I ნაწილი უშვებს ადმინისტრაციულ დავებზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. სამოქალაქო დავებზე სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს, ხოლო საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 50 000 ლარს აღემატება. სასკ-ის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს მოთხოვნები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება.

ადმინისტრაციულ დავებზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები მოცემულია სასკ-ის 34-ე მუხლის III ნაწილში, რაც ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს განხილული.

III. სააპელაციო საჩივარი

სააპელაციო საჩივრის ობიექტია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და მაგისტრატი მოსამართლეები. წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 368-ე მუხლით. სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუზღვრავს სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს და დამატებით შემოსულ ყველა მასალას. თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში, მაშინ ეს უკანასკნელი საქმეს გამოითხოვს შესაბამისი სასამართლოდან.

ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ: მხარეებს (მოსარჩელეს და მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეს და თანამოპასუხეს), მათი თანამონაწილეობის საფუძველზე განსაზღვრულ ფარგლებში, პირებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს ერთ თვეს, რომლის არც გაგრძელება და არც აღდგენა კანონით არ არის დაშვებული. ვადის დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. „გადაცემა“ გულისხმობს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის უშუალოდ სასამართლოში ხელზე მიცემას, რაც მან უნდა დადასტუროს თავისი ხელმოწერით. გადაწყვეტილების ფოსტის მეშვეობით გაზავნის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა ათივლელა გადაწყვეტილების ასლის ფოსტისთვის ან კურიერისთვის ჩაბარების მომენტიდან. საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წესით გაზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სსსკ-ის 370-ე მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, შემდგომ

საპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. ვერ გავიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს თითქოს ეწინააღმდეგება საპელაციო საჩივრის შეტანის ერთოვან ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს ან მოპასუხეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება შეიტანოს საპელაციო საჩივარი²³. საპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება მეორე მხარის კანონიერი ნდობა ამ უარზე. აქედან გამომდინარე მართებულია, რომ მხარე რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება საპელაციო წესით.

საპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საპელაციო სასამართლო ამოწმებს საპელაციო საჩივრის დასაშვებობას. კერძოდ მოწმდება დაცულია თუ არა საპელაციო საჩივრის წარდგენის ერთოვანი ვადა, პასუხობს თუ არა საპელაციო საჩივრის შინაარსი სსსკ-ის 368-ე მუხლის მოთხოვნებს, აპელანტს სსსკ-ის 370-ე მუხლის შესაბამისად უარი ხომ არ აქვს ნათქვამი საპელაციო გასაჩივრებაზე, გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი. თუ საპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დასაშვებობის ყველა პირობა, საპელაციო სასამართლო მიიღებს განჩინებას „საპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“, აქვე სასამართლო ნიშნავს საპელაციო საჩივრის განხილვის დღეს, რის შესახებაც მხარეს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. თუ საპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას დადგინდა, რომ საჩივრის დასაშვებობიდ ესა თუ ის პირობა არ არსებობს და ეს ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება შევსებული, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება „საპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.“

საპელაციო სასამართლოს მიერ საპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ განჩინების გამოტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. თუ საპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართ გამოტანილია განჩინება კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, საპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად არ აჩერებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედებას. ასეთ შემთხვევაში საპელაციო სასამართლოს აპელანტის შუამდგომლობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

²³ ვ. ლორია, გვ. 226, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი 2004 წ.

სააპელაციო სასამართლო, მართალია, არის მეორე ინსტანციის სასამართლო, რომელიც ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას, მაგრამ საქმეთა განხილვისას იგი საქმეს ხელმეორედ შეისწავლის ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

IV. საკასაციო საჩივარი

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. საკასაციო საჩივრის შემოტანის უფლება აქვთ მხარეებს და სასკ-ის მე-16 მუხლის II ნაწილით განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულ მესამე პირებს. საკასაციო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუზღავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს. საკასაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 396-ე მუხლით. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. კანონი არ ითვალისწინებს ვადის გაგრძელებისა და აღდგენის შესაძლებლობას. გასაჩივრების ვადა აითვლება მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის უშუალოდ სასამართლოში გადაცემის მომენტიდან ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში ფოსტაში ან კურიერისათვის ჩაბარების მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან **10 დღის განმავლობაში** საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს:

ა) შემოტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) შემოტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი კანონით გათვალისწინებულ ვადაში;

გ) შეესაბამება თუ არა საკასაციო საჩივრის შინაარსი სსსკ-ის 393-ე და 396-ე მუხლების მოთხოვნებს;

დ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი;

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სასკ-ის 34-ე მუხლის III ნაწილით დადგენილი წინაპირობების შემოწმებას, ის უნდა მოხდეს ამავე მუხლის IV ნაწილით დადგენილ საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვისათვის დადგენილ 6 თვიან ვადაში. ამ შემთხვევაში სასამართლო არ არის შეზღუდული 10 დღიანი ვადით, ეს ვადა გამოიყენება

მხოლოდ სარჩელის ფორმალური დასაშვებობის გარკვევისათვის;

3. სასკ-ში შეტანილი დამატების შედეგად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო სარჩელის მიღების საფუძვლები²⁴.

სასკ-ის 34-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) *საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;*

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს საყოველთაო ინტერესი სამართლის კონკრეტული ნორმის ერთგვაროვნად გაგებისათვის და ეს პრობლემა არ ყოფილა სასამართლოს განსჯადი (ან ქვემდგომი სასამართლოების ინტერპრეტაცია საჭიროებს შემდგომ შეფასებას), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

საქმე მნიშვნელოვანია, როდესაც მოსალოდნელია რომ მასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სამართლის ნორმათა ერთგვაროვან გაგებას ან სამართლის შემდგომ განვითარებას. ამის პირველი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ეს სამართლებრივი საკითხი **ექვემდებარებოდეს გარკვევას**, ანუ საქმე უნდა ეხებოდეს სამართლის ისეთ ნორმას, რომელიც ექვემდებარება გადასინჯვას. საკასაციო წესით გადასინჯვას ექვემდებარება მხოლოდ ის სამართლებრივი საკითხები, რომელიც მოიცავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ასევე ის საკითხები, რომელზედაც სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება. ამის საპირისპიროდ ის სამართლებრივი საკითხები არ შეიძლება გახდეს საკასაციო გადასინჯვის საგანი, რომლებიც წამოიჭრებოდა საპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. საკასაციო წესით გადასინჯვა მოიცავს სააპელაციო სასამართლოს განხილულ სამართლებრივ საკითხებს და მის მნიშვნელობას აწმყოში და არა იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს სხვაგვარ გადაწყვეტილებას „არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა“.

საქმის მნიშვნელობის განსაზღვრის მეორე აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამართლებრივი საკითხი **საჭიროებს გარკვევას**. საკითხი არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც ის უდავოა, რამდენადაც პასუხი ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე გამომდინარეობს კანონის ტექსტიდან. საკითხი ასევე არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც მასთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა ეს უკანასკნელი

²⁴საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე იხ. ცენო რაიპნებკერი, შალვა პაპუაშვილი: „სამართლის განვითარება“ – სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის“, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, გვ. 72, Nr.4.2005.

შემთხვევა არ გამორიცხავს საკითხის შემდგომი გარკვევის საჭიროების წარმოშობას, როდესაც უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გახდება ფართო მეცნიერული განსჯის საგანი და მოსამართლეებისა და მეცნიერების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები უბიძგებს უზენაეს სასამართლოს საკუთარი მოსაზრებების გადამოწმებისაკენ.

კასაციის დასაშვებობის ამ კრიტერიუმთან მიმართებაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მის ფორმულირებაზე. ნორმის ტექსტში მოცემული ფორმულირება „სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“, არ გულისხმობს, რომ აუცილებელია ორივე წინაპირობის ერთდროულად დაკმაყოფილება, არამედ საკმარისია ერთ-ერთის არსებობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ორი კრიტერიუმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია, რამდენადაც, როდესაც საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის, იგი ასევე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და პირიქით.

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავს არა მარტო სამართლებრივი დავების გადაწყვეტასა და მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, არამედ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კასაციის დასაშვებობის ეს კრიტერიუმი ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკას შორის შეუსაბამობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი და იგივე სამართლის ნორმის საფუძველზე მიღებულ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაში ხდება ამ ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია.

კასაციის დასაშვებობის ამ კრიტერიუმის გამოყენების აუცილებელია წინაპირობაა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არსებობა, რომელიც არ გულისხმობს საქმეზე დიდი პალატის გადაწყვეტილების აუცილებლობას, არამედ საკმარისია ერთი კონკრეტული ყველაზე ახალი გადაწყვეტილების არსებობა. ამ ნიშნით კასაციის დაშვება მიზნათ არ ისახავს „ურჩი,“ სააპელაციო სასამართლოს დასჯას, არამედ ზრდის სააპელაციო სასამართლოს როლს სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში. სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული გადაწყვეტილება, რომელიც ჯეროვნად არის გააზრებული და დასაბუთებული არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. უზენაესი სასამართლო ვალდებული ხდება სათანადოდ შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული

შესვლდება, აღიაროს ის ან მეცნიერულად დაასაბუთოს საკუთარის უპირატესობა. სამართლის ნორმის განმარტება არის პროცესი და არა ერთჯერადი აქტი, საკასაციო სასამართლო ახდენს ნორმის დინამიურ განმარტებას. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს მართლმსაჯულების პრაქტიკის სრულყოფას.

ე) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

პროცესუალური დარღვევა რომ გახდეს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, აუცილებელია, რომ ამ დარღვევას ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომ აშკარა იყოს მისი უარყოფიდი ზეგავლენა საქმის განხილვის შედეგზე. პროცესუალური დარღვევის ხარისხის განსაზღვრის ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

ქართველი კანონმდებელი თვითონ ახდენს იმ საპროცესო დარღვევების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებლად იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას. სსსკ-ის 394-ე მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველები არის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონმდებლის მიერ იმპერატიულად დადგენილი ნორმა და აქ სასამართლოს მიხედულებისათვის ადგილი არ რჩება. საკასაციო სარჩელი დასაშვებია, თუ:

ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;

დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;

ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

ფ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;

ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;

ჰ) საქმეში არ არის საპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

საკასაჩიო სარჩელის აბსოლუტური საფუძვლები უფრო ვიწრო ვიდრე სასკის 34-ე მუხლის III ნაწილის „გაქვეყნებით მოაზრებული საპროცესო დარღვევები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ იფარგლება ამ ჩამონათვალით, არამედ უშვებს საკასაციო სასამართლოს მიერ საპროცესო დარღვევის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. კანონმდებელი ადგენს მხოლოდ შეფასების მასშტაბებს: „რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე“. სასამართლო საპროცესო დარღვევის შეფასებისას უნდა გამოვიდეს ამ მოთხოვნიდან.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი „განჩინება საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, ავტომატურად შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია კასატორის მოთხოვნის საფუძველზე დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიება.

საკასაციო მართლმსაჯულება შემოიფარგლება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვით მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ არ ახდენს საქმის არსებით განხილვას. ამით იგი განსხვავდება სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით.

ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპიდან გამომდინარე, დავის განხილვისა და გადაწყვეტის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, ადმინისტრაციული კატეგორის საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების და განხილვის ვადად განისაზღვრა ექვსი თვე.